№ 4 | შემოდგომა 2015 | 7 ₾

# NARGIS GEORGIA



# მოდა & ხელოვნება

...ხელოვანი ადამიანისთვის მნიშვნელოვანია გააკეთო ის,
რაც სიამოვნებას განიჭებს, სიცოცხლით გავსებს, რაც მოგწონს...

ISSN 1512-2522


ROBERTOCOIN.COM · ENDLESS CREATIVITY
ROBERTO COIN
BLACK JADE COLLECTION
бутик GLAMPIRE JEWELLERY
ул. Зарифы Алиевой, 41, тел.: 493 03 08
бутики ROYAL COLLECTION
пр. Бюльбюля, 30, тел.: 493 40 84;
ул. Ниязи, 5B, тел.: 492 76 56
Эксклюзивный дистрибьютор Italdizain Group
www.italdizain.az
instagram: Glampire_jewellery_baku, Royalcollectionbaku


Elegance is an attitude
Aishwarya Rai
LONGINES
ARTTIME
შენი შვეიცარიული საათი
www.arttime.ge
Longines DolceVita

12 გვ.
გუნდი

14 გვ.
ნომერზე მუშაობდნენ
*თანამშრომლობა*

16 გვ.
რედაქტორისგან

22 გვ.
რედაქტორის არჩევანი

30 გვ.
TRENDS

24 გვ.



თაობათა შორის თამაში
*ცნობილი მშობლების ოჯახში*

64 გვ.



უზადობის ფორმულა
აზერბაიჯანის პირველი ლედი მეჰრიბან ალიევა

42 გვ.
*მოდა, როგორც ხელოვნება*



პარიზის მაღალი მოდის კვირეული

48 გვ.



რომანტიკული ავანგარდი
ულიანა სერგეენკო

54 გვ.



TBILISI FASHION WEEK
*Spring/Summer 2016*








KID COLLECTION- FALL WINTER 2015

IKKS Tbilisi

IKKS
JUNIOR

WWW.IKKS.COM

მის: ჭავჭავაძის ქ. 48
ტელ: (032) 2 29 13 11

Adress: 48 I. Chavchavadze St.,
Tel: (032) 2 29 13 11

104 გვ.



ანგელოზი თუ დემონი?

ფრანსუაზ დონში

112 გვ.



„აღმოსავლეთის მოლიერის"
Akhundov House სახლი თბილისში

118 გვ.



კულისებს მიღმა

გრეგუარ ილოი

მხატვარი
130 გვ.



ფიქრი საღებავებით

ედმონდ გაბრიელ კალანდაძე

100 გვ.

ფილტრის გარეშე სილამაზე







136 გვ.



პრიმა

ᲔᲚᲔᲜᲔ ᲒᲚᲣᲠᲯᲘᲫᲔ

154 გვ.



მამაკაცები, მოდა და სიყვარული

მოდის უდიდესი დედოფალი

LOVE STORY

172 გვ.

წიგნების მიმოხილვა

174 გვ.

ფსიქოლოგია

სხეულის ენა

164 გვ.



მე-19 საუკუნის საქართველოს სალონური ცხოვრება

144 გვ.

Photo story



I WANT YOUR LOVE

GIORGI WAZOWSKI

160 გვ.



კონტრასტების თამაში

ᲐᲘᲠᲘᲡ ᲑᲐᲠᲔᲚ ᲐᲞᲤᲔᲚᲘ






# NARGIS

გუნდი

მთავარი რედაქტორი თაკო ჩხეიძე | **Editor-in-Chief** TAKO CHKHEIDZE
არტ დირექტორი ლიკა კვარაცხელია | **Art Director** LIKA KVARATSKHELIA
აღმასრულებელი დირექტორი მაკა ყუბუსიძე | **Executive Director** MAKA KUBUSIDZE
აღმასრულებელი რედაქტორი ნინო ჩლაიძე | **Executive Editor** NINO CHLAIDZE
მოდის რედაქტორი ანანო დოლაბერიძე | **Fashion Editor** ANANO DOLABERIDZE

დიზაინი

2you.ge
Design & Computer Layout

**ნომერზე მუშაობდნენ**
ნანა კობაიძე / NANA KOBAIDZE, მზეხა მახარაძე / MZEKHA MAKHARADZE,
მაია ჭანტურიძე/MAYA CHANTURIDZE, რამაზ გიგაური / RAMAZ GIGAURI,
ირინა აბჟანდაძე/IRINA ABZHANDADZE, თეა სხიერელი/TEA SKHIERELI,
არჩილ ბეჟანიშვილი/ARCHIL BEZHANISHVILI

ავტორები

ფოტო

რაიან კუპმანსი / RYAN KOOPMANS, ადამ კაც სინდინგი / ADAM KATZ SINDING,
დავით ერისთავი / DAVID ERISTAVI, გიორგი ვაზოვსკი / GIORGI WAZOVSKI,
კოტე ბოლქვაძე / KOTE BOLKVADZE, ანა კოსტამაროვა / ANNA KOSTAMAROVA,
ლიგ სტუდიო / LIG STUDIO, ჰაზლეტ ბეარდი / HAZLETT BEARD,
საშა პრიშვინი / SASHA PRISHVIN



Photo: RYAN KOOPMANS
Style: ANANO DOLABERIDZE
Model: MARITA JANASHIA / GEOMODELS AGENCY
Jacket: DALOOD
Make-up: TEKO SHENKEN
Hairstyle: GIORGI 4U
Retouching: DAVID ERISTAVI

მარკეტინგი


**გამომცემელი**/ Publisher
FIRST FLOOR GROUP (FFG)
მის: ქავთარაძის ქ. №27, თბილისი, 0186, საქართველო
ტელ: (+995 32) 2 38 19 08

**კომერციული დირექტორი** ნაზი გოშაძე | **Commercial Director** NAZI GOSHADZE
**გაყიდვები და მარკეტინგი** ქეთევან დონდუა, თინათინ ჯანუაშვილი,
ეკატერინე სკოროხოდოვა, თეა ჭელიძე |
**Sales & Marketing** KETEVAN DONDUA, TINATIN JANUASHVILI,
EKATERINE SKOROKHODOVA, TEA CHELIDZE

**რუსული ენიდან თარგმანი** ნატა გვენცაძე | **Translation from Russian** NATA GVENTSADZE
**ინგლისური ენიდან თარგმანი** ნინო შუბითიძე, ალექსანდრე შერვაშიძე
**Translation from English** NINO SHUBITIDZE, ALEKSANDRE SHERVASHIDZE

**სტილი** ნინო ლურსმანაშვილი | **Style** NINO LURSMANASHVILI
**ბეჭდვა** შპს „კონტროლ პე“ | **Printing** LTD CTRL P
მის: ქავთარაძის ქ. №27, თბილისი, 0186, საქართველო ტელ: (+995 32) 2 38 19 08



ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს “NARGIS“–ის საკუთრებას.
ჟურნალში წარმოდგენილი ნებისმიერი მასალის გამოყენება რედაქციის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.

გამოცემის სტატიებში გამოქვეყნებული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ჟურნალი „NARGIS“–ი არ იღებს პასუხისმგებლობას სარეკლამო ტექსტების შინაარსზე.


facebook.com/NargisGeorgia instagram.com/nargis_georgia






# ნომერზე მუშაობდნენ



## ადამ კაც სინდინგი

სიეტლში დაბადებული ადამ კაც სინდინგი დღეს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქუჩის მოდის ფოტოგრაფია. მისმა ფოტო ბლოგმა “Le 21-ème” 2015 წლის საუკეთესო Street Style ბლოგის სტატუსი მოიპოვა. ადამის ფოტოები ყოველთვის გამორჩეულია სხვა ქუჩის მოდის ფოტოგრაფების ნამუშევრებისგან. დადგმულ სცენებს არასდროს იღებს, უყვარს ბუნებრივი გარემოს აღბეჭდვა და აქცენტს კომპოზიციაზე სვამს.

მისმა ფოტო ბლოგმა "Le21ème" 2015 წლის საუკეთესო Street Style ბლოგის სტატუსი მოიპოვა.

## რაიან კუპმანსი

დოკუმენტალისტი და არქიტექტურის ფოტოგრაფი ნიუ-იორკიდან. უყვარს მოგზაურობა, რაც მისი პროფესიის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. უმუშავია ძალიან ბევრ საინტერესო პროექტზე, არის ნიუ-იორკის მოდის კვირეულის "Backstage"-ის ექსკლუზიური ფოტოგრაფი. რაიანი მოდის კვირეულის ფარგლებში ეწვია თბილისს და სპეციალურად ჩვენი ჟურნალის შემოდგომის ნომრის ყდა გადაიღო.



Photo by Frederick Paxton



## არჩილ ბეჟანიშვილი

თბილისელ ჟურნალისტს, არჩილ ბეჟანიშვილს 30-წლიანი პროფესიული გამოცდილება აქვს, და თანაც ძალზე მრავალმხრივი. ბოლო ოცი წელია ის მუშაობს უცხოური პერიოდული გამოცემების კორესპონდენტად საქართველოში. სხვადასხვა წლებში იყო ჩეხური გაზეთის "PROSTOR", მოსკოვის ყოველკვირეული გაზეთების «ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА» და «СОБЕСЕДНИК», უკრაინული ჟურნალის «ТИЖДЕНЬ», მსოფლიოში ყველაზე დიდტირაჟიანი გაზეთის, იაპონური "YOMIURI SHIMBUN"-ის საკუთარი კორესპონდენტი საქართველოში.

## დავით ერისთავი

პროფესიონალი ფოტოგრაფი და "Retoucher"-ი. დაამთავრა მოდის ინსტიტუტი ტექნოლოგიისა და ფოტოგრაფიის განხრით ნიუ-იორკში. გადაიღო რამოდენიმე პროექტი ჟურნალი „ნარგისისთვის“ და რეტუში გაუკეთა შემოდგომის ნომრის ყდის ფოტოსესიას.





LA PARIS

BEAUTY CENTER

You can buy the best Hair Care Products, Mineral Make-up & Professional Nail Materials




KÉRASTASE PARIS | L'ORÉAL PROFESSIONNEL PARIS | MICABELLA cosmetics Mineral Makeup | MASURA

თბილისი ჭავჭავაძის #35ა | ტელ: 032 2 25 26 42 / 032 2 23 25 61
E-mail: info@laparis.ge | www.facebook.com/LaParis35

# ყველაფერი ერთი წლის წინ დაიწყო...

Nargis საქართველოს მეოთხე ნომრის გამოსვლა საიუბილეო თარიღს ემთხვევა – დეკემბერში ჩვენი ჟურნალი ერთი წლის ხდება. ამ დროის განმავლობაში მთელი გუნდი თავდაუზოგავად შრომობდა იმისთვის, რომ ყოველი შემდგომი ნომერი თქვენთვის კიდევ უფრო საინტერესო და მიმზიდველი ყოფილიყო. მიზანი, Nargis–ი საქართველოში შეეყვარებინათ და მიეღოთ, მიღწეულია: ჩვენი მკითხველების რიცხვი ნომრიდან ნომრამდე მატულობს, რაც შემდგომი მუშაობისთვის ყველაზე დიდი სტიმულია. თქვენ კი დიდი მადლობა იმისთვის, რომ Nargis საქართველოს მკითხველი ხართ!

მოდა და კულტურა – ჩვენი ჟურნალის მთავარი ღერძია და ეს ნომერიც ტრადიციულად ამ სფეროს სიახლეებითა და თემებითაა დატვირთული. 6 წლის წინ ალბათ ვერავის წარმოედგინა, რომ თბილისის მოდის კვირეული მსოფლიო მოდის სამყაროსთან ინტეგრირებას მოახერხებდა. თუმცა, ფაქტია, რომ დღეს ჩვენს დედაქალაქს მსოფლიოში ცნობილი გამოცემების ჟურნალისტები სტუმრობენ, ჩვენი დიზაინერები კი ამ ინდუსტრიის სულ უფრო ფართო არეალზე გადიან. მხოლოდ ის სიახლე რად ღირს, რომ ქართველი დიზაინერი დემნა გვასალია „ბალენსიაგას“ სახლის კრეატიული დირექტორი გახდა!



ფოტო ანა კოსტამაროვა

იმას, რომ ქართული მოდა და ქართველი დიზაინერები საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენენ, თბილისის მოდის მე–12 კვირეულიც ადასტურებს, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა და ცხადია, ჩვენი ჟურნალის გვერდებიდან ამ ღონისძიების შესახებ საკმაოდ მსუყე მასალას გაეცნობით.

ფოტოგრაფია ხელოვნების ის დარგია, რომელთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული მოდის სამყარო. ჩვენი ჟურნალის დიდი მიღწევაა ის, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში უკვე ვითანამშრომლეთ თანამედროვე ფოტოხელოვნების მართლაც განთქმულ და აღიარებულ წარმომადგენლებთან. Nargis საქართველოს ახალი ყდა ცნობილმა ნიუ–იორკელმა ფოტოდოკუმენტალისტმა რაიან კუპმანსმა გადაიღო. უკვე მეორედ, ჩვენი ჟურნალისთვის იმუშავა Street style–ის ერთ–ერთმა უძლიერესმა ფოტოგრაფმა ადამ კაც სინდინგმა.

ყოველთვის ვცდილობთ შევეხოთ კულტურულ სიახლეებსა თუ ცნობილი ხელოვანების შესახებ ისტორიებს. ჩვენთვის დიდი პატივია წარმოგიდგინოთ ცნობილი ქართველი პრიმა ბალერინა ელენე გლურჯიძე, რომელიც ლონდონის დიდ სცენაზე წარმატებით მოღვაწეობს.

რუბრიკა „ცხოვრების სტილი“ სხვა საინტერესო თემებთან ერთად, მოგცემთ საშუალებას ორი საუკუნე „გადაფურცლოთ“ და გაიგოთ, თუ როგორი სალონური ცხოვრება ჩქეფდა მე–19 საუკუნის საქართველოში. ასევე გაგაცნობთ საკმაოდ უცნაურ და ექსცენტრიკულ აირის აპფელს, ქალს, რომელიც 94 წლის ასაკშიც, მოდის სამყაროში, სტილის ხატადაა აღიარებული.

მეჰრიბან ალიევა – ქალი, რომელიც ბევრად სცდება მხოლოდ აზერბაიჯანის პირველი ლედის სტატუსის ფარგლებს და ქალურობის, ელეგანტურობისა და გემოვნების სიმბოლოდ არის აღიარებული. ჩვენთვის დიდი პატივია წარმოგიდგინოთ ამ ქალბატონის ფოტოსესია რუბრიკაში Style Icon.

რა თქმა უნდა, ჟურნალი Nargis საქართველო ტრადიციულად შემოგთავაზებთ მოდის უახლეს ტენდენციებსა და სეზონის შესაბამის რჩევებს.

იმედს ვიტოვებთ, რომ Nargis საქართველოს მეოთხე ნომერი თქვენთვის საინტერესო საკითხავი იქნება და დიდი ინტერესით დაელოდებით ჩვენს შემდეგ გამოცემას.

მომავალ Nargis–ამდე!

თაკო ჩხეიძე
მთავარი რედაქტორი






ბრენდ ერ
მუდმივად განახლებადი
კოლექცია
განათების
სამყაროების
ფართო არჩევანი
SEA CONTAINER


ბრენდ ერ-ში წარმოდგენილია ჭაღები, ბრები,
წერტილოვანი განათებები, ბაღის სანათები
ცნობილი ევროპელი დიზაინერებისაგან.
მუდმივად განახლებადი კოლექცია გამორჩეული გემოვნების მყიდველისათვის.
თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №101
ტელ: 032 2 30 74 90 / 551 94 81 89
www.facebook.com/ brandr.ge
BRAND R

Some Ideas Can Groove You

FFG FIRST FLOOR GROUP

## FIRST FLOOR GROUP (FFG)

FFG offers management of companies' corporate magazines and different kinds of publications, design and polygraph services of all types.

FFG has official partners – Printing Houses in Austria, Turkey and Georgia.

Georgian - Austrian Publishing Holding




# 19/21 Mtskheta str.,Tbilisi, 0179, Georgia, Tel: +995 32 238 19 08, Cell: +995 568 36 99 11
E-mail: info@ffg.com.ge, www.ffg.com.ge, **Join Us on Facebook:** FIRST FLOOR GROUP Media Holding




# FASHION

გვ. 21

თბილისის მოდის კვირეული 6 წინ ჯერ კიდევ ფეხს იდგამდა. ბევრისთვის წარმოუდგენელი და დაუჯერებელიც კი იყო, რომ ამ წამოწყებას სერიოზული რეზონანსი ექნებოდა მსოფლიო მოდის სამყაროში. თუმცა, წლიდან წლამდე, თბილისის კვირეული სულ უფრო სერიოზულ ხასიათს იღებს და წელს საქართველოს დედაქალაქში, მე–12 მოდის კვირეულზე მსოფლიოში აღიარებული მოდის ინდუსტრიის წარმომადგენლები იყრიან თავს. ქართველი დიზაინერების რიცხვი და ხარისხი კი წლიდან წლამდე იზრდება, უმჯობესდება და თავის ღირსეულ ადგილს იმკვიდრებს მსოფლიო მოდის სივრცეში.



ილუსტრაცია ბრიტ სამოსონი

# შემოდგომის სურნელი

ჩემი სეზონური შთაგონების წყარო შემოდგომაა...
ბორდოსფერი ლაბადა, შინდისფერი ტუჩის
საცხი, ჭიქა წითელი ღვინო და ბურგუნდიისფერი
ფეხსაცმელი ჩემი საშემოდგომო არჩევანია.
ცივ და სუსხიან საღამოს კი, საყვარელ ადამიანთან ერთად
რომანტიკული ფილმის ყურებას ან წიგნის
კითხვას გირჩევთ.

1. Christian Dior



2. Gucci



3. Roman Holiday




ჩემთვის კლასიკა „რომაული არდადეგების". ფილმი და წყვილი, რომელიც არასდროს ბერდება.

4. MAC




აქ ფერს არაჩვეულებრივად გამოიყენებთ როგორც დღისით, ისე საღამოს.

5. Marni



6. Miu Miu



7. DIBi




8. Burberry Prorsum



ეს ლაბადა ყველა დროის must-have-ია.

9. Jo Malone




10. Lanvin



11. Something From Tiffany's




წიგნი, რომელთან ერთადაც სასიამოვნოდ გაატარებთ საშობაო არდადეგებს.

12. Miu Miu



13. Cafe Littera



დაუვიწყარი ვახშამი დაუვიწყარ გარემოში.



პეტ და ანა კლივლენდები
Lanvin. 2015

# თაობათა შორის თამაში

ცნობილი მშობლების ოჯახში დაბადება ერთდროულად საჩუქარიც არის და წყევლაც. ერთი მხრივ, ბავშვობიდან გარშემორტყმული ხარ ალერსიანი ძიძებით, შენს თითოეულ სიტყვას ციურ მანანასავით იჭერენ რეპორტიორები, ყოველ ახალ გარეგნულ იერსახეს განადიდებენ თაყვანისმცემლები, შენი ჩანაწერები ტვიტერზე ციტატებად ვრცელდება მაშინაც კი, როდესაც სრულიად უმნიშვნელო ინფორმაციას აქვეყნებ, ხოლო შენი პირველი ნაბიჯები წითელ ხალიჩაზე ყველაზე მოდური ჟურნალების გვერდებს ამშვენებს.

**ტექსტი** აფეტ ბაგიროვის **ფოტო** პრეს მასალა



მეორე მხრივ, „გვირგვინოსანი ანგელოზობა“ საკმაოდ რთულია... არ გაგაჩნია ნამდვილი ბავშვობა, არც ერთგული მეგობრები, არც ვარსკვლავი მშობლების საკმარისი ყურადღება; სამაგიეროდ გაქვს უდიდესი პასუხისმგებლობა და მუდმივი ეჭვები...

როდესაც მოდის ინდუსტრიაში თაობათა მემკვიდრეობითობაზე ვსაუბრობთ, ამ დიდ ხმაურიან იტალიურ ოჯახს გვერდს ვერაფრით ავუვლით. ოტავიო და როზიტა Missoni-ს ბრენდის დამფუძნებლები არიან. მათმა შვილებმა — ლუკამ, ანჯელამ და მათმა უფროსმა ძმამ, ვიტორიომ, თავის ტრაგიკულ აღსასრულამდე — ჭეშმარიტი იტალიური გატაცებით გააგრძელეს თავიანთი მშობლების საქმიანობა და ამბობენ, რომ Missoni — ეს არის არა მხოლოდ სამუშაო, არამედ გასაოცარი მოგზაურობა და მთელი სამყაროა, რომელიც მათი ცხოვრების წესად იქცა.

ოჯახური ბიზნესი — ფაქიზი საქმეა. მისი შექმნა რთულია, მაგრამ კიდევ უფრო რთულია ღირსეულად გაგრძელება. სალვატორე ფერაგამომ, მეთერთმეტე შვილმა და ყველაზე ნიჭიერმა თოთხმეტი ბავშვიდან, თავისი კარიერა 9 წლიდან დაიწყო. უკვე 15 წლის ასაკში ის ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც საქვეყნო დიდება მოიპოვა.

სალვატორე ფერაგამოს სიკვდილის შემდეგ მისი საქმე გააგრძელეს მისმა ქვრივმა და ექვსმა შვილმა — ფიამამ, ჯოვანამ, ფულვიამ, ფერუჩემ, ლეონარდომ და მასიმომ. ყველაზე ნიჭიერმა ქალიშვილებიდან — ფიამამ მოიფიქრა გენიალური ნავისებური ფეხსაცმელები ფერაგამოსგან და კიდევ ერთხელ დაუმტკიცა მსოფლიოს, რომ მამამისის საქმე ცოცხლობს.დიდი ვარსკვლავური მეწაღის მემკვიდრეები დღემდე დგანან კომპანიის სადავეებთან და შეუცვლელად მისდევენ მის ყველა დარიგებას.

სალვატორე ფერაგამომ კალიფორნიის უნივერსიტეტში ჩააბარა, რათა მათემატიკის და ანატომიის ყველა წვრილმანი შეესწავლა: იგი შეპყრობილი იყო იდეით, შეექმნა ღვთაებრივად ლამაზი ფეხსაცმელები მაქსიმალურად მოსახერხებელი კალაპოტით.

თავდაპირველად ოტავიოს და როზიტას სახელოსნოში მხოლოდ ერთი მანქანა ჰქონდათ, რომელსაც სწორი და ზოლიანი ქსოვილის დამზადება შეეძლო, მოგვიანებით კი ახალი მანქანა შეიძინეს. ექსპერიმენტების პროცესში მათ ცნობილი „მისონის ზიგზაგი“ აღმოაჩინეს.

სალვატორე ფერაგამომ კალიფორნიის უნივერსიტეტში ჩააბარა, რათა მათემატიკის და ანატომიის ყველა წვრილმანი შეესწავლა: იგი შეპყრობილი იყო იდეით, შეექმნა ღვთაებრივად ლამაზი ფეხსაცმელები მაქსიმალურად მოსახერხებელი კალაპოტით.



ანჯელა და ოტავიო მისონები
ბენჯამინ კანარეკის ფოტო

თავდაპირველად ოტავიოს და როზიტას სახელოსნოში მხოლოდ ერთი მანქანა ჰქონდათ, რომელსაც სწორი და ზოლიანი ქსოვილის დამზადება შეეძლო, მოგვიანებით კი ახალი მანქანა შეიძინეს. ექსპერიმენტების პროცესში მათ ცნობილი "მისონის ზიგზაგი" აღმოაჩინეს.



ფიამა ფერაგამო



სალვატორე ფერაგამო თავის სახელოსნოში, იტალიაში




პეტი და ანა კლივლენდები Lanvin-ის სარეკლამო კამპანიაში, 2015 წლის გაზაფხული-ზაფხული

რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს 70–იანი წლების ერთ–ერთი ყველაზე პოპულარული მოდელის, პეტ კლივლენდისა და ცნობილი ფოტოგრაფის, პოლ ვან რავენშტაინის რომანს? პასუხი მარტივია: მხოლოდ ასეთ წყვილს შეიძლებოდა შესძენოდა ზაკ პოზენის ფავორიტი, მისი ჩვენებების მუდმივი მონაწილე, პოპულარული მოდელი — ანა კლივლენდი. დედას პატარა ანა მოდური ჩვენებების დროს კულისებში უკვე 3 წლის ასაკში შეჰყავდა ხოლმე, ხოლო მოგვიანებით მასზე შეფობა თვით კარლ ლაგერფელდმა აიღო. ამ წელს ცნობილი დედა–შვილი Lanvin–ის სარეკლამო კამპანიაში გადაიღეს.

იმავე სარეკლამო კამპანიაში გადაიღეს სხვა მოდური დინასტიების წარმომადგენლებიც: ქრისტენ ოუენი ბილი როუზ ოუენთან ერთად და ვიოლეტა სანჩესი ქალიშვილთან — ლუს გოდინთან ერთად.

„შეეძლო კი ამ 18 წლის გოგონას გამხდარიყო მოდელი, მის ზურგს უკან დედამისი რომ არ მდგარიყო?“ — ერთხმად კითხულობენ მოდის ინდუსტრიის წარმომადგენლები და უბრალოდ შურიანი ადამიანები. საუბარია ლილი მაკმენამიზე, რევოლუციური 90–იანების სახელგანთქმული მოდელის, მშვენიერი კრისტენ მაკმენამის ქალიშვილზე.

19 წლის ასაკში ლილი, მიუხედავად, რბილად რომ ვთქვათ, ულამაზო გარეგნობისა, წარმატებით იპყრობს მოდის მწვერვალს, უკვე მონაწილეობს Marc Jacobs–ის ჩვენებებში და სარეკლამო კამპანიებში, Louis Vuitton-ის, Saint Laurent–ის ჩვენებებში და ხშირად ჩნდება მოდური ჟურნალების გარეკანზე.




კრისტენ მაკმენამი. ჟურნალ Love-ის მე-6 გამოშვება, 2011 წელი



ლილი მაკმენამი. ჟურნალ Love-ის მე-9 გამოშვება, 2013 წელი

კეიტ მოსის 12 წლის ქალიშვილს – ლილა გრეისს უკვე რამდენიმე წელია, რაც თავისი პორტფოლიო აქვს. ლილა და მისი მეგობარი ირისი, ჯუდ ლოუს ქალიშვილი, ხშირად აწყობენ მოდურ ფოტოსესიებს. ცნობილი მოდელის პატარა ასლს უკვე უწინასწარმეტყველებენ დიდ მომავალს და ვარსკვლავის კარიერას.



ლოტი მოსი. Calvin Clein Jeans,2014 წელი

კეიტ მოსმა ჩრდილში არც თავისი ახლობლები დატოვა — მისი მამინაცვლის შვილი ლოტი უკვე ითვლება დიდი იმედების მომცემ მოდელად. 14 წლის ასაკში, თავისი უფროსი დის ქორწილში, იგი შემთხვევით მოხვდა თავად მარიო ტესტინოს ობიექტივში, ხოლო 16 წლის ასაკში ხელი მოაწერა კონტრაქტს სააგენტო Storm–თან, რომელთანაც კეიტი თანამშრომლობს.

თუ შენი ბებია ბრიტანული მოდის ლეგენდაა, პაპა — Sex Pistols–ის ყოფილი მენეჯერი, ხოლო მშობლები — Agent Provocateur–ის მარკის დამფუძნებლები, აღარაფერი გრჩება გარდა იმისა, რომ მოდის ინდუსტრიაში ჩაერთო. ვივიენ ვესტვუდის 16 წლის შვილიშვილის, კორა კორეს პირველი დეფილე ბებიის ჩვენებაზე მოეწყო 2014 წელს, მანამდე კი, როგორც გაირკვა, იგი უკვე არაერთი წლის განმავლობაში „უწევდა კონსულტაციას“ თავის წინაპარს იმის თაობაზე, თუ რა არის მოდაში ლონდონის სუბკულტურებში — გოთებს, პანკებსა და ჰიპებს შორის — და მას ახალი კოლექციების შექმნას შთააგონებდა.





თანამედროვეობის უდიდესი მუსიკოსი მიკ ჯაგერი და 70-80–იანი წლების ერთ–ერთი სახელგანთქმული მანეკენი — შეუძლებელი იყო ასეთ წყვილს ულამაზესი ქალიშვილი არ შესძენოდა. models.com–ის ვერსიით, ჯორჯია მეი ჯაგერი 24–ე ადგილს იკავებს 50 საუკეთესო მოდელის სიაში და კომერციულად მსოფლიოს ყველაზე წარმატებული მოდელების რიცხვში შედის. ჯორჯია არის Hudson Jeans–ის სახე, მან ხელი მოაწერა კონტრაქტს ბრიტანულ კოსმეტიკურ ბრენდ Rimmel-თან, ასევე მონაწილეობდა ლონდონში ოლიმპიური თამაშების დახურვის ცერემონიაში. 2014 წელს გოგონა Vogue–ის ყდაზე გამოჩნდა, გადაიღეს Miu Miu–ს და Sisley–ს სარეკლამო კამპანიებში, გამოდიოდა Tom Ford–ის, Rag&Bone–ის, Fendi-ს და Versace–ს ჩვენებებზე.



სტეფან სეიმური ვაჟებთან – პიტერ და ჰარი ბრანტებთან ერთად. ჟურნალი Harper's Brazil, 2014 წელი




ჯერი ჰოლი და ჯორჯია მეი ჯაგერი. ჟურნალი ELLE Brazil, 2013 წელი

ვარსკვლავების შვილებს შორის აუცილებლად უნდა გამოვყოთ სტეფან სეიმურისა და პიტერ ბრანტის შვილები. პიტერი და ჰარი — მოდის თავდადებული მიმდევრები, ზედმეტად განებივრებულები საზოგადოების სიყვარულით, it-boys, les enfants terribles, რომლებმაც ასე ადრე დაიწყეს ვარსკვლავური კარიერა.პიტერ–უმცროსი ძალიან პოპულარულ ჟურნალ The look–ის საავტორო სვეტში ხელოვნებასა და მოდაზე მსჯელობს, მას Givenchy–ს სარეკლამო კამპანიაში იღებენ, ხოლო ახალგაზრდა ლამაზმა ჰარიმ IRFE–ს ჩვენებაზე უკვე დაიპყრო მაყურებელთა გულები.




ბრუკლინ ბეკჰემი. ჟურნალი Man about Town, 2014 წელი

რომეო ბეკჰემი Burberry Prorsum-ის ჩვენებაზე, 2014 წელი



მოდელების როლი მოირგეს, ასევე, კიდევ ერთი ვარსკვლავური წყვილის, დევიდ და ვიქტორია ბეკჰემების შვილებმა. უფროსი — ბრუკლინი Man about Town–ის გვერდზე იწონებს თავს, ხოლო პატარა — რომეო უკვე გადაიღეს Burberry Prorsum–ის ორ სარეკლამო რგოლში.

გახსოვთ ახალგაზრდა არნოლდ შვარცენეგერი? წარმოიდგინეთ იგი, მოაშორეთ გულმკერდის კუნთები, დაუმატეთ სიტკბოს და ქარიზმის ცენტნერი — და მიიღებთ მისი ვაჟის პორტრეტს, კეთილი გულის ბიჭის (იგი დაკავებულია ქველმოქმედებით), რომელსაც დამწყები მოდელისათვის საუკეთესო მონაცემები აქვს. მის ანგარიშზეა მუშაობა Hudson Jeans-თან და ნამდვილი ტრიუმფი — დებიუტი Tom Ford-ის სარეკლამო კამპანიაში.



კლინტ ისტვუდს თავიდან არ უნდოდა შვილის აღიარება და უარს ამბობდა ხელი შეეწყო მისი კარიერისთვის, მაგრამ მოგვიანებით გადაიფიქრა და ისტვუდ-უმცროსს პატარა როლი შესთავაზა ფილმში „გრან ტორინო“.

კლინტ ისტვუდის ვარსკვლავური შვილი — სკოტ ისტვუდიც ცდილობს, სხვებს არ ჩამორჩეს. მის ანგარიშზეა როლი კინოფილმში „გრან ტორინო“, გადაღება ჟურნალ Town& Country-სთვის და Hugo Boss-ის სარეკლამო კამპანიაში მონაწილეობა.

სკოტ ისტვუდი. Boss Hugo Boss-ისთვის, 2014 წელი



პატრიკ შვარცენეგერი

პატარაობიდანვე დაიწყო მოდელის კარიერა ბრიტანელი ლამაზმანის, ჯუდ ლოუს ვაჟიშვილმა რაფერტ ლოუმ. 17 წლის ასაკში მან მოასწრო გამოჩენა VOGUE-ის ფურცლებზე, პოდიუმზე გასვლა DKNY-ს ჩვენებაზე და კონტრაქტის გაფორმება Select Model Management-ის სამოდელო სააგენტოსთან.

პატრიკ შვარცენეგერი – იყო ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და სკანდალური პოპ მომღერლის, მაილი საირუსის ბოიფრენდი.




რაფერტი ლოუ, ჟურნალი Teen Vogue, 2015 წელი

პატრიკ დემარშელემ — მოდური ფოტოგადაღების ნამდვილმა გენიამ, რომელიც Harper's Bazaar-ის, ELLE-ის, Vogue-ის, Life-ისა და სხვა გამოცემებისთვის მუშაობს — მხარი დაუჭირა თავისი უმცროსი ვაჟიშვილის, ვიქტორის სურვილს გაჰყოლოდა მის კვალს და 2006 წლიდან ისინი ერთად მუშაობენ. უნდა ვაღიაროთ, რომ შვილზე ბუნებამ დიდი ხნით არ დაისვენა — ნიჭიერმა დემარშელე-უმცროსმა უმოკლეს დროში მიაღწია წარმატებას და უკვე თანამშრომლობს ისეთ გამოცემებთან, როგორიცაა: Vogue China, Harper's Bazaar USA, V Magazine, Vogue Japan, Vogue Germany, Interview Magazine, GQ, Harper's Bazaar UK, 25 და Wonderland.








„კაფე ლაბორატორია გრიბოედოვზე“ კაფესა და მაღაზიის ორიგინალურ სინთეზს წარმოადგენს. უგემრიელესი კერძების დაგემოვნების გარდა, აქ „ლაბორატორია ჩემი სახლის“ ულამაზესი აქსესუარების შეძენა შეგიძლიათ.

„კაფე ლაბორატორია გრიბოედოვზე“ მრავალფეროვანი მენიუთი და დახვეწილი ინტერიერით გამოირჩევა. მენიუ ფრანგული და იტალიური კერძების გარდა, სუშისა და კრეპების ასორტიმენტს გთავაზობთ. აქვე შეგიძლიათ დააგემოვნოთ „კაფე ლა ფრანსის“ ცნობილი ტკბილეული და ფუნთუშეული.

ზაფხულის განმავლობაში მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან ერთად სასიამოვნო დროის გასატარებლად მოსულ სტუმრებს გამწვანებული ტერასა ელოდებათ.



კაფე ლაბორატორია
გრიბოედოვზე
გაიხსნა!

ა. გრიბოედოვის ქ. 31ა / შ. რუსთაველის გამზ. 42, სავაჭრო გალერეა „მერანი“ • 591113114 • www.icr.ge

# FALL IN FALL

ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲪᲘᲕᲛᲐ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲔᲑᲛᲐ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲒᲘᲤᲣᲭᲝᲗ, ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ, ᲔᲡ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ ᲓᲐᲒᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲗ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲣᲠᲔᲑᲝᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲮᲐᲚᲘᲡᲝᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.




## SIX SHADES OF GREY

შემოდგომა/ზამთრის კოლექციებში რუხი ფერი ყოველთვის აქტუალურია. კონკრეტულად ამ სეზონზე დიზაინერების არჩევანი ამ ტონალობებში შექმნილი 50–იანი წლების ე.წ. „Le suit"–ია.







# Season's MUST-HAVE

## DIOR Boots

Dior–ის მოდის სახლის ყოფილი კრეატიული დირექტორის, რაფ საიმონსის მიერ შექმნილი ფეხსაცმელი 2015 წლის შემოდგომა/ზამთრის ნამდვილი ჰიტია. სხვადასხვა ფერის ლატექსის ტყავი, კრისტალის ფერადი ქუსლი, გამოყვანილი ფორმა – ეს ის დამახასიათებელი ნიშნებია, რომლებიც ფეხსაცმლის არჩევისას უნდა გამოიყენოთ.

# VICTORIAN VIBES

ტენდენცია, რომელმაც მე–19 საუკუნეში დაგვაბრუნა: ვიქტორიანული სტილი, მაღალი საყელოები, გოფრირებული მანჟეტები, მაქმანები, დიდი ბაფთები – ეს ყველაფერი დიზაინერებმა თანამედროვე სახით წარმოადგინეს, რაც ერთდროულად ძალიან ნაზი და სექსუალურია.






გვეწვიეთ თაჩის შოურუმებში,
არ გამოტოვოთ საახალწლო შემოთავაზებები!




თბილისი, საბურთალო, ვაჟა–ფშაველას 15; ტელ.: 238 66 50 / Tbilisi, Saburtalo, Vaja-Pshavela Ave. 15; T: 238 66 50
თბილისი, გლდანი,ხიზანიშვილის ქ. 15; ტელ.: 570 50 89 66 / Tbilisi, Gldani, Khizanishvili str. 15; T: 570 50 89 66

ZORLU | /Tac Georgia

# VELVET ADDICTION

ხავერდი უკვე რამდენიმე სეზონია კვლავ მოდაშია.
მეტიც, ამ ქსოვილით შექმნილი სამოსი
2015 წლის შემოდგომა/ზამთრის
კოლექციებში ნამდვილი ჰიტია.
ეცადეთ აქცენტი მკვეთრ ფერებზე შეაჩეროთ.









## ბრენდი, რომელიც ქმნის ცხოვრების სტილს

„ლაბორატორია ჩემი სახლი" გთავაზობთ მსოფლიოს წამყვანი ბრენდების ავეჯისა და აქსესუარების მრავალფეროვან არჩევანს დახვეწილი და ორიგინალური ინტერიერის შესაქმნელად. აქ შესაძლებელია ნებისმიერი ინდივიდუალური თუ იდუსტრიული დიზაინის პროექტის განხორციელება. „ლაბორატორია ჩემი სახლი" წარმოდგენილია 5 მაღაზიით თბილისსა და ბათუმში.

თბილისი: ალმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ • ჭავჭავაძის გამზ. 27ლ („ჰოუმმარტი", მე-2 სართ.)
პ. ქავთარაძის ქ. 1 (IG მოლი) • ც. დადიანის ქ. 7 („ქარვასლა") • ბათუმი: ზუბალაშვილის ქ. 37

ლაბორატორია ჩემი სახლი

WWW.ICR.GE ICRCORPORATION LABORATORYMYHOME



Louis Vuitton A/W 2015

Roland Mouret A/W 2015

Carven A/W 2015

# SHOW YOUR LEGS

თუ მიგაჩნიათ, რომ ლამაზი ფეხები გაქვთ, მაშინ ეს სეზონი სწორედ თქვენთვისაა. ძალიან მოკლე, ტრაპეციის ფორმის ქვედაბოლოები „ივ სენ ლორანის“, „კარვენის“ და ბევრი სხვა დიზაინერის კოლექციის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია.



Suno A/W 2015

Christian Dior A/W 2015

Salvatore Ferragamo A/W 2015

# PLEATS PLEASE

პლისე ქვედაბოლო ძალიან ბევრი დიზაინერის კოლექციაში შეგვხვდა პარიზში, მილანსა თუ საქართველოში. წარმოდგენილია როგორც ტვიდის, ისე შიფონისა და სხვა თხელი ქსოვილებისგან შექმნილი ქვედაბოლოები.



www.facebook.com/OUtdoor.ge

# LET'S SHINE

თუ გსურთ ლამაზად და განსხვავებულად
გამოიყურებოდეთ, მაშინ ცოტაოდენი სითამამე
გამოიჩინეთ და არჩევანი მეტალიკზე შეაჩერეთ.
მბზინავი და ბრჭყვიალა ფაქტურები,
მეტალიკი ქსოვილები —
სწორედ ის არის, რაც შემოდგომა/ზამთარი
2015-ის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია.











# Season's MUST-HAVE

## LOUIS VUITTON Bag

მოდის სახლი Louis Vuitton-ი ყოველთვის გამოირჩევა ჩანთების განსაკუთრებული დიზაინით. ამ სეზონზე ნიკოლა ჟისკერის მიერ შემოთავაზებულ კოლექციაში ფერადი, პრინტიანი, ახალგაზრდული და საკმაოდ მკაცრი, ოთკუთხედის ფორმის ჩანთებია წარმოდგენილი.

# WARM FEELINGS

ამ სეზონზე თამამად შეგიძლიათ არჩევანი ისეთი სტილის, ფორმისა თუ ფერის პალტოზე შეაჩეროთ, როგორიც მოგწონთ. მოდაშია აბსოლუტურად ყველანაირი სტილი: სწორი, ტრაპეცია, მომრგვალებული ფორმის, მოკლე თუ გრძელი, ორ ან ერთბორტიანი, საყელოთი თუ მის გარეშე. ყველაფერი თქვენს არჩევანზეა დამოკიდებული.



Marni A/W 2015

Miu Miu A/W 2015

Calvin Klein Collection A/W 2015

Stella McCartney A/W 2015

Victoria Beckham A/W 2015

Balenciaga A/W 2015

Chanel A/W 2015





# მოდური სიმაღლეები

ცნება „მაღალი მოდა“ ისევე განუყოფელია საფრანგეთისგან, როგორც წითელი ღვინო, დილის კრუასანები და ეიფელის კოშკი. თუ მოდა პარიზში დაიბადა, მაშინ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ მის დაბადებას წელიწადში 2-ჯერ აღვნიშნავთ: იანვრის ბოლოს და ივლისის დასაწყისში. წვეულება 5 დღე გრძელდება და ნამდვილად საამაყო სახელს ატარებს. ჩვენ კი წილად გვხვდა პატივი დავსწრებოდით მოდის ამ დღესასწაულს და იქ მიღებულ შთაბეჭდილებას ჩვენს მკითხველს ვუზიარებთ.

## CHRISTIAN DIOR

„დიორი“ ყოველთვის ზღაპარია, მნიშვნელობა არ აქვს, რას ვაკეთებ“, — განაცხადა დიზაინერმა რაფ საიმონსმა. სწორედ ეს ზღაპარი აქცია რეალობად მისმა ჩვენებამ. პალტოები — ასიმეტრიული, სხვადასხვა ზომისა და ფორმის სახელოებით, სხვადასხვა სიგრძის, ბეწვითა და პრინტიანი ქსოვილებით. საოცრად ქალური იყო შიფონისა და ხავერდის კაბები. 70-იანების სტილში იყო გადაწყვეტილი ფეხსაცმელი, რომელსაც ფერადი პლატფორმა ჰქონდა.







## CHANEL

კარლ ლაგერფელდმა პოდიუმი ამჯერად კაზინოდ გადააქცია. სათამაშო მაგიდებთან მისი მუზები ისხდნენ: კრისტენ სტიუარტი, ჯულიანა მური, ჯერალდინა ჩაპლინი, ლარა სტოუნი, რინკო კიკუჩი, რიტა ორა, ვანესა პარადი და სტელა ტენანტი. ყოველ მათგანს კარლის მიერ სპეციალურად მათთვის შექმნილი სამოსი ეცვა.  ლაგერფელდმა ჩვენებით ცინიკურად გაუსვა ხაზი იმას, რომ მსოფლიო დღეს ერთი დიდი კაზინოა, აზარტული ადამიანებით სავსე.





## FRANCK SORBIER

დიზაინერმა საკუთარი კოლექცია საოცრად ორიგინალური ფორმით წარმოადგინა. დათოვლილი ტყის პეიზაჟის ფონზე რიგრიგობით გამოდიოდნენ კოსტიუმებში გამოწყობილი ბალერინები და ცეკვავდნენ. კოლექციის შესაქმნელად გამოყენებულია ულამაზესი მაქმანები, შიფონი, ატლასი. კოლექციაში ყველა კაბა თეთრი ფერის იყო.











## GIAMBATTISTA VALLI

ამჯერად ჯამბატისტა ვალის  მუზა ახირებული, თამამი და ფერების მოყვარული ქალია. კოლექცია, შეიძლება ითქვას, ორ ნაწილად იყო დაყოფილი: პირველ ნაწილში მოდელებმა, ძირითადად, შავი და ნაცრისფერი კოსტიუმები წარმოადგინეს, შემდეგ კი აჩვენეს გადაჭარბებული მოცულობის, მკვეთრი ფერების, ყვავილების პრინტიანი ჰაეროვანი, ფუშფუშა ქსოვილებითა და თვლებით შექმნილი კაბები.

ჯამბატისტა ვალიმ
პირველად მაღალი მოდის
კვირეულზე 2011 წელს
წარადგინა კოლექცია





## JULIEN FOURNIE

ასიმეტრიული ქვედაბოლოები, ორიგინალური პიჯაკები, მაღალწელიანი შარვლები და გრძელი საღამოს კაბები წარმოადგინა დიზაინერმა თავის ახალ კოლექციაში. ქსოვილები  დატვირთულია სხვადასხვა ორნამენტით, მაქმანებითა და მძივებით. გამოყენებულია შიფონი, ხავერდი, ტყავი, ორგანზა. კოლექციის განსაკუთრებით საინტერესო ნაწილი იყო თავსამკაულები და ყელსაბამები.



## RAMI AL ALI

კოლექციის შექმნისას რამი ალ ალის ინსპირაციის წყარო 40-50–იანი წლები გახდა. ფუშფუშა ქსოვილებისგან შეკერილი კაბები და მდიდრული ქსოვილებისგან შეკერილი გრძელი, ქალური სილუეტის კოსტიუმები ერთ ჩვენებაში იყო გაერთიანებული. კოსტიუმებში ვინტაჟური და თანამედროვე ელემენტები ჰარმონიულად ერწყმოდა ერთმანეთს.

სტეფან როლანი მიიჩნევს, რომ მაღალი მოდა ტყუილს ვერ იტანს



## STEPHANE ROLLAND

გრძელი საღამოს კაბები და კომბინეზონები, ძირითადად, კრემისფერ, ოქროსფერ, თეთრ და შავ ფერებში იყო გადაწყვეტილი. ქსოვილები გაფორმებულია ასიმეტრიული ორნამენტებითა და გეომეტრიული ფიგურებით. საოცრად შთამბეჭდავი აღმოჩნდა კოსტიუმები ორიგინალური მხრებით.



## VALENTINO

მარია გრაცია კიურის და პიერპაოლო პიჩიოლის თვალით დანახული რომი — სწორედ ეს იყო ჩვენების მთავარი თემა. მოდელები გრძელ, მდიდრულ კაბებში არიან გამოწყობილები, ფეხზე კი „გლადიატორები“ აცვიათ. ყველა მათგანს რომის იმპერიის სიმბოლოებით გაფორმებული თავსამკაული და ყელსაბამი უკეთია. კოლექცია, ძირითადად, შავ ფერშია გადაწყვეტილი, მხოლოდ რამდენიმე კოსტიუმია ოქროსფერი და წითელი.





## ZUHAIR MURAD

ჩვენების მთავარი თემა კოსმოსი და ვარსკვლავები იყო. გალაქტიკა ზუჰაირ მურადის ინსპირაციის წყარო ჯერ კიდევ 1999 წელს, მისი სადებიუტო კოლექციის შექმნისას გახდა. 15 წლის შემდეგ იგი კვლავ უბრუნდება ამ თემას და ამჯერად განსხვავებულ ფორმებს, ფერებსა და ქსოვილებს გვთავაზობს. „მომწონს ცაში მოგზაურობის იდეა. ეს ისაა, რასაც ყოველღამე ვხედავთ“, — განაცხადა დიზაინერმა.









# რომანტიკული ავანგარდი

## ულიანა სერგეენკო

დასავლურ street-fashion–ის ბლოგებში იგი გამოდის, როგორც Russian Lady. მისი კოლექციის რთული სტილი, რომელშიც ერთმანეთშია ჩაწნული სტალინური რეტრო, მე–20 საუკუნის დასაწყისის მოდა და ბურლესკური ეროტიზმი, საყოველთაო ყურადღებას იპყრობს. ულიანა სერგეენკოს ბრენდის პირველმა ჩვენებამ სერიოზული აჟიოტაჟი გამოიწვია. პარიზში მაღალი მოდის კვირეულის ფარგლებში გამართული შოუს შემდეგ ულიანა ნამდვილ რუსულ სენსაციად იქცა. ახლა იგი წამყვანი პრიალა ჟურნალების გვერდებს ამშვენებს, მასზე წერენ ბლოგერები და ჟურნალისტები იაპონიიდან არგენტინამდე, მის სამოსს იცვამენ მთავარი ცერემონიების წითელ ხალიჩაზე, კინოფესტივალების და მიღებების დროს.

**ინტერვიუ** ნიგიარ გახრამანოვა **ფოტო** პრეს მასალა

**თქვენი მორიდებულობის მიუხედავად როგორ ახერხებთ, რომ მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოხვდეთ?**
მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ყოფნისა რა გითხრათ, მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, ბევრი ადამიანი ისე სულგრძელი აღმოჩნდა, რომ თვითონ გადმოდგეს პირველი ნაბიჯი.

**ვინ მოახდინა თქვენზე გავლენა პროფესიის არჩევისას?**
პროფესიას არ დავარქმევდი — ეს უფრო ბედია. მთელი ცხოვრების მანძილზე ყველაფერს იქით მივყავდი, რაც ახლა მაქვს. უფრო სწორად, ეს არის სხვადასხვა წვრილმან ამბავთა ჯაჭვი და აქ არ არის მეტად ან ნაკლებად მნიშვნელოვანი... თითოეულმა თავისი როლი შეასრულა.

**თითოეული ჩვენება თავისებური გამოცდილებაა. რას გრძნობთ ჩვენების მომზადებისას?**
ამ პროცესს ახლავს დიდი პასუხისმგებლობა და ნერვიულობა, რომელიც, სამწუხაროდ, ზოგჯერ ჩვენების შემდეგაც რჩება და მხოლოდ მომავალი სეზონის კოლექციაზე მუშაობის დაწყების წინ გაივლის ხოლმე.

**რა ურთიერთობა გაქვთ შვილებთან? გინდათ, რომ თქვენი ქალიშვილი თქვენ მიერ დაფუძნებული ბრენდის გამგრძელებლად იხილოთ?**
ყველაფერი ისე გვაქვს, როგორც ჩვეულებრივ ოჯახში: სკოლა, საღამოს ერთად თავშეყრა, ერთობლივი არდადეგები და მოგზაურობები. ჩემმა ქალიშვილმა ვასილისამ მოსკოვში გამართული პირველი ჩვენების შემდეგ თავისი საკუთარი მინი ჩვენება მოგვიწყო.
და აქედან მოყოლებული, იგი მუდამ მაძლევს ესკიზებს, ნახაზებს დეფილესთვის, ახალ იდეებს. იგი ბრენდის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა და, უდავოდ, ჩემს მთავარ შთაგონებად იქცა.

**პრესა თქვენს კოლექციებს კარგ შეფასებას აძლევს, ვარსკვლავები სულ უფრო ხშირად ირჩევენ თქვენს ტანსაცმელს. და თქვენ როგორ აფასებთ საკუთარ თავს?**
ჩვენი სიხარული უსაზღვროა, როდესაც ვიგებთ, რომ რიანა და ბიონსე ჩვენს სამოსში გამოჩნდნენ. როდესაც ასეთი ცნობილი ადამიანები უპირატესობას ანიჭებენ პატარა ბრენდს რუსეთიდან, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს მთლიანად ჩვენი გუნდისთვის.

**როგორ რეაგირებთ კრიტიკაზე?**
ავადმყოფურად. ყველაზე უფრო საწყენია, როდესაც ადამიანები ყურადღებას აქცევენ ზუსტად იმ შეცდომებს, რომლებიც თავად აღმოაჩინე და ფიქრობდი, რომ სხვებისთვის შეუმჩნეველი დარჩებოდა.






Ulyana Sergeenko Haute Couture F/W 2015





«ჩემმა ქალიშვილმა ვასილისამ მოსკოვში გამართული პირველი ჩვენების შემდეგ თავისი საკუთარი მინი ჩვენება მოგვიწყო»



**როგორ დაუჭირეს მხარი მიროსლავა დუმამ და ბიურო 24/7-მა თქვენს ბრენდს?**
მიროსლავა ჩემი დიდი ხნის მეგობარია. ჯერ კიდევ ბიუროს გამოჩენამდე ვურთიერთობდით და ვმეგობრობდით, ვუზიარებდით ერთმანეთს იდეებს იმაზე, თუ რას გვინდა ხორცი შევასხათ ცხოვრებაში. უკვე მოგვიანებით იყო რუსული მოდის დესანტი ამერიკასა და ევროპაში. მირას უსაზღვრო ენთუზიაზმმა და საკუთარი საქმის სიყვარულმა Buro ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ინტერნეტ პროექტად აქცია რუსეთში მოდის და კულტურის სფეროში, ხოლო მიროსლავა საკულტო პერსონაჟი და მისაბაძი მოდელი გახდა.

**როგორ გამოიყურება თქვენთვის ქალი, რომელსაც ულიანა სერგეენკო აცმევს?**
კლიენტები გვყავს სხვადასხვა ქვეყნიდან, ესენია: ყაზახეთი, ბაჰრეინი, ინდონეზია, ამერიკა, საუდის არაბეთი, შვეიცარია. ისინი წარმოუდგენელი ოსტატობით ახდენენ ულიანა სერგეენკოს ნივთების ადაპტირებას თავიანთი კულტურის თავისებურებებთან და, ასევე, ცალკეულ საგანს თავისებურად ატარებენ. სასიამოვნოა იმის შეცნობა, რომ ჩვენს სამოსში თითოეულ ქალს რაღაც განსაკუთრებული ხიბლავს.



### ცნობა

ულიანა სერგეენკო დაიბადა ყაზახეთში,
ქალაქ უსტ-კამენაგორსკში 1981 წელს.

ზოდიაქოს ნიშანი – ქალწული.

სტილის ხატად ბავშვობაში საკუთარი ბებია ჰყავდა, რომლის სახეს ულიანა შეუცვლელად იყენებს თავის კოლექციებში.

15 წლის ასაკში სერგეენკო მშობლებთან ერთად სანკტ-პეტერბურგში გადავიდა, სადაც ერთი წლის შემდეგ ლამის მოდელი გახდა: იგი სამოდელო სააგენტო Modus Vivendis-ში მიიწვიეს, მაგრამ მშობლებმა გადაჭრით უარი თქვეს.

ულიანამ სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა ფილოლოგის სპეციალობით.

ულიანა სერგეენკო პირველად ქალაქის საზოგადოების წინაშე მისი მომავალი (იმ მომენტისათვის) ქმრის 35 წლის იუბილეს აღნიშვნაზე წარდგა.

რამდენიმე წლის შემდეგ იმ პერიოდიდან, რაც სერგეენკომ მაღალი წრის ქრონიკებში გამოჩენა დაიწყო, მასზე მოდის მთელი სამყარო ალაპარაკდა. პროფესიონალებმა მისი კოლექციების განხილვა დაიწყეს, ხოლო პარიზში გამართულ მის ჩვენებებზე პირველი რიგები პატრიკ დემარშელემ, ანა დელო რუსომ, კორინ როიტფელდმა, სიუზი მენკესმა და სხვა VIP-პერსონებმა დაიკავეს.

ულიანა სერგეენკოს ჰყავს ორი შვილი – ქალ-ვაჟი.









# TBILISI FASHION WEEK

## SPRING/SUMMER 2016

ოქტომბრის დასაწყისში თბილისში მოდის სურნელი ტრიალებდა. 8-იდან 11 ოქტომბრის ჩათვლით თბილისის მოდის კვირეულის რიგით მე-12 სეზონი ჩატარდა. ქართველმა დიზაინერებმა გაზაფხული/ზაფხული 2016 წლის კოლექციები წარმოადგინეს და ძალიან კარგი შეფასებები დაიმსახურეს საერთაშორისო დონის პრესისა და მოწვეული სტუმრებისგან.

ირმა შარიქაძის პერფორმანსი
ფოტო: ანა კოსტამაროვა



## GEORGE SHAGHASHVILI

NATALIE CANTELL (CONTRIBUTOR, VOGUE AUSTRALIA):

ეს პირველი ჩვენებაა, რომელიც თბილისში ვნახე და ძალიან მომეწონა. მიმაჩნია, რომ ქართველი დიზაინერები ნიჭიერები არიან. შავი ფერი მიყვარს და ამ დიზაინერის ტანსაცმელს სიამოვნებით ვატარებდი. გამოვარჩევდი კულმინაციას, შოუს დადგმითა და კოსტიუმებით.



## SO YOU BRAND

RYAN KOOPMANS (DOCUMENTARY PHOTOGRAPHER):

ძალიან საინტერესო ჩვენება იყო.
მომეწონა გარემო, რომელშიც დიზაინერებმა კოლექცია წარმოადგინეს. მათ ძალიან საინტერესოდ გამოიყენეს, აგრეთვე, ქართული ტრადიციული დეტალები და ეს ყველაფერი კომერციულ ტანსაცმელს შეუსაბამეს.
ვულოცავ დიზაინერებს წარმატებულ დებიუტს.



## MARIAM GVASALIA

ELENA BARA ( EDITOR, VOGUE ITALIA):

ვფიქრობ, მარიამ გვასალიას კოლექცია ახალი ხედვითაა შექმნილი. ეს დიზაინერი ჩემი ერთ–ერთი ფავორიტია. მომწონს მისი მუშაობის სტილი, ქსოვილების კომბინირება და გადანაწილება სამოსში. ძალიან მომეწონა, რომ გამოყენებული ჰქონდა ხავერდი და ბადე. მისი ფეხსაცმელები კი, უბრალოდ, მიყვარს. აუცილებლად უნდა ვთქვა ისიც, რომ მოდელები იდეალურად ჰყავდა შერჩეული. შოუ მართლაც სრულყოფილი იყო.



## MATÉRIEL BY ALEKSANDRE AKHALKATSISHVILI

DARIA SHAPOVALOVA ( FOUNDER KIEV FASHION DAYS):

საოცარი შოუ იყო, იმიტომ რომ კონცეფცია ჰქონდა.
დიზაინერს ბევრი უმუშავია ჩვენების ყველა დეტალზე: სამოსზე, მოდელებზე, აქსესუარებზე, მაკიაჟსა და ვარცხნილობაზე. ძალიან მომეწონა საყურეები.
ჩემი ფავორიტი კოსტიუმი კი გრძელი ტყავის კაბა გახდა.




## IRMA SHARIKADZE
## IRMA DE FLORE



NICKQUE PATTERSON (CONTRIBUTOR, I-D MAGAZINE):
საოცარი პერფორმანსი იყო. სიტყვები არ მყოფნის. აღფრთოვანებული ვარ იდეით, სამოსით, შესრულებით, ადგილმდებარეობით. ძალიან ლამაზი იყო ყველაფერი და, რაც მთავარია, იდეა ზუსტად მოვიდა მაყურებლამდე.






## MACH & MACH

ADRIANO CISANI (PHOTOGRAPHER, VOGUE ITALIA):
ძალიან ახალგაზრდული, საინტერესო კოლექცია იყო. მომეწონა, რომ ტანსაცმელთან ერთად დიზაინერებმა აქცენტი აქსესუარებსა და ფეხსაცმელზე გააკეთეს. მათ საინტერესოდ შეუხამეს ერთმანეთს განსხვავებული ფაქტურები და ქსოვილები.





## NARNY

FAROUK CHEKOUFI (JOURNALIST, PLANET FASHION):
ძალიან ლამაზი, ჰაეროვანი, დახვეწილი კოლექცია იყო. ვულოცავ დიზაინერს წარმატებულ ჩვენებას, ძალიან მომეწონა.





## LAKO BUKIA

GEMMA WILLIAMS ( FASHION CONSULTANT):
ძალიან მომეწონა ის, რომ ძირითადი აქცენტი ყვავილების პრინტზე იყო გადატანილი. კოლექცია მართლაც გაზაფხული–ზაფხულისთვისაა შექმნილი. მომეწონა ჰაეროვანი ქსოვილების გამოყენებაც. განსაკუთრებით მოვიხიბლე რამდენიმე მოსაცმელითა და ფეხსაცმლის ქუსლით.



## CHUBIKA

KRISTI VELIAJ ( JOURNALIST, GRAZIA ITALIA)

თეატრალური, დრამატული და მგზნებარე შოუ იყო.
მომეწონა, რომ ეს არ იყო უბრალოდ ჩვენება და მასში ბევრად მეტი რამ იყო ჩადებული. აქამდე ჩუბიკას შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდი, თუმცა აღმოვაჩინე, რომ ძალიან საინტერესო დიზაინერია. სიამოვნებით შევავსებდი ჩემს გარდერობს მისი რამდენიმე კოსტიუმით.



## LIKA FOR LIKA

ADAM KATZ SINDING (PHOTOGRAPHER, W MAGAZINE):

მიყვარს ძლიერი ქალი და ვფიქრობ, დიზაინერის ინსპირაციაც სწორედ ეს იყო. მომეწონა ჯინსები და ტყავის ქურთუკები. საკმაოდ შეკრული კოლექცია იყო.



## GEORGE KEBURIA

ELISABETA TUDOR ( JOURNALIST, NOWFASHION):

ეს კოლექცია, ვფიქრობ, ახალი მუხტის შემომტანია.
გიორგი ქებურიამ, თავისი ძლიერი სტილით, წარმოგვიდგინა ორიგინალური ელემენტებით გაფორმებული სამოსი.
ჩემი აზრით, ესაა მისი ხედვა თავისუფლების იდეის გადმოსაცემად.
ის ერთ–ერთი ყველაზე ახალგაზრდა, ძალიან ნიჭიერი და პერსპექტიული დიზაინერია. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო საყურეები.




## DALOOD

LILITH ALICE BUßFEL ( JOURNALIST, 55 PAGES ):

ერთ–ერთი ჩემი ფავორიტი კოლექცია სწორედ „დალოოდის“ იყო – კარგად შეკრული იდეით, კონცეფციით, დეტალებით. მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი აღფრთოვანება გამოიწვია ქართულ ენაზე დაპრინტულმა ქსოვილმა, იყო ძალიან ტენდენციური და, ასევე, საკმაოდ კომერციულიც.
ვფიქრობ, ეს ბრენდი მარტივად შეძლებს დაიმკვიდროს ადგილი საერთაშორისო ბრენდებს შორის.





# BULLI

ROZA SYNAYSKI (CONTRIBUTOR, ELLE RUSSIA):
მიყვარს ფერები და ეს კოლექციაც ძალიან ლამაზი იყო. საინტერესოდ ჰქონდა დიზაინერს პრინტები, ფერები და სხვადასხვანაირი ქსოვილები შეხამებული. სიამოვნებით მოვირგებდი მის რომელიმე სამოსს.





# ATELIER 27

REGIS COLLIN (JOURNALIST, NOWFASHION):
ძალიან საინტერესო კოლექცია იყო. მომეწონა კონცეფცია და დიზაინერის მიერ გამოყენებული გეომეტრიული ფორმები. კოსტიუმებს ეტყობოდა, რომ დიზაინერმა საკმაოდ ბევრი იმუშავა თითოეულ დეტალზე.





# NEW TALENTS

თბილისის მოდის კვირეულის ფარგლებში გაიმართა ახალბედა დიზაინერების კონკურსი. 6-მა დამწყებმა დიზაინერმა წარმოადგინა 5 კოსტიუმისგან შემდგარი კოლექცია. თავისი ფავორიტი დაასახელა მოდის სახლმა "Dalood", იტალიურმა "Vogue"-მა, ქართულ-ამერიკულმა უნივერსიტეტმა და ჟურნალმა „ნარგის საქართველომ".


NINI DONADZE


ELVIS JAMES


NINI CHELIDZE


TEKLA RAZMADZE


NUTSA JANELIDZE


ANA GOGUADZE

# უზადობის ფორმულა

ჟურნალ NARGIS-ის ფურცლებზე წარმოგიდგენთ აზერბაიჯანის პირველ ლედის მეჰრიბან ალიევას, როგორც პიროვნებას, რომელმაც თავისი ინდივიდუალური და განუმეორებელი სტილი შექმნა.



კაბა CHANEL



იგი არის მაგალითი სტილის
თანდაყოლილი გრძნობისა
და დახვეწილი გემოვნებისა,
რომელიც უკვე იქცა სულიერი
სიძლიერისა და სისათუთის
შერწყმის სიმბოლოდ.

კაბა HERMÈS



მეჰრიბანის სტილი -
ეს არის ერთგულება
კლასიკისადმი,
ქალურობა და
მომხიბვლელობა.

კაბა FENDI



კაბა DOLCE & GABBANA



ხაზების უბრალოება და
სადა ელეგანტურობა ხაზს
უსვამს ბუნებრივ ქარიზმას,
კულტურას და შინაგანი
სამყაროს სიმდიდრეს.





ფოტო ALEXSANDER TEREKHOV



# VISUAL OPTIMISM

ცნობილი ბლოგერი, **IT GIRL** და მოდელი ნატალი კანტელი თბილისის მოდის კვირეულის ერთ-ერთი მთავარი სტუმარი გახლდათ. მან ქართველი დიზაინერების სამოსი მოირგო, ფოტოები კი ექსკლუზიურად „ნარგის საქართველოსთვის“ ცნობილმა ფოტოგრაფმა ადამ კაც სინდინგმა გადაიღო.

**ფოტო** ადამ კაც სინდინგი **სტილი** ანანო დოლაბერიძე

Shirt - **LAKO BUKIA**



Earrings, coat, pants - **MATÉRIEL BY ALEKSANDRE AKHALKATSISHVILI**



Earrings, top, pants - **GEORGE KEBURIA**



Jacket, brooch, skirt - **DALOOD**



STARRING: Natalie Cantell
MAKE-UP: Teko Shenken
HAIRSTYLE: Giorgi 4U
RETOUCHING: David Eristavi
ASSISTANT: Maya Chanturidze
LOCATION: Rooms Hotel Tbilisi

Over-knee boots, dress - **MARIAM GVASALIA**



# DATING WITH THE 90'S

თუ გსურთ ამ სეზონზე "COOL" გოგოს სტატუსი მოირგოთ, ამას ქართველი დიზაინერების სამოსის გამოყენებით მარტივად შეძლებთ. 90-იანების სტილი კვლავ აქტუალურია. განიერი მხრები, ვინტაჟი ჯინსი, მბზინავი ქსოვილები და, რაც მთავარია, დიდი საყურეები – ეს ყველაფერი აუცილებელია იმისთვის, რომ მოდურად გამოიყურებოდეთ.

**ფოტო** რაიან კუპმანსი **სტილი** ანანო დოლაბერიძე

Jacket **VINTAGE**
Pants **MATÉRIEL BY TIKO PAKSASHVILI**
Boots **DALOOD**



Jacket **DALOOD**
Pants **MATÉRIEL BY TIKO PAKSASHVILI**
Boots **DALOOD**



Coat **MATÉRIEL** by **LADO BOKUCHAVA**



Sweater, pants, boots - **DALOOD**



Pants **MATÉRIEL BY TIKO PAKSASHVILI**
Boots **DALOOD**



Turtleneck **MATÉRIEL by ALEKSANDRE AKHALKATSISHVILI**
Pants **MATÉRIEL by TIKO PAKSASHVILI**



Shirt **DALOOD**
Jeans **VINTAGE**

**RETOUCHING** David Eristavi
**MODEL** Marita Janashia / Geomodels Agency
**MAKE-UP** Teko Shenken
**HAIRSTYLE** Giorgi 4U
**ASSISTANT** Maya Chanturidze



Shirt, boots - **DALOOD**
Jeans **VINTAGE**



# გზამკვლევი მოდურ ლაბირინთებში

ჯემა უილიამსი

ლონდონის მოდის ბაზის შემქმნელი ჯემა უილიამსის პროფილი ფილმები და ტელევიზიაა, ამ განხრით ვიზუალზე ზრუნვა. მისი მიზანი — ახალბედა დიზაინერებისა და ახალი ბაზრის ხელშეწყობაა. საქმეს დიდი პასუხისმგებლობით უდგება, გამოფენის კურირების დროს, ძირითად საქმიანობასთან ერთად, ხშირად წერს და კონსულტაციებსაც იძლევა. ერთდროულად ბევრ საქმეს აკეთებს და ეს სიამოვნებას ჰგვრის. მის კლიენტებს შორის არიან საერთაშორისო დონის დიზაინერები, კომპანიები და ინსტიტუტები, მათ შორის, ალექსანდერ მაქქუინი, ანტვერპენის მოდის მუზეუმი, მეტროპოლიტენის მუზეუმის კოსტიუმების ინსტიტუტი, ბრიტანეთის საბჭო, ლიმერიკის ხელოვნებისა და დიზაინის სკოლა, ირლანდიური დიზაინი 2015, შანხაის მოდის კვირეული და M Project.

**ინტერვიუ** ანანო დოლაბერიძე **ფოტო** ჰაზლეტ ბეარდი

**როდის დაინტერესდით მოდით?**
იმ პერიოდში, როდესაც ინტერნეტი ჯერ არ არსებობდა და მოდის სამყაროსთან წვდომა უფრო რთული იყო, მე ვაღმერთებდი ირლანდიელ დიზაინერებს — ფილიპ თრისისა და ჯონ როშას. მაშინდელი ირლანდია არ იყო მოდის სინონიმი, თუმცა ეს დიზაინერები მოდის მაღალ ეშელონებს მიეკუთვნებოდნენ. ეს ის მაგიური სამყარო იყო, რომელიც რეალობიდან გაქცევის საშუალებას გაძლევდა და მოდის საოცარ სამყაროში გამყოფებდა; მიყვარდა მათი ინტერვიუების მოსმენა და გიჟური კოლექციების ყურება ეკრანზე. გადავწყვიტე, უნივერსიტეტში ფილმებისა და ტელევიზიის განხრით მესწავლა და ცელულოიდის სამყაროში ჩავეფლე. ფილმები ახლაც ჩემი დიდი სიყვარულია. რადგან წერა მიყვარდა, ამ ინდუსტრიაში, ძირითადად, წარმოების დიზაინურ მხარეზე ვმუშაობდი ხოლმე, მაგრამ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გულწრფელად შეშფოთებული ვიყავი ინდუსტრიის გამო და მის ნაცვლად მუსიკის სფეროში ავირჩიე მუშაობა. ვიმოგზაურე ბერლინსა და ტეხასში, საბოლოოდ კი ლონდონში ჩამოვედი. ლონდონში მოდის კურირების სამაგისტრო პროგრამა გავიარე და თავით გადავეშვი მოდის ინდუსტრიაში. ბოლომდე დარწმუნებით ვერ ვიტყვი, როგორ აღმოვჩნდი საბოლოოდ აქ, მაგრამ, სავარაუდოდ, ამის მიზეზი ფანტაზიის მიმზიდველობა და ამბის თხრობის შესაძლებლობა იყო. ახლა დამოუკიდებელი სპეციალისტი ვარ და ჩემი ყოველი დღე განსხვავებულია, რაც თავისთავად დამაინტრიგებელია.

**თქვენ ხართ ავტორი წიგნისა „Fashion China“. საიდან დაიბადა ამ წიგნის შექმნის იდეა?**
ჩინეთის მოდის ინდუსტრია შედარებით ახალბედაა, ამიტომ, მის შესახებ საკმაოდ მწირი ინფორმაცია მოიპოვება, თუმცა ლონდონში დარწმუნებულები ვართ, რომ არსებობს „ჩინური ტალღა“. მიუხედავად იმისა, რომ აქ სტუდიის გახსნა ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული, ჩინეთიდან სასწავლებლად ჩამოსული სტუდენტები ამას მაინც ახერხებენ. მინდოდა თანამედროვე ჩინეთის მოდა მსოფლიოს გაეცნო. ძალიან მიხარია, როდესაც ვხედავ ახალბედა დიზაინერებს, რომლებმაც დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთში აღიარებას მიაღწიეს და ეს ასეც უნდა იყოს. ჩინური მოდის ინდუსტრია დინამიკური და სწრაფია, თუმცა ჯერ კიდევ მომწიფება სჭირდება; დარწმუნებული ვარ, შემდგომ წლებში ეს პროცესი განხილვის თემა და მღელვარების მიზეზი იქნება. დიდი ინტერესით ვაკვირდები, თუ როგორი იქნება ამ ინდუსტრიის მომავალი. დღეს ძნელია რაიმეს პროგნოზირება, თუმცა შიდა ბაზარზე ჩინეთის მოდა მყარ პოზიციებს იმკვიდრებს და ეს განსაკუთრებით დამოუკიდებელ დიზაინერებს ეხება.

**მოდით, უფრო გლობალურად ვისაუბროთ მოდაზე. როგორ შეაფასებდით დღევანდელ სიტუაციას?**
ეს საკმაოდ საინტერესო პროცესია, ჩნდება ახალი ბაზრები, ისე რომ სისტემას მთლიანობაში საფრთხეს არ უქმნის, თუმცა გავლენას ახდენს მასზე. ვინ იფიქრებდა ერთი დღის წინ, თბილისში ჩამოფრენამდე, რომ ქართველი დიზაინერი დაინიშნებოდა „ბალენსიაგაში“? რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ასეთი სახით განვითარება მართლაც ამაღელვებელია. ასევე, ვფიქრობ, რომ ციფრული ტექნოლოგიები სწრაფი ტემპით ცვლის მოდის სისტემას და ეს იყო სწორედ ჩემი საუბრის მთავარი თემა თბილისის მოდის კვირეულზე.



ჯემა უილიამსის წიგნი

> ხელოვნება და კომერცია სრულად შეთავსებადი ცნებებია. იყო კომერციული — სამარცხვინო არ არის, მთავარია, ამასთან ერთად, შენი სული და ღირსება შეინარჩუნო.

**მოდა, როგორც ბიზნესი — ამაზე რა აზრის ხართ?**
მოდა ნამდვილად ბიზნესია და თქვენს ახალგაზრდა დიზაინერებს მოუწევთ ამ ფაქტთან შეგუება. თუ ისინი ამას ვერ აცნობიერებენ და სურთ მხოლოდ ხელოვან ადამიანებად დარჩენა, მაშინ მათ ბაზრისკენ გზები სისტემის გარეთ უნდა ეძიონ.

**დღეს კომერციულ მხარეს მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე შემოქმედებითს. რას ფიქრობთ ამაზე?**

ვფიქრობ, ეს ყოველთვის ასე იყო, თუმცა დღეს მოდას უფრო მეტი კომერციული დატვირთვა აქვს. ჩემთვის მოდა ნიშნავს კრეატიულობასა და ინოვაციას კონცეფციასა თუ გასაღების მეთოდებში. აღიარებული ბრენდებიც კი, ბაზრისკენ მიმავალ ახალ გზებს ეძებენ. პატივს ვცემ და ვაფასებ ხელობას და ახალბედა დიზაინერებს, მაგრამ როგორც ყოველთვის, ნებისმიერ საქმიანობაში, კარიერის შესაქმნელად შრომა და საკუთარი თავის წარმოჩენაა საჭირო. ამ რეალობას უნდა მოერგო, ხელოვნება და კომერცია სრულად შეთავსებადი ცნებებია. იყო კომერციული — სამარცხვინო არ არის, მთავარია, ამასთან ერთად, შენი სული და ღირსება შეინარჩუნო.

**როგორ ფიქრობთ, ვინ არის ბოლო ათწლეულის ყველაზე გენიალური დიზაინერი?**
ძნელი სათქმელია! ეს საკმაოდ რთული შეკითხვაა. იქნებ პროენზა შულერი? შეიძლება დავასახელო ტომ ბრაუნი... სიმონ როშა ძალიან კარგი ნიმუშია კომერციისა და კრეატიულობის ეფექტური კომბინაციის საჩვენებლად. აგანოვიჩი კარგი კონცეპტუალური ბრენდია. იქნებ ჯობს ვთქვა, რომ დღეს ბევრი ნიჭიერი დიზაინერია, რომლებიც შემდგომ წლებში დიდ გავლენას მოახდენენ მსოფლიო მასშტაბით, მაგალითად, უმა უანგი. საინტერესოდ მიმაჩნია, თუ როგორ ჩნდება მოდის ინდუსტრიაში ისეთი ბრენდი, როგორიცაა ჟაკემუსი. ძალიან საინტერესოა კონცეპტუალურად დაიჯესტ დიზაინი ჩინეთში. ლონდონი, რა თქმა უნდა, სავსეა ტალანტებით, და მე მიყვარს ის მიდგომა, რომელსაც ქსიაო ლი და დანიელ რომერილი გვთავაზობენ. ასევე, მომწონს ფიოდორ გოლანი და პიტერ პილატო, რომლებიც განვითარდნენ და თავიანთი ადგილი დაიმკვიდრეს კომერციული კუთხით. ასევე, აღვნიშნავდი CSM-ის ახალგაზრდა კურსდამთავრებულს, რიჩარდ მელოუნს, როგორც ძლიერ დიზაინერს, რომელიც უახლოეს წლებში თავის სათქმელს იტყვის, რადგან ის საკუთარი წესებით თამაშობს.

**რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი მოდის სფეროში წარმატების მისაღწევად?**
უნდა გიყვარდეს საქმე და ეცადო თავის დამკვიდრებას.

**მოდით, ვისაუბროთ ქართულ მოდაზე. რას ფიქრობთ მასზე?**
მართლაც პატივი მხვდა, დავსწრებოდი თბილისის მოდის კვირეულს. ამდენი ნიჭიერი ადამიანის ნახვამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მათზე ბევრი არაფერი ვიცოდი. ვიცნობდი მხოლოდ იმ ნიჭიერ დიზაინერებს, რომლებიც ლონდონის პოდიუმზე ჩანდნენ.

**რამდენად აქვთ ქართველ დიზაინერებს პოტენციალი, რომ წარმატებას მიაღწიონ მსოფლიო დონის ბრენდებს შორის?**
ვფიქრობ, რომ ზემოთ ნახსენებ დიზაინერებს აქვთ მსოფლიო ბაზარზე გაჭრის პოტენციალი; ისინი უკვე წარმატებით მუშაობენ კავკასიის რეგიონში, თუმცა ეს წარმოადგენს ისეთ ბაზარს, რომელსაც ევროპასთან ნაკლებად ვაიგივებთ. ვფიქრობ, „მატერიელს" აქვს ძლიერი საერთაშორისო ხედვა და შეუძლია საზღვარგარეთ ადვილად გასვლა.

**რას ურჩევდით მათ?**
მაინტერესებს, შეუძლიათ თუ არა მათ გარე მენტორობის მიღება, ან არსებობს თუ არა მხარდამჭერი სამთავრობო სტრუქტურა, რომელიც დააარსებდა „საერთაშორისო ნიჭის" მხარდაჭერის საბჭოს და დიზაინერებს რჩევებით უზრუნველყოფდა. ასევე, მინდა ვიცოდე, არის თუ არა რაიმე ოფიციალური საყრდენი, რომელიც ახალ ბრენდებს ბაზარზე გასასვლელად ეხმარება, როგორც, მაგალითად, ლონდონში გვაქვს „ახალი გენი".

**აღმოაჩინეთ რაიმე ახალი ქართველი დიზაინერების კოლექციებში?**

მომეწონა მრავალფეროვნება. რამდენიმე გამორჩეული ჩვენება იყო „მატერიელის" ბრენდისგან. ლაკო ბუკია ახალი ტალანტია. ყველა ამ ბრენდს თავისი იდენტურობა ახასიათებს, რაც მთავარი ფაქტორია. ძალიან მომეწონა ირმა შარიქაძის ჩვენება. ძლიერი პერფორმანსის ელემენტები უფრო ეფექტური იყო, ვიდრე სამოსი, ამას სხვა მოდის კვირეულებზე ვერ ნახავთ... მომწონს ასეთი ჩართვები ჩვენებებში.

**ელოდით იმას, რაც თბილისის მოდის კვირეულზე ნახეთ?**
ვფიქრობ, ველოდი უფრო მეტი მემკვიდრეობითი ბრენდის ხილვას. მოულოდნელი იყო კოლექციებში ნატურალური მასალის ხილვა. დიზაინერებისა და ბრენდების დონეები იმაზე მეტად იყო განსხვავებული, ვიდრე ველოდი და ამან კვირეული უფრო საინტერესო გახადა, უკეთ შემაძლებინა მოდის ადგილობრივი ინდუსტრიის აღქმა.

**როგორ ფიქრობთ, შეგიძლიათ მომავალში რაიმე პროექტის განხორციელება ქართველ დიზაინერებთან ერთად?**
რა თქმა უნდა. დიდი სიამოვნებით. უკვე ვფიქრობ იმაზე, თუ რისი გაკეთება შეიძლება.

**როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**
ამჟამად ვეხმარები ბრენდებს ლონდონის მოდის კვირეულში მონაწილეობის მისაღებად, ვმუშაობ ფოტოშოუზე შანხაის მოდის კვირეულისთვის და კონსულტაციას ვუწევ უნივერსიტეტებს. გავაგრძელებ კურირებას და იმედი მაქვს, რომ ჩავერთვები სხვადასხვა ღონისძიებაში და ვითანამშრომლებ ბევრ საინტერესო კომპანიასთან, რათა მოდის ინდუსტრიის საზღვრები მეტად გაფართოვდეს.

ჯემა უილიამსი თბილისის მოდის კვირეულს სპეციალურად ლონდონიდან ეწვია და შეაფასა ქართველი დიზაინერების კოლექციები.





# BEAUTY



ილუსტრაცია ბრიტ სამოსონი

თავის მოვლა ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი და სასიამოვნო ნაწილია. მოვლილი თმა, სახის კანი, სწორად შერჩეული სუნამო თუ მაკიაჟი — ყოველ ჩვენგანს თავდაჯერებულობას მატებს, ეს უკანასკნელი კი ჩვენი პირადი თუ სამსახურებრივი წარმატების აუცილებელი პირობაა.



# სილამაზის ხელოვნება

ალბინა ქაჯაია

ესთეტიკური მედიცინა ყველა დროში იყო პოპულარული. გაახალგაზრდავების პროცედურებს ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში მიმართავდნენ. ყველასთვის ცნობილია კლეოპატრას რძის აბაზანები, დაფხვნილი მარგალიტის ნიღბები და თავის მოვლის უამრავი სხვა საშუალება. ძველ ეგვიპტესა და ჩინეთში პლასტიკურ ოპერაციებსაც აკეთებდნენ — რინოპლასტიკას, ლიპოსაქციას, თუმცა შემდგომ ეს ყველაფერი დავიწყებას მიეცა. ესთეტიკური მედიცინის აღორძინების ხანად XX საუკუნე ითვლება. განსაკუთრებით თვალშისაცემია ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე მომხდარი ცვლილებები. ეს სფერო გამუდმებით ვითარდება, ამიტომ აუცილებელია ესთეტიკურ მედიცინაში მოღვაწე ან, უბრალოდ, ამ თემებით დაინტერესებულ ადამიანებს მის პულსზე ეჭიროთ ხელი, რათა მნიშვნელოვანი სიახლეები არ გამორჩეთ. დღეისათვის ყველაზე აქტუალურ ტრენდებს და ტენდენციებს კლინიკა „ტოტალ შარმის“ მთავარი დერმატო-კოსმეტოლოგი ალბინა ქაჯაია წარმოგვიდგენს, რომელიც ცოტა ხნის წინ ბაქოში მიმდინარე ესთეტიკური მედიცინის საერთაშორისო კონგრესში მონაწილეობდა და მისი ერთ-ერთი გამარჯვებულიც გახდა.

**ტექსტი** ნანა კობაიძე **ფოტო** საშა პრიშვინი





## ბუნებრივობის კვალდაკვალ

ორი წელია ყველაზე პოპულარულ ტრენდად ე.წ. NUDE ანუ „ბუნებრივობის ეფექტი“ რჩება. ამ თვალსაზრისით მაკიაჟი და ესთეტიკური მედიცინა ერთმანეთს დაუახლოვდა. გული ან ამობრუნებული სამკუთხედი — სახის ბუნებრივი ფორმაა, რომლისკენაც დღეს კოსმეტოლოგები, ვიზაჟისტები და პლასტიკური ქირურგები ისწრაფვიან. სწორედ ამ მეთოდით მუშაობდა „ბოტოქსის მეფედ“ წოდებული ექიმი-კოსმეტოლოგი ფრედერიკ ბრანდტი, რომლის სახელსაც მადონას, გვინეტ პელტროუს, ჰოლი ბერის, დონა კარანისა და სხვა უამრავი ცნობილი პერსონის ახალგაზრდობის საიდუმლო უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ პლასტიკური ქირურგია სასურველი ეფექტის მისაღწევად ბევრად უფრო თვალშისაცემ შედეგებს იძლევა, კოსმეტოლოგია ამ ეტაპზე გაცილებით პოპულარულია. სახის ოვალის შეცვლა, ტუჩის გადიდება, თვალის ფორმის კორექტირება სწორი მაკიაჟის საშუალებით არანაკლებ ეფექტურია და არც ინვაზიურ ჩარევას საჭიროებს, ამიტომაც ლიდერ პოზიციებს ინარჩუნებს.

## გადავადებული სიბერე

ბოლო დროს ადამიანები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ, რომ დაბერების პროცესი სწორედ კანიდან იწყება და ცდილობენ, რაც შეიძლება ადრეული ასაკიდან შეუდგნენ სიბერის გადავადებაზე ზრუნვას. სხეულის საფარველის ჭკნობაზე უამრავი ფაქტორი მოქმედებს — მზის სხივები, თამბაქო, სტრესი, არასწორი ცხოვრების წესი. საწყის ეტაპზე მიმიკური ნაოჭები ჩნდება, შემდეგ იწყება კანქვეშა ცხიმის ატროფია, რაც ცხვირისა და ტუჩის ირგვლივ ნაოჭებით ვლინდება. დაბერების ყველაზე აშკარა სიმპტომია სახის ქვედა მესამედის ფტოზი, ე.წ. „ანგელა მერკელის ნაოჭები“, როგორც მას ევროპელები ეძახიან. ეს ყველაფერი ჩვენამდე რაც შეიძლება გვიან რომ მოვიდეს, კანის მოვლა ადრეული ასაკიდან უნდა დავიწყოთ, კარგი საცხებით დაწყებული — მეზოთერაპიისა და ბიორევიტალიზაციის ჩათვლით. ყველა ასაკს შესაბამისი პროცედურა ახლავს. საბედნიეროდ, არჩევანი დიდია, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ლამაზ სიბერეზე ახალგაზრდობიდან ვიზრუნოთ.

დღესდღეობით ევროპასა და ამერიკაში ძალზე მოდურია საცხები პეპტიდების შემცველობით. ეს არის ხელოვნური გზით მიღებული ცილოვანი ნივთიერება, რომელიც ადამიანის ორგანიზმზე ჯადოსნურად მოქმედებს – აქვს კარგი გამაახალგაზრდავებელი ეფექტი, აუმჯობესებს სახის ფერს, თვალის კონტურს. მიუხედავად იმისა, რომ პეპტიდები საცხების შემადგენლობაშიც შედის, გაცილებით ეფექტურია ინექციის ფორმით, რადგან ამ დროს უშუალოდ უჯრედს მიეწოდება.

## ჯადოსნური შემადგენლობა

კიდევ ერთი საინტერესო ტენდენციაა ის, რომ პაციენტებმა ძალზე ყურადღებით დაიწყეს საცხების შემადგენლობის შესწავლა. აკვირდებიან ყველაფერს და ცდილობენ, არჩევანი საუკეთესო და ეფექტურ საშუალებებზე გააკეთონ. დღესდღეობით ევროპასა და ამერიკაში ძალზე მოდურია საცხები პეპტიდების შემცველობით. ეს არის ხელოვნური გზით მიღებული ცილოვანი ნივთიერება, რომელიც ადამიანის ორგანიზმზე ჯადოსნურად მოქმედებს — აქვს კარგი გამაახალგაზრდავებელი ეფექტი, აუმჯობესებს სახის ფერს, თვალის კონტურს. მიუხედავად იმისა, რომ პეპტიდები საცხების შემადგენლობაშიც შედის, გაცილებით ეფექტურია ინექციის ფორმით, რადგან ამ დროს უშუალოდ უჯრედს მიეწოდება. რაც შეეხება საცხებს, მათი გამოყენება ერთგვარი საშინაო დავალებაა, რომელიც პაციენტს პროცედურის შემდგომი ეფექტის განმტკიცებისა და შენარჩუნებისთვის ეძლევა. მისი რეგულარულად შესრულება თავად პროცედურაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია.


სახის ოვალის შეცვლა, ტუჩის გადიდება, თვალის ფორმის კორექტირება სწორი მაკიაჟის საშუალებით არანაკლებ ეფექტურია და არც ინვაზიურ ჩარევას საჭიროებს, ამიტომაც ლიდერ პოზიციებს ინარჩუნებს.

საქართველოს სახელით გამოსვლა ჩემთვის დიდი პატივი იყო.



# დეტოქსის ეფექტი

შემდეგი ტრენდია ცხოვრების ჯანსაღი წესი — სწორი კვება, ფიტნესი, იოგა და, რასაკვირველია, დეტოქსიკაცია. დღეს ამ „სენით“ მთელი მსოფლიოა შეპყრობილი — დეტოქს-საცხები, დეტოქს-კოქტეილები, დეტოქს-წვეთოვანები, რომელთა მიზანი ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებების — წიდებისა და ტოქსინების გამოდევნაა. ჰოლივუდის ვარსკვლავებში ეს პროცედურები ძალზე პოპულარულია, რადგან მათ კარგად ესმით Anti-age თერაპიის მნიშვნელობა სწორი კვების დონეზე, რომლის ეფექტიც მყისიერად არ ჩანს, თუმცა გაცილებით შორსმიმავალ შედეგებს იძლევა. ამას ემატება სხვადასხვაგვარი ვიტამინები ეფექტის გასაუმჯობესებლად. სიახლეა ჰიალურონის შემცველი ვიტამინები, რომლებიც ორგანიზმს ამ ნივთიერების დამატებითი დოზის მიღებაში ეხმარება, რაც სხეულის მდგომარეობაზე ასევე დადებითად აისახება.



# ბაქო – მოწოდების სიმაღლეზე



ტრენდებზე საუბრობდნენ საერთაშორისო კონფერენციაზე — Azerbaijan Aestethics and Anti-Age Medicine Congress, რომელიც მეორედ გაიმართა ბაქოში, საოცარი ადამიანებით დასახლებულ საოცარ ქალაქში, სითბოთი და სტუმართმოყვარეობით რომ გხიბლავს. ეს იყო ძალზე მაღალი კლასის ღონისძიება, რომელშიც მსოფლიოს ტოპ-კატეგორიის სპეციალისტები მონაწილეობდნენ. საქართველოს სახელით გამოსვლა ჩემთვის დიდი პატივი იყო. მეამაყება, რომ ამ კონგრესის ფარგლებში გამართული ნაციონალური პრემიის — Art of Beauty Award ერთ-ერთი გამარჯვებული გავხდი („ოსტატობისთვის კოსმეტოლოგიასა და პლასტიკაში“). მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების დონით ბაქოელები გაცილებით გვისწრებენ, ესთეტიკურ მედიცინასა და კოსმეტოლოგიაში ჩვენ ბევრად წინ ვართ. მართალია, ქართველები მივეჩვიეთ საკუთარი თავის მიმართ სკეპტიკურ დამოკიდებულებას, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი ესთეტიკური მედიცინა, ქართველი დიზაინერების მსგავსად, მოწოდების სიმაღლეზე დგას. ჩემი ბოლო ვიზიტი ბაქოში სწორედ ამის დასტურია.



Total Charm

პლასტიკური, ესთეტიკური ქირურგიისა და კოსმეტოლოგიის კლინიკა

თბილისი, ვ.ორბელიანის ქ.18 / ტელ: +995 322 18 18 14 / +995 322 92 30 71
facebook: Total Charm Tbilisi

ბათუმი, ვ.გორგასლის ქ.15/ ტელ: +995 422 29 29 19 / +995 422 22 88 22
facebook: Total Charm Batumi

# დროს დაუმორჩილებლები

**მრავალი ათასწლეულის განმავლობაში ეს არომატები ყველა ქალის სურვილის ობიექტი და მამაკაცთა გრძნობებზე ზემოქმედების საშუალებაა.**

ლეილა იმანოვის ტექსტი; ალექსანდ ცუპიკოვის ილუსტრაცია.




ცრუმორწმუნე შანელმა თავისი ახალი პარფიუმი წარმოადგინა 1921 წელს, მეხუთე თვის მეხუთე დღეს.

## 1 Chanel N5
გამოშვების წელი: 1921

ეს პარფიუმი, რომელიც საფრანგეთის ერთ–ერთი შეუცვლელი სიმბოლო გახდა, ყველა დროის ბესტსელერად რჩება. აბსტრაქტული არომატი 80 წლის წინათ შექმნეს, მაგრამ ამ დრომდე წარმოუდგენლად პოპულარულია: ყოველ 32 წამში სამყაროში ვიღაც ხდება ამ არომატული ლეგენდის ბედნიერი მფლობელი.




## 2 Opium Yves Saint Laurent
გამოშვების წელი: 1977

ამ პარფიუმმა სუფთა აღმოსავლური კომპონენტებით, უპირველეს ყოვლისა, თავისი პროვოკაციული სახელით მიიქცია ყურადღება. მაგრამ ყველა ხმამაღალი სკანდალი, მათ შორის, ჩინელების ცნობილი პროტესტი „ძლიერმოქმედი ნარკოტიკის პოპულარიზაციის“ წინააღმდეგ, მხოლოდ ხელს უწყობდა მას, გამხდარიყო სურვილების ობიექტი.



მისი ფლაკონის ვიწრო წელი და გრძელი ყელი New look Диора (1947)-ს სიმბოლიზებას ახდენენ.

## 3 J'adore Dior
გამოშვების წელი: 1999

1999 წელს გამოსული პარფიუმერული ქმნილება მომენტალურად გახდა ჰიტი მთელ მსოფლიოში. ქალურობის მარადიული განსახიერება ყვავილის თაიგულშია გამოხატული განსაკუთრებული დიზაინით: ამფორის ფორმის ფლაკონი თამამად შეიძლება თანამედროვე კლასიკის must-have–ად დავასახელოთ.

## 4 Angel by Thierry Mugler
გამოშვების წელი: 1992

ტერი მიუგლერის ამ ვარსკვლავს პოპულარობა მოუტანა შოკოლადის, ვანილის, ბერგამოტის, კარამელის მომხიბლავმა ნარევმა და, ასევე, 1990–იან წლებში ყვავილოვანი კომპონენტების არარსებობამ. FiFi Award Hall of Fame–ის პრემიის მფლობელი 2007 წელს და ყველაზე საკულტო მაესტროს არომატი Angel–ი 13–ჯერ გამოუშვეს.



## 5 Shalimar by Guerlain
გამოშვების წელი: 1925

ბევრმა არ იცის, რომ ჟან გერლენმა Shalimar–ის შექმნით სიყვარულის მთელი ისტორია აღბეჭდა. მგრძნობიარე და ეგზოტიკური არომატის დიდება დიდი ხანია გასცდა პარფიუმერიის ინდუსტრიის საზღვრებს. პარფიუმი არაერთხელ არის მოხსენიებული რომანებსა და ფილმებში. Shalimar — „სიყვარულის ტაძრის“ იდეალური საჩუქარი.




მიიღეს Jicky-ს შუშის ფლაკონში (პარფიუმი 1889 წ.) ვანილის დამატებით.

## 6 Arpege Lanvin
გამოშვების წელი: 1927

Arpege–ის არომატი — სიმბოლოების სრული თამაშია. ჟანა ლანვენმა ის მიუძღვნა თავის გოგონას – მუსიკოსს, რომელმაც, თავისი მხრივ, არომატისთვის სახელი შეარჩია. თავის საწყისი ფორმულირებით პარფიუმი სახელწოდებას ამართლებს; ცალკეული ყვავილოვანი კომპონენტები, როგორც მუსიკალურ კონცეფციაში – არპეჯიო, არა ერთდროულად, არამედ მკაფიოდ ერთიმეორის მიყოლებით თამაშობენ.




ფლაკონზე ოქროთი სიმბოლურად გამოხატულია დედა და ქალიშვილი – ჟანა და მასკარადისთვის მოსამზადებლად განწყობილი მარი-ბლანში.

## 7 L'Air Du Temps by Nina Ricci
გამოშვების წელი: 1948

ომის შემდგომი პერიოდის არომატი L'Air Du Temps – მდიდრული და ელეგანტური კლასიკის მაგალითია. ნათელი და მორცხვი, მგრძნობიარე და მიამიტი, ის ნამდვილი ქალებისთვისაა შექმნილი. ფლაკონის (შუშის) ორიგინალური დიზაინი ტყუპი მტრედის სახით L'Air Du Temps–ს ყველაზე სასურველ საჩუქრად აქცევს.



## 8 Joy by Jean Patou
გამოშვების წელი: 1930

Joy, შექმნილი ჟან პატუს მიერ, ლუქსის პარფიუმერიის ხატად რჩება, ნაწილობრივ, ეკონომიკურად უმძიმეს 1930 წელში წარმოებული თავისი საწყისი სარეკლამო კამპანიის გამო. პატუ ირწმუნებოდა, რომ ერთ წვეთ პარფიუმზე 10 600 ჟასმინის ყვავილი და 28 დუჟინი ბულგარული ვარდი მოდიოდა.




FiFi-ს ცერემონიაზე 2000 წელს ნომინაციაში „საუკუნის არომატი" Joy-მ თავის მუდმივ მეტოქეს Chanel N5-ს მოუგო.



# ფილტრის გარეშე




The Eye Concentrate




Illuminating Eye Gel

LA MER–ის ბრენდისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ზრუნვა მომხმარებელზე და, ამავდროულად, ექსპერიმენტებისადმი მიდრეკილება, უკვე დიდი ხანია ხელს უწყობს ამ ბრენდს, შექმნას განსაკუთრებულად წარმატებული პროდუქტები. მარტში მათი ჩამონათვალი შეივსება მორიგი პროდუქტით, რომელსაც ლეგენდის წოდებაზე ექნება პრეტენზია. ეს არის ILLUMINATING EYE GEL — გელი, რომელიც ბზინვარებას აძლევს კანს თვალების გარშემო. სიახლის უპირატესობებზე, მის არაჩვეულებრივ თვისებებზე გვესაუბრა ლორეტა მირალია, LA MER–ის უფროსი ვიცე–პრეზიდენტი ინოვაციებისა და შემუშავების მიმართულებით.



არავისთვის არის საიდუმლო, რომ თვალები არავერბალური კომუნიკაციის უძლიერესი საშუალებაა, „სულის სარკე“, როგორც ზოგჯერ მათ უწოდებენ. ამიტომ, არსებობს შეხედულება, რომ რაც უფრო დიდი და ნათელია თვალები, მით უფრო მიმზიდველია. Illuminating eye Gel-ზე მუშაობისას გვინდოდა ზუსტად ამ თავისებურებაზე გაგვეკეთებინა აქცენტი და შევიმუშავეთ პროდუქტი, რომელიც კანს ბზინვარეს გახდიდა, ხოლო მის არასრულყოფილებას — არც ისე შესამჩნევს. LA MER–ის არსებულ მანერაში გავაერთიანეთ ურთიერთსაპირისპირო მოვლენები — განათებისა და „რბილი ფოკუსის“ ეფექტები — რომ სამყაროს განათებული, ფართოდ გახელილი თვალებით უმზიროთ.



The Radiant Concealer

ტექნოლოგიები და პრინციპები, რომლებიც დოქტორმა ჰიუბერმა შეიმუშავა, საფუძვლად უდევს LA MER–ის ნებისმიერ პროდუქტს — ბიოფერმენტაციის პროცესიდან დაწყებული, რომელიც ინგრედიენტებს მაღალი ეფექტურობის კომპონენტებად გადააქცევს, შუქისა და ბგერის ენერგიის ფორმულით დამთავრებული. ზუსტად შუქის ენერგიამ მიბიძგა შემექმნა Illuminating eye Gel–ი. მას აქვს რბილი ტექსტურა, ამავე დროს დამცავი თვისებები, ავსებს კანს ენერგიით, არბილებს და აახლებს.

ახალი Illuminating eye Gel-ი კანს თვალების გარშემო თითქოს რბილ ნათებაში ახვევს, რომ თვალები უფრო დიდი და მკაფიო ჩანდეს. არ არსებობს იმის აუცილებლობა, რომ ისინი მზისგან დამცავი სათვალის ქვეშ დამალო და მუქი წრეები დაფარო.

ქალაქელების ყველაზე დიდი პრობლემა — ეს არის კანის გაღიზიანება, რომელიც ამდენ უსიამოვნებას იწვევს, სიმშრალიდან და მკრთალი ფერიდან დაწყებული, მუქ წრეებამდე და დაღლილ გამოხედვამდე. Illuminating eye Gel-ის შემადგენლობაში შედის ძლიერი ანთებისსაწინააღმდეგო საშუალება — ლეგენდარული სამკურნალო ფერმენტი Miracle Broth–ი, რომელიც შესამჩნევად ავსებს კანს ენერგიით, აახლებს და ატენიანებს მას.

Miracle Broth–ის სამკურნალო თვისებების გაძლიერებისთვის და ჭეშმარიტად უნიკალური ფორმულის შესაქმნელად, რომელსაც დამსახურების მიხედვით შეაფასებენ ჩვენი მომხმარებლები, დიდხანს ვატარებდით კვლევებს, რომლის შედეგი გახდა ორი სრულიად ახალი ფერმენტი — the Illuminating eye Gel და the Awakening Ferment. წყალმცენარეებს ამ ფერმენტების შემადგენლობაში უნარი აქვთ კანს ბზინვარება მისცენ და, ასევე, ამარაგებენ მას კალციუმით, რომელიც აუცილებელია ტონუსის ასამაღლებლად და თვალების გარშემო კანის დამცავი ბარიერის გასაძლიერებლად. გელი შეიძლება გამოიყენო, როგორც ფონი ჩრდილების ქვეშ. ის, ასევე, შესანიშნავად ერწყმის the Radiant Concealer–ს, რომელიც ხელს უწყობს ბუნებრივი, უნაკლო და მბზინავი კანის ეფექტის მიღწევას.

## გელის დადების ტექნიკა

1 იმისათვის, რომ კანს ბზინვარება შესძინოთ, არათითით დაიდეთ Illuminating eye Gel–ი თვალის კონტურისთვის თვალების გარშემო, ხოლო შემდეგ მსუბუქი ხელის დაკვრის მოძრაობები შეასრულეთ.

2 მოუჭირეთ არათითები წარბების შიდა ბოლოებს და შეასრულეთ გადაადგილებითი მოძრაობები წარბებიდან საფეთქლებისკენ.

3 მოუჭირეთ არათითები თვალების შიდა კუთხეებს და შეასრულეთ გადაადგილებითი მოძრაობები თვალების ქვემოდან საფეთქლებისკენ.

4 შეასრულეთ გადაადგილებითი მოძრაობები თვალების გარშემო.

5 შეასრულეთ წრიული მოძრაობები საფეთქლებზე არათითებით.

6 დაიდეთ ხელისგულებზე ცოტაოდენი გელი და დაიფარეთ თვალებზე. მსუბუქად დააწექით და ხელისგულები გახსენით.



1



# HAIR ACCESSORIES

თმის აქსესუარი ამ სეზონის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ტენდენციაა; შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც აწეულ, ისე გაშლილ თმაზე.



2

3





5

# NATURAL WAVES

ბუნებრივად დახვეული თმა თამამად შეგიძლიათ შეუხამოთ როგორც ყოველდღიურ, ისე საღამოს ჩაცმულობას.

4



1. CHANEL
2. FENDI
3. PROENZA SCHOULER
4. JASON WU
5. BURBERRY PRORSUM
6. CALVIN KLEIN COLLECTION

6









1

# ONE-SIDE

2



ერთ მხარეს გადაწეული თმა მკაცრ გამომეტყველებას შესძენს თქვენს სახეს. ეცადეთ ასეთი ვარცხნილობა კლასიკურ სტილს შეუხამოთ.



3

1. ERDEM
2. ROCHAS
3. NARCISO RODRIGUEZ
4. CHRISTIAN DIOR
5. BOSS
6. CAROLINA HERRERA



4

# PONYTAIL

ლამაზად შეკრული თმა, ბრჭყვიალა თმის სამაგრით, თქვენს ნებისმიერ ჩაცმულობას მოუხდება.

6



5



# ანგელოზი თუ დემონი?

ორივე!

## ფრანსუაზ დონში

უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია, ოლფაქტოლოგი ფრანსუაზ დონში Givenchy-ს ქალის და მამაკაცის არომატების შემუშავებას ხელმძღვანელობს. 2006 წელს გამოსული Ange ou Demon-ისა და მისი დანამატის (ფლანკერის), Accord illicite-ის წარმატებულმა ხაზებმა „განსაკუთრებულად მგრძნობიარე" არომატების ბატონობა დააბრუნეს.
ფრანსუაზ დონში ოლფაქტოლოგის გამოუცნობი პროფესიის საიდუმლოებებს გვიზიარებს.

**ინტერვიუ** კირა ბრენზინგერი **ფოტო** პრეს მასალები









**შეგიძლიათ მოგვიყვეთ ოლფაქტოლოგის პროფესიაზე? რით განსხვავდება ის პარფიუმერისგან?**
ეს პროფესია მთლიანად ეძღვნება ყნოსვის სისტემას და არომატების შემადგენლობის შეცნობას. პარფიუმერი მიბმულია საწყის კომპოზიციაზე, ოლფაქტოლოგი კი ერთდროულად ხელმძღვანელიცაა და კომპოზიციის შექმნის სულის ჩამდგმელიც.

**ბავშვობა საფრანგეთის ალპებში გაატარეთ, იმოქმედა თუ არა ამან თქვენზე პროფესიის არჩევისას?**
ჯერ კიდევ ბავშვობაში ძალიან მგრძნობიარე ვიყავი სუნების მიმართ, ყოველთვის მაინტერესებდა ისინი. ალპურ ბუნებაში გავიზარდე, იქ სულ სხვადასხვა სურნელი ტრიალებს. დარწმუნებული ვარ, იქიდან დაიბადა ჩემი ლტოლვა არომატებისადმი. ალბათ, ამან განაპირობა ჩემი არჩევანიც — მესწავლა ISIPC-ს პრესტიჟულ აკადემიაში, ვერსალში.

**რომელ მიღწევებს გამოარჩევდით Givenchy-ს სახლთან თქვენი თანამშრომლობის პერიოდში?**
Givenchy-ში მუშაობა 1987 წელს დავიწყე და ყველა ქმნილება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს; წარმოიდგინეთ, ყოველ ჯერზე „სუფთა ფურცლიდან“ გიწევს დაწყება! ჩემი პირველი წარმატება Amarige-ის არომატი იყო, მას Organza მოჰყვა.

**რატომ გადაწყდა Accord Illicite-ის გამოშვება Ange ou Demon-ის დანამატად (ფლანკერად)?**
დღეს მოდის სამყაროში, და ხელოვნებაშიც, შეიმჩნევა ძლიერი სწრაფვა ფანტაზიის, ლტოლვის, ფეტიშიზმის მოტივებისაკენ. Givenchy ამ ტენდენციას Accord illicite-ით ეხმიანება და ერთგვარად ხაზს უსვამს „ჟესტების ენის“ პარფიუმს.

**შეგიძლიათ გაგვიმხილოთ მისი „ტრანსგრესიული“ სტრუქტურის საიდუმლო?**
ყველაზე მიმზიდველი — პაჩულის ხის კომპონენტია. ეს ინდონეზიური წარმოშობის არომატი, უმთავრესად, ინდურ პარფიუმერიაშია ცნობილი. ის განსაკუთრებით მგრძნობიარეა და კომპოზიციას წამყვან, არაერთგვაროვან ხიბლს მატებს.

**Accod illicite-ს ასახელებთ არა როგორც პარფიუმს, არამედ როგორც „ახალ რიტუალს პარფიუმერიაში“, როგორ ახსნით ამას?**
ჩვენ გთავაზობთ პარფიუმისა და მისი დანამატების (ფლანკერების) შერწყმის უნიკალურ შესაძლებლობას. ეს რთული, თითქმის დაკარგული რიტუალი, რომელსაც საფრანგეთში 1910-იანი წლებიდან 1980-იანი წლების ჩათვლით იყენებდნენ, ხორციელდებოდა არომატების ურთიერთშერწყმის შედეგად და არა რომელიმე ერთის გამოყენებით. და აი, დღეს Givenshy ისევ ამ პრაქტიკას მიმართავს, მეთოდს,








« ეს ხის ყვავილოვანი ფერადი აღმოსავლური კომპოზიცია მგრძნობიარე და ძალიან ელეგანტურია. ის მიმზიდველი და მდიდრულია »

რომელსაც თავისი აშკარა უპირატესობები ახასიათებს: ყველა ქალს შეუძლია საკუთარი გემოვნებით შეადგინოს კომბინაცია, რომელიც საშუალებას აძლევს შექმნას თავისი საკუთარი, განუმეორებელი „არომატის შლეიფი“. ჩვენი რჩევაა, პარფიუმი იპკურონ კანის განსაზღვრულ ნაწილებზე, ასე მისი მდგრადობა ორ-სამჯერ იზრდება. ეს ჭეშმარიტად მეფური საჩუქარია ისეთი ლუქს ბრენდისაგან, როგორიც Ghivenshy-ა!!!

**ჩანს, რომ არომატი ნაწილობრივ დაკავშირებულია მოდის სამყაროსთან, რიკარდო ტიშის კოლექციებთან...**
Ghivenshy-ს სახლი არ არის დაკავშირებული მოდასთან, თუმცა ყოველთვის ითვალისწინებს მოდის სამყაროს ახალ ტენდენციებს. ასეთი მიდგომა ქალური და მამაკაცური არომატების შექმნას აძლევს ბიძგს.

**რით განსხვავდება Accord illicite Givenchy სხვა არომატებისაგან?**
ეს ხის ყვავილოვანი ფერადი აღმოსავლური კომპოზიცია მგრძნობიარე და ძალიან ელეგანტურია. ის მიმზიდველი და მდიდრულია. წინამორბედთან შედარებით ეს არომატი ძლიერი, აღმგზნები და ხიბლით აღსავსე გამოდგა.

**შეიძენს თუ არა დროთა განმავლობაში Ange ou Demon-ი ახალ ჟღერადობას, ახალ ნიუანსებს?**
ეს სერია დარჩება განსაკუთრებული და ამოუცნობი... მას ნამდვილად ვერ აუვლით გვერდს!

1



# BLACK LINES

თვალის მასიური დატვირთვა, ჩრდილითა თუ თვალის ფანქრით, ამ სეზონის ერთ-ერთი აუცილებელი ტენდენციაა.



2



# HEAVY METALLIC

4



თუ გსურთ თქვენი მაკიაჟი იყოს განსაკუთრებული და, ამავდროულად, მოდური, გამოიყენეთ ბრჭყვიალა და მბზინავი მასალისგან შექმნილი პროდუქცია.

1. FENDI
2. CHRISTIAN DIOR
3. CHANEL
4. RODARTE
5. TEMPERELY LONDON

5





# ახალგაზრდობის ვიტამინი

რომელ ჩვენგანს არ უნდა გაიხანგრძლივოს ახალგაზრდობა და გამოიყურებოდეს მომხიბვლელად არა მხოლოდ 25 წლის ასაკში, არამედ “ცოტა მერეც”. დროთა განმავლობაში ჩვენი კანი და სხეული იცვლება და ამის ძირითადი მიზეზია დაჟანგვითი პროცესები, რომლებიც გამოწვეულია თავისუფალი რადიკალების - ოქსიდანტების დამანგრეველი მოქმედებით ორგანიზმის უჯრედებზე.

C ვიტამინი ერთ-ერთი უმძლავრესი ანტიოქსიდანტი და ახალგაზრდობის გამახანგრძლივებელი ვიტამინია. იგი აძლიერებს იმუნიტეტს, ზრდის სისხლძარღვის კედლის ელასტიურობას, არეგულირებს კანის პიგმენტაციას, ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო და მრავალი სხვა სასარგებლო თვისებით. ვიტამინი C ხელს უწყობს კოლაგენის სინთეზს, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ორგანიზმის თითქმის ყველა ქსოვილის: კანის, კბილების, სახსრების, იოგების, სისლძარღვების, გულის სარქველების და სხვა ორგანოების კარკასს. იგი ანიჭებს კანს ელასტიურობას და სიმკვრივეს, აფერხებს ნაოჭების გაჩენას, ხელს უშლის თმის და ფრჩხილების მსხვრევადობას, აჩერებს დაბერების პროცესს.

როდესაც ასკორბინის მჟავა ორგანიზმს არ მიეწოდება საკმარისი რაოდენობით, ვითარდება კოლაგენის დეფიციტის ნიშნები: ფერხდება ქსოვილების განახლება და ზრდა, ხანგრძლივდება შეხორცების პროცესები და, თუ არ მოხდა დროულად C ვიტამინის მიწოდება, ვითარდება სისხლძარღვთა კედლის დაზიანება, წყლულები, კბილების ცვენა და ა.შ.

განსაკუთრებით შესამჩნევია C ვიტამინის უკმარისობა სახის კანზე: აღინიშნება ნაოჭების ნაადრევი გაჩენა, სიმშრალე და მოდუნება.

თუ გინდათ გაიხანგრძლივოთ ახალგაზრდობა - აუცილებლად მიიღეთ C ვიტამინი. დღევანდელ დღეს C ვიტამინს აქტიურად იყენებენ პლასტიკური და ესთეტიკური პროცედურების დროს, იმპლანტების ჩადგმისას, ლიპოსაქციის, მეზოთერაპიის და სხვა კოსმეტოლოგიური ჩარევების შემთხვევაში.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ადამიანებს, რომლებიც ღებულობენ C ვიტამინს, სიბერის ნიშნები უვითარდებათ 10 წლით უფრო გვიან, იმ პირებთან შედარებით, ვინც არ იღებს ვიტამინს საკმარისი რაოდენობით.

გარდა აღნიშნულისა, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ C ვიტამინის გამაჯანსაღებელი ზემოქმედება გარკვეულ ასპექტებში უთანაბრდება ფიზიკურ ვარჯიშს, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ზედმეტი წონის მქონე ადამიანებში. აღმოჩნდა, რომ C ვიტამინი ამცირებს ენდოთელინ 1-ის დონეს (ცილა რომელიც იწვევს მცირე სისხლძარღვების შევიწროვებას, აუარესებს სისხლმიმოქცევას) და შესაბამისად ამცირებს გულ-სისლძარღვთა დაავადებების რისკს.

კვლევაში ჩართეს 35 ზედმეტი წონის ან მჯდომარე ცხოვრების წესის მქონე ადამიანი, რომელთაც ჰქონდათ სისხლმიმოქცევის დაქვეითებული ტონუსი. 3 თვის განმავლობაში 20 მათგანი ღებულობდა 500 მგ C ვიტამინს დანამატის სახით, ხოლო დანარჩენი 15 ყოველდღიურად იტვირთებოდა ფიზიკურად სწრაფი სიარულით.




3 თვის შემდეგ ორივე ჯგუფში ერთნაირად შემცირდა ენდოთელინ 1- დამოკიდებული სისხლძარღვების შევიწროვება, გაუმჯობესდა სისხლძარღვების ტონუსი, რითაც დამტკიცდა რომ C ვიტამინი ისეთივე ეფექტურია, როგორც ფიზიკური დატვირთვა.

C ვიტამინი ამცირებს “ცუდი” ქოლესტერინის დონეს და აუმჯობესებს გონებრივ ფუნქციებს, რაც არა მარტო სხეულს, არამედ გონებასაც იცავს დაბერებისგან.

იმისათვის, რომ აირჩიოთ სწორი მიმართულება - ივარჯიშეთ და მიიღეთ C ვიტამინი დანამატის სახით, ხოლო თუ თქვენ არ გაქვთ დრო და საშუალება ფიზიკური ვარჟიშით შეუწყოთ ხელი ორგანიზმის სიჯანსაღეს - მიიღეთ იოვიტალ C დუო - C ვიტამინის თანამედროვე ფორმა და გაიხანგრძლივეთ ახალგაზრდობის ლამაზი წლები!

იოვიტალ C დუო წარმოადგენს უახლესი რეტარდული ტექნოლოგიით დამზადებულ C ვიტამინს.

იოვიტალ C დუო 1 კაფსულა დღეში უზრუნველყოფს ასკორბინის მჟავის უწყვეტ მოწოდებას მთელი დღის განმავლობაში.

იოვიტალ C დუო დაგეხმარებათ შეინარჩუნოთ ჯანმრთელობა და გაიხანგრძლივოთ სიცოცხლე!

PSP №1

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისლებად მიმართეთ ექიმს.

EGIS

ს.ს ფარმაცევტული ქარხანა „ეგისი“ (უნგრეთი) წარმომადგენლობა საქართველოში. აღმაშენებლის გამზ. 154, ტელ: 2559906



1

## NUDE & NATURAL



2

ბუნებრივი, სადა მაკიაჟი, სახის მარტივი დაჩრდილვით, საუკეთესო არჩევანია დღის ნებისმიერ მონაკვეთში.



3



4

## RED HOT

წითელი პომადა ყოველთვის იყო, არის და იქნება კლასიკა. შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც დღის პირველ ნახევარში ყოველდღიურ სამოსთან ერთად, ისე საღამოს.



5



6

1. GUCCI
2. CHLOÉ
3. NINA RICCI
4. CÉLINE
5. MSGM
6. DOLCE & GABBANA







გვ. 111

60–იან წლებში, როდესაც ოპტიმისტური პათოსი სუფევდა, მოდის ილუსტრაციამ ახალი სიტყვა თქვა, ისე რომ ასპარეზი არ დაუტოვებია და ხელი შეუწყო ახალი ესთეტიკური პათოსის განვითარებას. სამწუხაროდ, ამას მოჰყვა გარკვეული დოზით ვანდალიზმი და წინა ეპოქების უამრავი შედევრი სანაგვეში აღმოჩნდა.

## CULTURE



# „აღმოსავლეთის მოლიერის" სახლი თბილისში

თბილისის ერთ-ერთ უძველეს უბანში — ორთაჭალაში, მეიდნიდან და სახელგანთქმული გოგირდის აბანოებიდან ორასიოდე მეტრში აგურით მოპირკეთებული სიმპათიური სამსართულიანი შენობა დგას. სამიოდე წლის წინ განხორციელებული რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტის შემდეგ ძნელად თუ შეიცნობთ მასში XIX საუკუნის შენობას, რომელშიც იმ შორეულ დროში ოთხი ათეული წლის განმავლობაში ცხოვრობდა დიდი აზერბაიჯანელი მწერალი და განმანათლებელი, ეროვნული დრამატურგიის ფუძემდებელი მირზა ფათალი ახუნდოვი (ახუნდზადე). ამჟამად მას ასეც ჰქვია — „Akhundov House"(„ახუნდოვის სახლი"). 2013 წლის მაისიდან მოყოლებული, აქაურობა წარმოადგენს თავისებურ კულტურის ცენტრს, რომელშიც განთავსებულია თანამედროვე ხელოვნების გალერეა „Akhundov House", აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი, ლიტერატურული კაფე „Monsieur Jordan", ბიბლიოთეკა და ღვინის მარანი.

**ტექსტი** არჩილ ბეჟანიშვილი

მირზა ფათალის შვილი – რაშიდი თავის ვაჟთან ერთად





მირზა ფათალი ახუნდოვი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა აზერბაიჯანის კულტურაში

Akhundov House



ახუნდოვის სახლი, თბილისი, XIX საუკუნე

ვიდრე დაწვრილებით გიამბობდეთ საქართველოსა და აზერბაიჯანის ტრადიციების გამაერთიანებელი ამ უნიკალური ცენტრის შესახებ, გვინდა, შევეხოთ იმ ადამიანის პიროვნებას, რომლის სახელსაც ატარებს ეს ობიექტი. მწერალი, განმანათლებელი, ფართო შეხედულებებისა და პროგრესული აზროვნების ადამიანი — მირზა ფათალი ახუნდოვი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა აზერბაიჯანის კულტურაში. მის ხსოვნას მოწიწებით ინახავენ მის სამშობლოშიც და თბილისშიც, სადაც იგი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ცხოვრობდა და სადაც დაწერა ნაწარმოებები, რომლებმაც უკვდავყო მისი სახელი.

მირზა ფათალი 1812 წლის 12 ივლისს დაიბადა ნუხაში (ამჟამად — შექი) ვაჭრის ოჯახში. მას დედის ალალი ბიძა ახუნდ ალი ასგერი ზრდიდა, რომელმაც ბიჭუნა იშვილა და თავისი გვარიც მისცა. მირზა ჯერ სახლში სწავლობდა, მერე კი — განჯაში, მედრესეში, სადაც მისი იშვიათი ნიჭიერება გამომჟღავნდა. ყმაწვილმა მირზამ განსაკუთრებული ნიჭი ენების სწავლაში გამოიჩინა და წარმატებით აითვისა არაბული, ფარსი, იგი რუსულადაც ლაპარაკობდა. იქვე, მედრესეში გაიცნო ფათალიმ პოეტი მირზა შაფი ვაზეჰი, რომელიც მისი ერთ-ერთი მასწავლებელი იყო და რომელმაც ძლიერი ზეგავლენა იქონია მასზე.

ალი ასგერის რჩევითა და დახმარებით ახუნდოვი გაემგზავრა ტფილისში — ამიერკავკასიის მაშინდელ ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრში. იგი 1834 წელს ჩამოვიდა საქართველოს დედაქალაქში, სადაც 44 წელი იცხოვრა და აქვე აღესრულა. ნიჭიერი ახალგაზრდა კავკასიაში რუსეთის მეფისნაცვლის კანცელარიაში მიიღეს აღმოსავლური ენების თარჯიმნის თანაშემწედ, ორი წლის შემდეგ კი თარჯიმნადაც დანიშნეს. ჭაბუკი ახუნდოვი წარმატებით მიიწევდა მაღლა კარიერულ კიბეზე,



მირზა ფათალი ახუნდოვის ცვილის ფიგურა

სამხედრო წოდებებსაც იღებდა და პოლკოვნიკის წოდებამდე მიაღწია. იგი, როგორც თარჯიმანი, მუდმივად ახლდა თან სხვადასხვა დიპლომატიურ და სამხედრო მისიას, იყო სპარსეთში, ოსმალეთის იმპერიაში და სხვა ქვეყნებში, დაჯილდოებული იყო რამდენიმე ორდენითა და მედლით.

სამსახურის პარალელურად, თუმცა კი ცოტა ხანს, იგი ტფილისის მაზრის სასწავლებელში ასწავლიდა. მან გაიცნო ქართული კულტურის მოღვაწეები, რუსეთის პროგრესული მწერლები, კავკასიაში გადმოსახლებული დეკაბრისტები. ცხადია, ინტელექტუალებმა, რომელთა წრეშიც იგი ტრიალებდა, გავლენა იქონიეს ახუნდოვის პიროვნების ჩამოყალიბებაზე, მას ნიჭის განვითარებაში დაეხმარნენ. მირზა ფათალი იმ დროის კავკასიაში ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ ადამიანად იქცა.

პირველი ნაწარმოები, რომელმაც სახელი გაუთქვა ახუნდოვს, იყო მისი „აღმოსავლური პოემა პუშკინის სიკვდილზე“.

*SOCAR-ის წარმომადგენლობა საქართველოში და, ასევე, აზერბაიჯანის საელჩო დღემდე დიდ ინტერესს იჩენენ და ყველანაირად უჭერენ მხარს „Akhundov House“-ის თანამშრომლებისგან წამოსულ ინიციატივებს, მათ მიერ განხორციელებულ სამხატვრო და საგამომცემლო პროექტებს.*

პოემა 1837 წელს დაიწერა და იმავე წლის ნოემბერში გამოქვეყნდა ჟურნალში „Московский наблюдатель“. XIX საუკუნის 50-იან წლებში ერთიმეორის მიყოლებით გამოჩნდა ახუნდოვის რამდენიმე ტრაგიკომედია ხალხის ცხოვრებაზე: „მოლა იბრაჰიმ ჰალილი, ალქიმიკოსი“, „ბოტანიკოსი მუსიე ჟორდანი და დერვიში მასტალიშაჰი, ცნობილი ჯადოქარი“ (ავტორის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი პირველად რუსულ სცენაზე დაიდგა პეტერბურგში 1851 წელს, ტფილისში კი — 1852 წელს), „ლენქორანის ხანის ვეზირი“ (1873 წელს ბაქოში სამოყვარულო დასის მიერ ამ პიესის დადგმით დაიწყო აზერბაიჯანის დრამატული ხელოვნების ისტორია), „ძუნწის თავგადასავალი“ („ჰაჯი ყარა“) და სხვა პიესები.

ტყუილად როდი უწოდებდნენ მირზა ფათალი ახუნდოვს მისი თანამედროვეები „აღმოსავლეთის მოლიერს“. ახუნდოვამდე არც აზერბაიჯანში, არც სპარსეთში და არც თურქეთში დრამატურგიის ჟანრში არავის უწერია. თავის ნაწარმოებებში იგი წარმოჩინდა, როგორც ადამიანის სულის, ხალხის ხასიათისა და ყოფის კარგი მცოდნე. მისი პიესები წარმოადგენს იუმორითა და დრამატიზმით აღსავსე ისტორიებს, რომლებიც გარდასული ეპოქის შესახებ მოგვითხრობენ. ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ მირზა ფათალის ადგილი აზერბაიჯანის ისტორიაში. მართებულად აღნიშნავენ, რომ ახუნდოვი იგივეა აზერბაიჯანული ლიტერატურისთვის, რაც იყო შექსპირი — ინგლისური, გოეთე — გერმანული, ხოლო პუშკინი — რუსული ლიტერატურისათვის.

ახუნდზადეს უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს თურქულ ენებში დამწერლობის არაბული ფორმის ახალი ანბანით — ლათინური შრიფტით შეცვლასთან დაკავშირებული პროექტი. საკუთარი მოსაზრება-წინადადებები მან თურქეთისა და სპარსეთის სახელმწიფო და მეცნიერების მოღვაწეებს გაუგზავნა, შემდეგ კი თავად ჩავიდა კონსტანტინოპოლში, სადაც პროექტი მისი თანდასწრებით განიხილეს თურქეთის მეცნიერებათა აკადემიაში. მირზა ფათალის მიერ შეთავაზებული ანბანი ორი ანბანის — ლათინურისა და რუსულის — კომბინაციას წარმოადგენდა და იმ ენებისთვის იყო განკუთვნილი, რომლებიც არაბული ანბანით სარგებლობდნენ (თურქული, თათრული, ფარსი და ა. შ.). ეს პროექტი მხოლოდ მცირე დროით იქნა რეალიზებული (1927- დან 1939 წლამდე) და აზერბაიჯანის მიერ სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგღა აღდგა...

ეჭვგარეშეა, რომ ახუნდოვი გულზიარი, ფართო და პროგრესული შეხედულებების ადამიანი იყო, იმ დროის ტფილისური შემოქმედებითი ელიტის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. საკმარისია გავიხსენოთ ის წრე, რომელშიც იგი ტრიალებდა: გიორგი ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი, ვლადიმერ სოლოგუბი, ალექსანდრ ბესტუჟევ-მარლინსკი, იაკობ პოლონსკი... სხვათა შორის, ახუნდოვმა თავის სახლში უმასპინძლა ალექსანდრე დიუმას, რომელიც 1858-1859 წლებში კავკასიაში მოგზაურობდა. არსებობს მირზა ფათალის ვაჟის — რაშიდის მოგონება, რომელიც წერდა: „დიუმამ მამაჩემთან, რომლის სახელიც უკვე კავკასიის საზღვრებს მიღმაც იყო ცნობილი, შეხვედრა და მისი გაცნობა მოინდომა... კალმის ეს ორი ოსტატი პირველი შეხვედრისთანავე გადაეხვია ერთმანეთს“.



## ისტორია მირზა ფათალის ხალიჩაზე

აზერბაიჯანული ლიტერატურის კლასიკოსის პირადი ცხოვრების შესახებ დანამდვილებით ცოტა რამ არის ცნობილი. თუმცა, ვფიქრობთ, ახუნდოვის ადამიანურ თვისებებზე გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად ორი მაგალითის მოყვანაც იკმარებს. ცნობილი ფაქტია, რომ თავისი ყოფილი დამრიგებლის დასახმარებლად მან მირზა შაფი ვაზეჰს ტფილისის სამაზრო სასწავლებელში თავისი კუთვნილი მასწავლებლის ადგილი დაუთმო, თუმცა დამატებითი შემოსავალი სულაც არ აწყენდა თვითონ მირზა ფათალის, რომელიც იმხანად გარკვეულ ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა.

მეორე ამბავს, რომელიც ტფილისურ ფოლკლორს მიეკუთვნება, გვიამბობს მუსიკის მასწავლებელი ისმაილ რზაევი, რომელიც საკუთარი პაპის მონათხრობს იშველიებს:

„როგორც პაპაჩემი გვიყვებოდა, თურმე ერთ დღეს მირზა თავის ოთახში იჯდა და მუშაობდა. მის მეუღლეს აივნის მოაჯირზე ხალიჩა გადაუფენია გასამზეურებლად. უნდა ითქვას, რომ მათი სახლი შაითან ბაზართან საკმაოდ ახლოს მდებარეობდა. ამ ბაზარს მაშინ ძალიან დასამახსოვრებელი კოლორიტი ჰქონია. მოდიოდნენ და მოდიოდნენ აქლემები, კამეჩებშებმული ურმები და შორი თუ ახლო მანძილიდან ჩამოჰქონდათ საქონელი. ბაზრის მოედანზე ჩერდებოდნენ, საქონელს ცლიდნენ. ბაზრის უბნებში მაშინ წვრილმანით მოვაჭრე კინტოები, ხუმარა ლოთები, მაწანწალები და ჯიბგირები ტრიალებდნენ. იყვნენ ხალიჩების ქურდობაში დახელოვნებული ადამიანებიც. ერთმა ასეთმა ქურდმა მირზას აივნიდან ხალიჩა მოიპარა. მირზამ ეს დაინახა, აუჩქარებლად ადგა და გაემართა შაითან ბაზრისკენ. იცოდა, რომ ქურდი იქ წაიღებდა ხალიჩას გასაყიდად. მისულა და დაუნახავს, რომ ამ ქურდს დიდი ამბით გაუშლია ხალიჩა და მუშტარს ელოდება. მირზა მისულა და ხალიჩის ფასი უკითხავს. ქურდს ალაჰი დაუფიცებია, ერთი ამბავი აუტეხია: ეს ძალიან ძვირფასი ხალიჩაა, ვხედავ, რომ კარგი მუშტარი ხარ და იაფად მოგყიდიო. ბოლოს მორიგებულან, მირზას ჯიბიდან ფული ამოუღია და გადაუხდია, თან უთქვამს, აიღე, ეს ხალიჩა მხარზე გაიდე, სახლში წამომიღე და ამის ფულსაც გადაგიხდიო.

ქურდი დათანხმებულა, ხალიჩა ზურგზე აუკიდია და მირზას გაჰყოლია. მიდიან, მიდიან თურმე და ქურდს დაუნახავს, რომ ზუსტად იმ სახლის ეზოში მივიდნენ, სადაც ეს ხალიჩა მოიპარა. კიბეებით მეორე სართულზე ასულან და აქ მირზას მისთვის მიუმართავს: „შვილო, გთხოვ, ეს ხალიჩა თავის ადგილას, აი ამ მოაჯირზე გადაკიდე“. ქურდი ყველაფერს მიმხვდარა და შევედრებია: „აღა, შვილებს გეფიცები, შევცდი, ეს შენი ფულიც აიღე და გამიშვი, წავალ“. მირზას უთქვამს, მე ამ ფულის ამღები არა ვარ, წადი, ოჯახს დაახარჯე, მაგრამ ამის შემდეგ ასეთი შეცდომა აღარ დაუშვა, ქურდობა არ არის კარგი საქმე, ერთხელაც ისეთი ადამიანის ხელში ჩავარდები, რომელიც შენს შვილებს ობლად დატოვებსო. ამის შემდეგ მწერალს მორიგებისამებრ ხალიჩის „ტრანსპორტირების“ გასამრჯელოც დაუმატებია ქურდბაცაცასთვის და სახლში მშვიდობით გაუშვია“. აი, ასეთია ვიქტორ ჰიუგოს „განკიცხულნის“ ეპიზოდის — როდესაც მღვდელი ჟან ვალჟანს ვერცხლის შანდლებს აძლევს — კავკასიური ვარიანტი.



მირზა ფათალი ახუნდოვის სახლ-მუზეუმი

...რამდენიმე წლის წინ ძველი შენობა გორგასლის ქუჩაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობის სახელმწიფო კომპანიის (SOCAR) საქართველოს წარმომადგენლობამ შეისყიდა. 2012 წელს მირზა ფათალი ახუნდოვის დაბადებიდან 200 წლისთავისათვის იქ რეკონსტრუქცია და კაპიტალური რემონტი ჩატარდა, დაშენდა მესამე სართული. სწორედ მაშინ დაიბადა ამ სივრცის თავისებურ კულტურის ცენტრად გადაქცევის იდეა. რეკონსტრუქციის პროექტის შემუშავება-განხორციელება დაევალა ქალბატონ მეჰრიბან მურადოვა-ისმაილოვას, რომელიც ბაქოში ცნობილ არქიტექტურულ-დიზაინერულ კომპანია „M-Studio“-ს ხელმძღვანელობს...

საკმარისია ერთხელ მაინც ეწვიოთ ცენტრს, რათა დარწმუნდეთ, რა მაღალ დონეზე და როგორი სიყვარულით ჩატარდა „Akhundov House“-ის რეკონსტრუქცია. უნდა ითქვას, რომ SOCAR-ის წარმომადგენლობა საქართველოში და ასევე აზერბაიჯანის საელჩო დღემდე დიდ ინტერესს იჩენენ და ყველანაირად უჭერენ მხარს „Akhundov House“-ის თანამშრომლებისგან წამოსულ ინიციატივებს, მათ მიერ განხორციელებულ სამხატვრო და საგამომცემლო პროექტებს.

ახლა კი ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ვირტუალურ ექსკურსიას კომპლექს „Akhundov House“-ში...

## თანამედროვე ხელოვნების გალერეა „AKHUNDOV HOUSE“

სამხატვრო გალერეა შენობის სარდაფშია განთავსებული და 120 $მ^2$ საერთო ფართობის ორი დარბაზი უკავია. გალერეის არსებობის მანძილზე აქ თხუთმეტი ჯგუფური და ინდივიდუალური გამოფენა მოეწყო. აი, ზოგიერთი მათგანი: მერაბ აბრამიშვილის პერსონალური გამოფენა; გამოფენა სახელწოდებით „2 მუზის 2 მსახური“, რომელიც იტალიელი სცენარისტის, მწერლისა და მხატვრის, ტონინო გუერას და კინორეჟისორის,



თანამედროვე ხელოვნების გალერეა "AKHUNDOV HOUSE"

« უახლოეს მომავალში იგეგმება აზერბაიჯანისა და საქართველოს თანამედროვე მხატვართა ნამუშევრების გამოფენა »

მხატვრისა და მოდელიერის, რუსტამ ხამდამოვის მხატვრულ ნამუშევრებს აერთიანებდა; XIX საუკუნის მეორე ნახევრის — XX საუკუნის დასაწყისის რუს და ქართველ ფერმწერთა ნამუშევრების ექსპოზიცია კერძო თბილისური კოლექციებიდან, რომელზეც ისეთი გამოჩენილი ოსტატების სურათები იყო წარმოდგენილი, როგორებიც არიან: ილია რეპინი, ლადო გუდიაშვილი, ბორის კუსტოდიევი, ელენე ახვლედიანი, კირილ ზდანევიჩი, ავთანდილ ვარაზი და სხვები; გამოფენა „ReWoven“, რომელზეც საქართველოში მოქსოვილი აზერბაიჯანული ხალიჩები იყო ექსპონირებული; მოქანდაკე გია ჯაფარიძისა და ფერმწერ შალვა მატუაშვილის ნამუშევრების ექსპოზიცია; გამოყენებითი ხელოვნების ჯგუფური გამოფენა „7 შთაგონებული ქალბატონი“, რომელზეც წარმოდგენილი იყო ნინო თადიაშვილის, ლილე ფილფანის, თიკა ჯაფარიძის, სალომე დადუნაშვილისა და სხვათა ნამუშევრები. უახლოეს მომავალში იგეგმება აზერბაიჯანისა და საქართველოს თანამედროვე მხატვართა ნამუშევრების გამოფენა.

## აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი

შენობის მთელი მეორე სართული უკავია აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმს, რომელიც 1982 წლიდან ფუნქციონირებს. საექსპოზიციო განყოფილება ექვსი დარბაზისგან შედგება. აქ წარმოდგენილია (ცხადია, ძალზე მოკლედ) აზერბაიჯანის კულტურის ისტორია — გობუსტანის ისტორიულ-მხატვრული ნაკრძალის მეზოლითის ხანის რამდენიმე ქვაზე შესრულებული ნახატიდან დაწყებული, თანამედროვე მიღწევებამდე ხელოვნების სფეროში. მნახველები ეცნობიან ეროვნული სამოსის ნიმუშებს, ნატიფ ნაქსოვ ქისებსა და სამკაულებს, სხვადასხვა მუსიკალურ საკრავს — თარს, ქამანჩას, საზს და სხვ. ძალზე საინტერესოა მირზა ფათალის მემორიალური სამუშაო ოთახი, რომელშიც დაცულია მისი პირადი ნივთები: საწერი მაგიდა, წიგნების კარადა, კედლის საათი, ლამპა. მუზეუმის სპეციალური დარბაზი აზერბაიჯანისა და საქართველოს მეგობრობას ეძღვნება. აქ წარმოდგენილია აზერბაიჯანელ და ქართველ მოქანდაკეთა ქმნილებები, ჰეიდარ ალიევის სახელობის სკვერის, თბილისის მ. ფ. ახუნდოვის სახელობის სკოლისა და ბიბლიოთეკის, აგრეთვე, ბაქოში თბილისის პროსპექტისა და „მეგობრობის მუზეუმის“ ფოტოები. მუზეუმის ექსპოზიცია აზერბაიჯანელი ხალხის სახელოვანი შვილების — მირზა ფათალი ახუნდოვის, მირზა შაფი ვაზეჰის (1794-1852), 1920 წელს დაღუპული ფათალი ხან ხოისკის ისტორიასა და ბიოგრაფიასაც აცნობს მნახველებს. ისინი თბილისში, ახუნდოვის საფლავის გვერდით განისვენებენ ბოტანიკური ბაღის მიმდებარე პანთეონში.

მუზეუმში მუდმივად ტარდება კოლექტიური და ინდივიდუალური ექსკურსიები. სტუმრებს შეუძლიათ აუდიოგიდთან ერთადაც მოინახულონ დარბაზები — მათ განკარგულებაშია აუდიოჩანაწერები ქართულ, აზერბაიჯანულ, რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.



"AKHUNDOV HOUSE"-ის ბიბლიოთეკა





კაფე "Monsieur Jordan"

## კაფე „Monsieur Jordan“

ამ პატარა ლიტერატურულ კაფეს (დაახლოებით 30 ადგილი) სახელი ახუნდოვის პიესის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პერსონაჟის — „Monsieur Jordan“-ის პატივსაცემად დაერქვა. თავისებურ აღმოსავლურ სტილს აქ ერთგვარი „ფრანგული აქცენტი“ დაჰკრავს, რომელიც სასიამოვნოდ და მკაფიოდ ვლინდება ფონურ მუსიკაშიც (ვინტაჟური და თანამედროვე ფრანგული შანსონი) და თეთრ, ქათქათა ბარში წარმოდგენილი სასმელების უმრავლესობაშიც, ბორდოს, ბურგუნდიის და ელზასის ცნობილი ღვინოებით დაწყებული, შამპანურისა და კონიაკის რამდენიმე სახეობით დამთავრებული, რაც თბილისური კაფე-რესტორნებისთვის არცთუ ხშირი მოვლენაა. „ფრანგული აქცენტი“ იგრძნობა მენიუშიც, რომელშიც ნახავთ კრემ-სუპებს, ფუა-გრას, კრეპებს სოკოთი ან ქათმის ხორცით, სოტეს ლიონურად, ალუბლის ტარტს და ფრანგული სამზარეულოს სხვა რჩეულ კერძებსა თუ ნამცხვრებს. კაფეს ხშირად სტუმრობენ როგორც თბილისური ინტელიგენციისა და საქმიანი წრეების, ისე ხელოვნების სამყაროს წარმომადგენლები და დედაქალაქის სტუმრები. დროდადრო აქ ტარდება ლიტერატურული საღამოები და შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან.

სიტყვამ მოიტანა და, ცოტა ხნის წინ კაფე „Monsieur Jordan“-ის სტუმარი იყო თბილისში უეფა-ს სუპერთასის ფინალზე ჩამოსული ლეგენდარული მიშელ პლატინი. კაფეს მრგვალ მაგიდასთან ის და SOCAR-ის პრეზიდენტი როვნაგ აბდულაევი, რომელიც თავისი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელიცაა, სხვადასხვა პრობლემაზე მსჯელობდნენ.

კაფეს ერთი მუდმივი და ძალზე პატივსაცემი „მასპინძელიც“ ჰყავს — მირზა ფათალის ცვილის ფიგურა დარბაზის კუთხეში. ფიგურა ცნობილმა აზერბაიჯანელმა მხატვარმა-კონცეპტუალისტმა ჩინგიზ ბაბაევმა შექმნა, რომელიც ერთხანს ლონდონში ცხოვრობდა და მუშაობდა. მან ოსტატურად დაამზადა ფიგურა მადამ ტიუსოს მუზეუმის სკულპტურების შექმნის ტექნოლოგიის მიხედვით...

## ღვინის მარანი

2013 წლიდან კომპლექსის სარდაფში, სამხატვრო გალერეის მეზობლად, მოქმედებს ქართული ღვინის მოყვარულთა კლუბი „ორთაჭალა“, მარნითა და, იმავდროულად, სადეგუსტაციო დარბაზით, სადაც სხვადასხვა სახელწოდების ხუთასამდე ხარისხიანი თეთრი, წითელი და ვარდისფერი (ძირითადად, მცირე კომპანია-მწარმოებლების ღვინოები), აგრეთვე, იშვიათი საკოლექციო ღვინოებია წარმოდგენილი. ამ სასმელების დაგემოვნება ყველა მსურველს შეუძლია. ორი ადამიანის ერთი ვიზიტი სამი სხვადასხვა სახის ღვინის დეგუსტაციით, „ძეხვიანყველიანი თეფშის“, თხილის, პურის და პატარა ბოთლი წყლის ჩათვლით, 60 ლარი ჯდება.

## ბიბლიოთეკა

დაბოლოს, „Akhundov House“-ის ბიბლიოთეკა, რომელშიც 2500-მდე წიგნია დაცული. მათ უმრავლესობას შეადგენს ანტიკვარული და რარიტეტული გამოცემები ფრანგულ, რუსულ, ინგლისურ, აზერბაიჯანულ, ქართულ და სხვა ენებზე. ბიბლიოთეკა უკვე საკმაოდ პოპულარული გახდა ხარფუხისა და ორთაჭალის მცხოვრებთა შორის. ჩვენს „არამკითხველ“ დროშიც კი ათობით მოსწავლე და ასაკოვანი ადამიანი გახდა ბიბლიოთეკის მუდმივი მკითხველი. წიგნის მოყვარულებს ალბათ ჩვეულებრივი ბიბლიოთეკებისთვის არატრადიციული ვითარება და თავისებური სასიამოვნო აურა იზიდავთ. აქ ელექტრონული ბიბლიოთეკის პატარა დარბაზიც არის, ასე რომ, სტუმრებს ტექნიკის ბოლო სიტყვით აღჭურვილ შორ საინფორმაციო რესურსებზეც მიუწვდებათ ხელი.

ფუნქციონირების დაწყებიდან სულ რაღაც ორ წელიწადში „Akhundov House“-ი თბილისის ერთ-ერთ ყველაზე ორიგინალურ და მიმზიდველ კულტურულ ობიექტად იქცა. აქ საოცრად ერწყმის ერთმანეთს განუმეორებელი თბილისური კოლორიტი, ევროპული შარმი და აღმოსავლური დახვეწილობა. გვინდა წარმატებები, განვითარება და შემდგომი შემოქმედებითი გამარჯვებები ვუსურვოთ ამ შესანიშნავ კულტურულ სივრცეს.







# კულისებს მიღმა

## გრეგუარ ილოი

ფრანგი დოკუმენტალისტი ფოტოგრაფი უკვე მეხუთედ ეწვია საქართველოს, ამჯერად თბილისის მოდის კვირეულის ფარგლებში. გრეგუარ ილოიმ თბილისში წარმოადგინა ჯონ გალიანოსა და თავისი ერთობლივი პროექტი „შავი გედი“ — ფოტომასალა, რომელიც ნათლად ასახავს გალიანოს ცხოვრების ყველაზე დრამატულ პერიოდს.

**ინტერვიუ** ანანო დოლაბერიძე

პროექტი განხორციელდა თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით

**თქვენთვის, როგორც ფოტოგრაფისთვის, რა არის შთაგონების მთავარი წყარო?**
პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის მოგზაურობაა, მუდმივი მოძრაობა. ბევრს დავდივარ ფეხით, ვმოგზაურობ მატარებლით, ავტომობილით… ყოველთვის მოძრაობაში ვარ. ძალიან ბევრი დოკუმენტური პროექტი სწორედ ამ სტილში მაქვს

## არ მომწონს უბრალოდ მოდის ფოტოგრაფია, ის არ არის ჩემთვის საინტერესო.



წარმოდგენილი. მეორე — ძალიან მიყვარს ფოტოგრაფია. მიყვარს სხვა ფოტოგრაფების ნამუშევრები და ვაგროვებ კიდეც მათ. ჩემი შთაგონების მესამე წყარო კინოა. კინო ჩემთვის გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ ხელოვნების ერთ–ერთი დარგი. ყველა პროექტში უნდა იგრძნობოდეს ჩემი სულისკვეთება და ხედვა. მოდის პროექტზე მუშაობის დროსაც აუცილებლად ჩემი ხედვა უნდა იყოს გამოკვეთილი. არ მომწონს უბრალოდ მოდის ფოტოგრაფია, ის არ არის ჩემთვის საინტერესო.

**როგორ მოხვდით მოდის ფოტოინდუსტრიაში?**
ეს არ იყო დაგეგმილი… ჩემმა მეგობარმა, რომელიც გალიანოსთან მუშაობდა, შემომთავაზა დავსწრებოდი მის შოუს და იქ მემუშავა. ზოგადად, ჩემთვის მოდის ფოტოგრაფია არ არის საინტერესო, თუმცა ეს საერთოდ სხვა შემთხვევა იყო. თავიდან ძალიან გამიჭირდა, რადგან სიტუაცია და ფოტოგადაღება კულისებში, სადაც მოდელები ემზადებიან, იკეთებენ ვარცხნილობას, მაკიაჟს, არაფრით იქნებოდა განსხვავებული სხვა მსგავსი გადაღებებისაგან. თუმცა, რაც უფრო ღრმად ვეცნობოდი გალიანოს ნამუშევრებს, მით უფრო მიადვილდებოდა ამ პროექტზე მუშაობა. ის ეხებოდა ყველაფერს, რაც ჩვენ გარშემოა: სოციალურ პრობლემებს, მოგზაურობას, განსხვავებულ ტიპაჟებს… ამ შემთხვევაში ერთ–ერთი თემა უკრაინელი პატარძალი იყო. ახლად დაბრუნებული ვიყავი აღმოსავლეთ ევროპიდან და ეს თემები მაინტერესებდა. მახსოვს, ერთხელ საქართველოში ვმოგზაურობდი და აფხაზეთიდან დევნილებზე ვაკეთებდი პროექტს. როდესაც პარიზში დავბრუნდი, გალიანომ გამართა შოუ, რომელზეც წარმოდგენილი იყო მამაკაცის კოლექცია და მისი თემატიკა სწორედ დევნილი ადამიანი იყო. მამაკაცებს ეცვათ ორი–სამი ქურთუკი ზედიზედ… ეს ისტორია ზუსტად ეხმიანებოდა პროექტს, რომელზეც საქართველოში ვმუშაობდი. ჯონ გალიანო იყო ადამიანი, რომელსაც ადამიანთა ტიპაჟები აღელვებდა და აინტერესებდა. მახსოვს შოუ, რომელზეც მან ერთად წარმოადგინა მოხუცი, ახალგაზრდა, მსუქანი, გამხდარი — ყველანაირი ტიპის ადამიანი. ეს იყო ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორი განსხვავებული შეიძლება იყოს ერთი ადამიანი მეორისგან და რამდენად საინტერესო შეიძლება იყოს ეს განსხვავება.

**მოგვიყევით კონკრეტულად თქვენი და გალიანოს პროექტის შესახებ**.
უპირველესად, მინდა აღვნიშნო, რომ მოდის ფოტოგრაფი არ ვარ და ამ სფეროში მუშაობას დავთანხმდები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროექტს საინტერესო ისტორია და კონცეფცია ექნება. მაგალითად, ლაგერფელდმა რომ მთხოვოს, გადავიღო მისი სამოსი, მხოლოდ იმ შემთხვევაში დავთანხმდები, თუკი კოლექცია რაიმე იდეაზე იქნება დაფუძნებული. რაც შეეხება გალიანოს პროექტს, ის ეხებოდა გალიანოსა და მის მარჯვენა ხელს — სტივენ რობინსონს. ეს იყო ადამიანი, რომელიც კულისებს მიღმა ძალიან ბევრს მუშაობდა. იგი 41 წლის ასაკში გარდაიცვალა და სწორედ ეს გახდა გალიანოსთვის ამ კონკრეტული კოლექციის შთაგონების წყარო. ჩემთვის კი მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ეს დრამატული ნაწილი გახდა საინტერესო ფირზე აღსაბეჭდად. ალექსანდრ მაქუინმა თავი მოიკლა, ივ სენ ლორანი დეპრესიული იყო… ამით იმის თქმა მინდა, რომ ნამდვილი არტისტები ყოველთვის ცდილობენ, შექმნან ხელოვნების ნიმუში, რომლის მეშვეობითაც თავიანთ სათქმელს გადმოსცემენ.
ფოტოების გადაღების პროცესში ძალიან გამიჭირდა, თითქოს საკუთარი თავი დავკარგე… მოდა ჩემთვის საინტერესო არ იყო. მხოლოდ პროექტის დასრულების შემდეგ გავაცნობიერე, რომ ის თითოეული მოდელი, პატარძალი, ჩრდილი, ადამიანი — ყველაფერი ნამდვილ ისტორიას უკავ-









შირდებოდა. როდესაც 2011 წელს პარიზში გალიანოსთან ერთად პირველ გამოფენას ვამზადებდით, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა, გარდა იმისა, რომ სტივენი გარდაიცვალა. ამაზე არავინ საუბრობდა. გამოფენისთვის თითქმის ყველაფერი მზად იყო და სწორედ მაშინ გალიანომ შეურაცხყოფა მიაყენა ებრაელ ხალხს... ამან, ცხადია, უარყოფითი რეზონანსი გამოიწვია პრესაში, გალიანო „დიორის“ სახლიდან გამოუშვეს... ეს ყველაფერი ძალიან რთული იყო ჩემთვის, არ ვიცოდი, რა მექნა. არადა, ჩემი პროექტი სრულად ასახავდა ამ ადამიანებს, მათ შემოქმედებას და იმას, რომ ისინი ნამდვილი ხელოვანები არიან. პროექტი „გედის აჩრდილი“ ნათლად ასახავს გალიანოს ბიოგრაფიის ამ დრამატულ პერიოდს, იდეა კი ის არის, რომ აჩრდილი ყოველთვის შავია, მაშინაც კი, როდესაც ის გედის არის.

**თქვენი აზრით, რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ იყო კარგი ფოტოგრაფი?**
ყოველთვის ერთსა და იმავეს ვიმეორებ — რომ კარგი ფოტოს გადაღება ყველაზე მნიშვნელოვანი არ არის. კარგი ფოტოს გადაღება ყველას შეუძლია, გადაიღებ ბევრ კადრს და იქიდან რამდენიმე მაინც გამოვა კარგი. ყველაზე მნიშვნელოვანია გადმოსცე ამბავი, ისტორია. ჩემთვის ეს არის კარგი ფოტოს საფუძველი. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დამუშავებასაც. ყოველთვის უამრავი მასალა გაქვს, მაგრამ მთავარია, რომელს ამოირჩევ და რომელი გახდება იმ ისტორიის ნაწილი, რომლის გადმოცემაც გსურს. მაგალითად, გალიანოს პროექტზე მუშაობისას თმის, მაკიაჟის, ტანსაცმლის ძალიან ბევრი ფოტო მქონდა, თუმცა არცერთი არ გამომიყენებია, რადგან დრამა, რომელიც ამ პროცესს თან სდევდა, სხვა ფოტოებში ბევრად უფრო ნათლად ჩანდა. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ფოტო მქონდა, გამოფენაზე მხოლოდ 25-30 ფოტო იყო წარმოდგენილი. 50 ფოტოსგან შემდგარი პროექტი უკვე ჩვეულებრივი შოუ იქნებოდა.

**როგორც უკვე აღნიშნეთ ჩვენთან საუბარში, თბილისს პირველად არ სტუმრობთ...**
არა, რა თქმა უნდა. გადაღებული მაქვს პროექტები აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან დევნილების შესახებ. პირველად 2006 წელს ჩამოვედი საქართველოში. 2008 წელს კვლავ დავბრუნდი, რათა ომის

...ხელოვანი ადამიანისთვის მნიშვნელოვანია გააკეთო ის, რაც სიამოვნებას განიჭებს, სიცოცხლით გავსებს, რაც მოგწონს...

შემდგომ აღმებეჭდა კადრები. ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო დევნილების ახალი ტალღა. შემდეგ 2010–ში ჩამოვედი იმავე პროექტის გასაგრძელებლად და მასტერკლასიც ჩავატარე.

**მასტერკლასი ახსენეთ, თბილისის მოდის კვირეულს სწორედ ამ მიზნით ეწვიეთ, არა?**
დიახ, ჩამოვედი გამოფენითა და მასტერკლასით. მასტერკლასი სწორედ ამ პროექტს ეხება, თუ რა ისტორია აქვს წარმოდგენილ ფოტოებს და რაზეა დაფუძნებული ეს გამოფენა. ხშირად შეიძლება ნათლად არც იყოს ფოტოზე ასახული ის ამბავი, რომელიც მას რეალურად თან სდევს. ასევე, ჩემი მასტერკლასის მნიშვნელოვანი ნაწილია დოკუმენტური ფოტოგრაფია. ჩემთვის კარგი ფოტოგრაფი, თუნდაც მოდის სფეროში, არის ის, ვინც დოკუმენტურ ფოტოგრაფიას უკავშირებს პროექტს. მაგალითად, ასეთი იყო ჰელმუტ ნიუტონი. ასევე, მინდა გამოვყო გი ბურდანი, რომელიც ფეხსაცმელების ფოტოებს იღებდა, მაგრამ ყველა მისი ფოტო ამბავს გადმოსცემს. აღსანიშნავია გერმანელი ფოტოგრაფი ვივიენ სასენი, რომელიც არაჩვეულებრივად ნიჭიერი ქალია. ის კენიაში გაიზარდა და, შესაბამისად, ეს ყველაფერი მის ფოტოებზე აისახება. უყვარს მკვეთრი კონტრასტები და ფერები. ჩემთვის მისი ნამუშევრები ძალიან საინტერესოა. არ მომწონს სტუდიური გადაღებები, სადაც 20 ადამიანი ერთდროულად მუშაობს. უფრო ხელოვნებაზე ორიენტირებული ფოტოგრაფია მომწონს, ვიდრე კომერციული. არ არის აუცილებელი, იყო ცნობილი, გქონდეს სტუდია, გეხვეოდეს მილიონობით ადამიანი, რომ კარგი ფოტო გადაიღო.

**თქვენს ნამუშევრებში რამდენად ხშირია შავ–თეთრი ფოტოები?**
მიყვარს შავ–თეთრი ფოტოგრაფია, მაგრამ ჩემს ნამუშევრებში ფერადი ფოტოები ჭარბობს. შავ–თეთრი უფრო წარსულს მახსენებს, ახლა კი ფერების ემოციების ეპოქაა. ფერი აუცილებელია ამ ყველაფრის გამოსახატად. შავ–თეთრ ფოტოგრაფიაში ჩემი ფავორიტია რიჩარდ ავედონი. ის მოდას ჩვეულებრივი ხალხის მეშვეობით







იღებდა. მან შექმნა ამერიკული, თავისუფალი სტილი. რიჩარდ ავედონის ფოტოგრაფია არის სწორედ ზღვარი, სადაც მოდისა და დოკუმენტური ფოტოგრაფია ერთმანეთს კვეთს. თუკი თანამედროვე ეპოქის ფოტოგრაფებზე ვისაუბრებთ, გამოვყოფ პიტერ ლინდბერგს, რომელიც ხშირად იღებს შავ-თეთრ ფოტოებს და ასევე აკავშირებს მოდას დოკუმენტურ ფოტოგრაფიასთან.

**დღეს ძალიან ხშირად ვხვდებით ისეთ ფოტოებს, რომლებშიც ცნობილი ფოტოგრაფების გავლენა იგრძნობა. ხდება თუ არა თქვენთვის სხვადასხვა ფოტოგრაფის ნამუშევარი შთაგონების წყარო?**
ჩვენ, ხელოვანები, ყველანი ერთი და იმავე „ფროდაქშენს“ ვიყენებთ. წარმოუდგენელია, არ მოექცე ცნობილი არტისტების გავლენის ქვეშ. და ის, ვინც ამას უარყოფს, ღრმად ცდება. არ მჯერა ადამიანებისა, რომლებიც ამბობენ, რომ ამხელა ხელოვნების სამყაროში არ აქვთ შთაგონების წყარო. თუ გადავიღებ ფოტოს, რომელიც ავედონის ნამუშევარს ჰგავს, ამის ხაზგასმა უფრო საინტერესო იქნება, ვიდრე იუარო და თქვა, რომ ეს ასე არ არის. როდესაც რაღაც ძალიან მოგწონს, ძალაუნებურად ექცევი მისი გავლენის ქვეშ და ეს ყველაფერი შენს ნამუშევარზე აისახება.

**რას ფიქრობთ იმის შესახებ, რომ დღეს ყველაფერი კომერციაზეა დაფუძნებული, რამდენად მისაღებია ეს თქვენთვის, როგორც ხელოვანისთვის?**
ყველაფერი კომერციული მკვდარია ჩემთვის. არ ვაღიარებ იმას, რაც იყიდება. ვფიქრობ, რომ ხელოვანი ადამიანისთვის მნიშვნელოვანია გააკეთო ის, რაც სიამოვნებას განიჭებს, სიცოცხლით გავსებს, რაც მოგწონს... თუმცა არსებობს ხალხი, რომელიც ახერხებს და კომერციულ პროექტებს ხელოვნებას უკავშირებს. მაგალითად, ზემოთ აღნიშნული ფოტოგრაფები — გი ბურდანი და ვივიენ სასენი. ისინი კომერციულ პროექტებს იღებენ, მაგრამ ამით უარს არ ამბობენ საკუთარ ხედვაზე. ამ ყველაფრის აზრი კი ის არის, რომ კომერციამ არ უნდა შეცვალოს შენი ხედვა მხოლოდ იმიტომ, რომ ის იყიდება. მას შემდეგ, რაც გალიანოს პროექტი გავაკეთე, ბევრი მსგავსი შემოთავაზება მქონდა სხვადასხვა მოდის



სახლისგან, თუმცა უარი ვთქვი. გალიანოსთან ვიმუშავე იმიტომ, რომ მისი დრამატიზმი იმ მომენტში ახლოს იყო ჩემთან. კომერციული სამუშაო შესასრულებლადაც და გასაყიდადაც ძალიან მარტივია. სიმარტივე კი ჩემთვის საინტერესო არ არის. ყველა ფოტოგრაფს ვურჩევ: ეცადე, შექმნა შენი საკუთარი ნამუშევრები, ეცადე, სხვას არ ჰგავდე და დაისახე მიზანი... ყოველთვის გქონდეს მოსაყოლი ამბავი და გახსოვდეს, რომ ადამიანის რეალური ისტორია ყველაფერზე მეტად საინტერესოა — აი, მაშინ იქნება საინტერესო შენი ნამუშევარი.





# ფიქრი საღებავებით



ედმონდ გაბრიელ კალანდაძე

დაბადების ადგილი: ჩოხატაურის რაიონი, სოფელი ხიდისთავი.
დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია 1952 წელს.
1972-1986 წლებში იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი;
1986 წელს — საქართველოს სამუზეუმო გაერთიანებასთან არსებული სახვითი ხელოვნების თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის სახელოსნოს ხელმძღვანელი;
1991-1992 წლებში — საქართველოს კულტურის მინისტრი.
გამოფენები ჰქონდა გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში, ლუქსემბურგში, ბრაზილიაში, თურქეთში, რუსეთსა და საქართველოში.

გამოყენებულია ნაწყვეტები მხატვრის უკანასკნელი ინტერვიუდან / თეა სხიერელი









« რა არის ფერწერა? ეს არის ფიქრი საღებავებით - სურვილი, ებრძოლო წარმავალობას, სიკვდილს, გაქრობას »

« უზარმაზარი საჩუქარია ჩვენი ცხოვრება, ეს მირაჟია, ეს ჩვენი მოჩვენებაა. შენი ყოველდღიური ყოფა სილამაზედ გადააქციო – ეს უდიდესი ტკბობაა »









« ხელოვნების თვისება ის არის, რომ ნებისმიერი აღმოჩენა გრძნობების საშუალებით ხდება - არა ფილოსოფიის, არა გამოთვლის, არამედ გრძნობების მეშვეობით »







« ეს არის კადნიერი ოცნება, იყო შემოქმედი და შექმნა შენი სამყარო, სადაც შენ და მხოლოდ შენ იქნები ყოველივეს მსაჯული და გამგებელი; ისაზრდოო შენი ფანტაზიით, ააგო სამართლიანობისა და ლმობიერების კოშკები, შენს თავზე აიღო დასჯისა და პატიების უფლება »



სპექტაკლის შემდეგ მაყურებელი ფეხზე იდგა, დარბაზიდან მესროდნენ ყვავილებს, სცენა ყვავილებით გაივსო... ეს საოცრება იყო, ცრემლებამდე მივედი!





მაქვს ჩემი პროექტები, იდეები, გეგმები, რომლებიც მინდა განვახორციელო.

# პრიმა

ელენე გლურჯიძე

ელენე გლურჯიძის ჟიზელი არის საოცრად ნაზი და ჰაეროვანი. ერთმოქმედებიანი სიგიჟის სცენა, რომელიც სავსეა წარსულის ბედნიერებით, ნამდვილი ქარიშხალია... მას, როგორც ბალერინას ცეკვის დახვეწილი სტილით, არაფერი აქვს საერთო ამ სენტიმენტალური სოფლელი გოგონას ტიპაჟთან, მაგრამ როდესაც მისი სცენური გარდასახვა ხდება, შენ თვალწინ ნამდვილი ჟიზელია. ამ ცეკვას, უბრალოდ, ვერ დაივიწყებ...“ — წერს Financial Times-ი ინგლისის ნაციონალური ბალეტის პრიმა-ბალერინა ელენე გლურჯიძეზე.

დაუვიწყარი ოდეტა-ოდილია „გედების ტბაში“, „ჟიზელის“ საუკეთესო ჟიზელი, „დონ კიხოტის“ ჩელიტა, დედოფალი ავრორა „მძინარე მზეთუნახავიდან“, ჯულიეტა პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტაში“, ვირჯინია მარტინ უოდის „კანტერვილის აჩრდილში“, „თოვლის დედოფლის“ ბოშა და... თითქმის ყველა წამყვანი კლასიკური პარტია ლონდონის თეატრების დიდ სცენებზე — ეს ელენე გლურჯიძის მიერ შესრულებული როლების არასრული ჩამონათვალია.

**ინტერვიუ** მზეხა მახარაძე



საერთოდ, ჩემს საბალეტო კარიერაში როდესაც მნიშვნელოვანი პრემიერები მქონია, ჩემს თავს სულ რაღაც ხდებოდა...

გამოჩენილი ბრიტანელი ქორეოგრაფი, ინგლისის ნაციონალური ბალეტის ხელმძღვანელი.

როდესაც ქართველმა პრიმამ ლონდონის კოლიზეუმში კენეტ მაკმილანის „მანონში“ მთავარი პარტია რომანტიკულ დრამად აქცია, სხეულით მასნეს მუსიკას გაჰყვა, გონებით მანონის „სულში იცხოვრა“ და ქორეოგრაფიულ პარტიტურაში თავისი შინაარსი შემოიტანა, კულისებში ლედი მაკმილანმა უთხრა: „შენ საუკეთესო მანონი ხარ მათ შორის, ვინც კი მინახავს!.. “ Sunday Telegraph-ში კი ასე დაწერეს: Irresistible! ასეთი შეყვარებული მანონი არ გვახსოვს!.. მანონი რომანტიკული ბალეტებიდან, ისევე როგორც ჟიზელი, ანდა მარგარიტას პარტია ფრედერიკ ეშტონის „მარგარიტა და არმანში“, ელენეს ვარსკვლავური კარიერის ნაწილად იქცა დიდ სცენებზე.
გოგონა „მისტერ ბის“ სამშობლოდან, რომელიც თითის წვერებზე ბავშვობიდან დგას, თბილისიდან — პეტერბურგში, პეტერბურგის მარინის თეატრიდან კი ლონდონში, ENB-ში, იგივე ინგლისის ნაციონალურ ბალეტში გადავიდა იმისთვის, რომ მსოფლიო საბალეტო ცენტრში ეცეკვა. ელენე გლურჯიძე 2002 წლიდან მთელი 13 წლისა და 23 სეზონის განმავლობაში ENB-ს პრიმა-ბალერინაა ანუ Senior Principal Dancer, რომელიც კარლ ლაგერფელდის მუზა გახდება, Edgar Degas-ს ტილოს სიუჟეტისთვის — ბალერინა BBC-ს ფილმში The Impressionists, ჟიზელი — ქეთი მელუას მელანქოლიური სიმღერის, It's Only Pain ვიდეოკლიპში ალბომისათვის Piece by Piece.

**The London Coliseum-ში Derek Deane-ის ცნობილი რედაქციით იცეკვეთ შეყვარებული გედის პარტია „გედების ტბაში“. ეს ბალეტი ალბათ სიმბოლურია თქვენი ვარსკვლავური კარიერისთვის, რადგან ENB-ში ჩაიკოვსკის „გედების ტბა“ იყო თქვენი პირველი და ბოლო სპექტაკლიც.**
ოდეტა-ოდილიას პარტია თავიდანვე ჩემი პირველი როლი იყო. ინგლისის ნაციონალურ ბალეტში რომ გადმოვედი, მაშინაც პირველად „გედების ტბა“ ვიცეკვე და ახლაც, დაემთხვა, რომ ბოლო სპექტაკლიც იგივე იყო. London Coliseum-ში სპექტაკლის შემდეგ მაყურებელი ფეხზე იდგა, დარბაზიდან მესროდნენ ყვავილებს, სცენა ყვავილებით გაივსო... ეს საოცრება იყო, ცრემლებამდე მივედი!
ყველა ბალერინას ოცნებაა იცეკვოს ოდეტა-ოდილიას პარტია. მძიმე როლია, რთული სპექტაკლი, აღარაფერს ვამბობ ტექნიკაზე და იმ შინაგან და ემოციურ დატვირთვაზე, რაც ამ როლს აქვს, იმიტომ რომ უნდა შექმნა ორი კონტრასტული ხასიათი და სახე, რაც მოცეკვავის არტისტულ სიძლიერეს აჩვენებს. ერთხელ, სპექტაკლის დროს, მამაჩემს ჰკითხეს, იგივე ბალერინა ცეკვავს შავ გედს თუ სხვა არისო?.. ოდეტა-ოდილიას პარტია ევროპაში სხვადასხვა რედაქციაში მაქვს შესრულებლი. Derek Deane-ს აქვს ორი ვერსია: ჩვეულებრივი სცენისთვის და Royal Albert Hall-ის მრგვალი სცენისთვის, სადაც ერთ მხარეს კი არ ვცეკვავთ, არამედ სცენის ოთხივე მხარეს ვმოძრაობთ; კორდებალეტიც ძალიან ეფექტურია და ამხელა სცენაზე რომ გავდივარ, ასეთ უზარმაზარ სივრცეში, 5300-ადგილიანი დარბაზის წინაშე, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მართლა ტბაზე დავცურავ.

როდესაც მისი სცენური გარდასახვა ხდება, შენ თვალწინ ნამდვილი ჟიზელია. ამ ცეკვას, უბრალოდ, ვერ დაივიწყებ...
Financial Times

**13 წლის განმავლობაში იყავით ENB-ს პრიმა-ბალერინა, 23-ე სეზონის ბოლოს კი დატოვეთ კომპანია და თავისუფალი არტისტი გახდით. ახლა რა ეტაპი დგება თქვენს ცხოვრებაში?**
რა იქნება მერე? — ამ პერიოდს გარდამავალ ეტაპს დავარქმევდი ჩემს კარიერაში. თავისუფალ არტისტად ვრჩები, მაქვს ჩემი პროექტები, იდეები, გეგმები, რომლებიც მინდა განვახორციელო. ინგლისის ნაციონალურ ბალეტში ამისთვის დრო არ მრჩებოდა, ვინაიდან დასს ბევრი გასტროლი აქვს...

**Gaynor Minden-ის პუანტებით ცეკვავთ, რომელიც სპეციალურად თქვენთვის იკერება ასეთი მინაწერით — Made expressing for Elena Glurdjidze. პუანტების კოლექცია გაქვთ?**
Gaynor Minden-ის პუანტები ამერიკაში იკერება, ძალიან რბილია, გამოყენებულია კაუჩუკი, ამიტომაც არ ბრახუნობს, თან ჩემი ფეხის ფორმასა და ზომაზე მიკერავენ... ამ პუანტებს, რომელშიც “მარგარიტა და არმანი“ ვიცეკვე, აუცილებლად შევინახავ. პუანტების გარდა, ასევე, კოსტიუმების კოლექციაც მაქვს — „გედების ტბის“, „ჟიზელის“, „ბაიადერას“, „მაკნატუნას“, „მძინარე მზეთუნახავის“, „სილფიდას“, „ევგენი ონეგინის“ კოსტიუმები...




**რომანის „ქალი კამელიებით“ მიხედვით შექმნილი „მარგარიტა და არმანი“ ფრედერიკ ეშტონმა 1963 წელს ლონდონის Covent Garden-ში ლეგენდარული წყვილისთვის — რუდოლფ ნურიევისა და მარგო ფონტეინისთვის შექმნა. ბალეტის არსებობის 50-წლიანი ისტორიის მანძილზე წითელ კაბაში მარგარიტას პარტიის ცეკვის უფლება მიიღეს მარგო ფონტეინმა, სილვი გილემმა, ნინო ანანიაშვილმა, თამარა როხომ... თქვენი პრემიერა თბილისში გაიმართა, მანამდე პარტია ლონდონის Covent Garden-ის თეატრში ბალეტმაისტერ გრანტ კოილთან მოამზადეთ. როგორ მიიღეთ ეს დრამატული როლი?**
მარგარიტა ჩემთვის ერთ-ერთი საოცნებო პარტია იყო. მოხდა ისე, რომ შარშან ნინო ანანიაშვილმა თავისი საიუბილეო კონცერტის მერე მკითხა: „ელენე, რისი ცეკვა გსურს? რომელი სპექტაკლით გინდა ჩვენს თეატრში მოგიწვიოთ?“ ვუთხარი, რომ ჩემი დიდი ხნის სურვილი „მარგარიტა და არმანის“ ცეკვა იყო. შემდეგ მივიღეთ ამ ბალეტის ცეკვის უფლება ენტონი რასელ რობერტისგან, რომელიც



ლაგერფელდი ურთიერთობაში არის ძალიან გახსნილი, ძალიან თბილი, პირდაპირი... როდესაც კოსტიუმი შემიკერა და ტანზე მომარგო, მითხრა: ეს კოსტიუმი შენთვის შეიკერა, ამიტომაც ესკიზის ორიგინალი შენ გეკუთვნისო...

ფრედერიკ ეშტონის ბალეტებზე ლიცენზიას ფლობს და ინგლისის სამეფო ბალეტის ადმინისტრაციული დირექტორია. ის, რომ ეშტონის ფონდისგან დადებითი პასუხი მივიღეთ, ნინოს დამსახურებაა. დიდხანს ვფიქრობდი, ვინ გამიწევდა პარტნიორობას, იმიტომ რომ არმანის როლზე ლიცენზიას ყველა მოცეკვავისთვის არ იძლევიან, და ENB–ს პრემიერს ივან პუტროვს შევთავაზე. ეს ბალეტი დაახლოებით ერთ თვეში მოვამზადეთ. Covent Garden–ში დარბაზი დაგვითმეს, რეპეტიციები საღამოობით გვქონდა. გრანტ კოილს ბალეტი ორიგინალში აქვს ჩაწერილი, მან ზუსტად იცის არამარტო ეშტონის ქორეოგრაფია, არამედ მთლიანი ბალეტის კონსტრუქცია, მოცეკვავის ყოველი მოძრაობა, ნახტომი, ტრიალი, ნაბიჯები, მიმიკა... 27–წუთიანი სპექტაკლია და ამ დროში ხდება მარგარიტას ცხოვრების ეტაპების წარმოდგენა. სხვადასხვა სცენაში სხვადასხვა კოსტიუმი მაცვია: წითელი, თეთრი, შავი, ვარდისფერი... მარგარიტას პარტიაში ტექნიკური სირთულეები არ არის, ეს განცდების ცეკვაა. უნდა იცეკვო, უნდა შექმნა დრამატული სახე, სტილი, ხასიათი; სცენაზე უნდა ჩანდეს რომანტიკა, ურთიერთობა. სცენაში, როდესაც მარგარიტა დამცირებული, შეურაცხყოფილი და მიტოვებული ქალია, ემოციურად ძალიან რთულია პლასტიკაში აჩვენო ტკივილი, მერე კი მისი სიკვდილის სცენა ითამაშო... ყველა ვარსკვლავმა, რომელმაც მარგარიტას პარტია იცეკვა, თავისი ინდივიდუალური სახე შექმნა. ნანახი მაქვს „მარგარიტა და არმანი“ თამარა როხოსა და სერგეი პოლუნინის შესრულებით. არაჩვეულებრივია! სამწუხაროდ, ნინო ანანიაშვილის მარგარიტა ვერ ვნახე, ძალიან ვნანობ...

**სპექტაკლის წინ რა ხდება ხოლმე კულისებში, რაც თქვენი სცენური ცხოვრების მეორე მხარეა და რასაც მაყურებელი ვერ ხედავს?**

საერთოდ, ჩემს საბალეტო კარიერაში როდესაც მნიშვნელოვანი პრემიერები მქონია, ჩემს თავს სულ რაღაც ხდებოდა: ან ავად ვიყავი, ან ფეხი მტკიოდა, ან ზურგი მაწუხებდა... ყოველთვის ასეა! „მარგარიტა და არმანის“ პრემიერაზე, მახსოვს, გავცივდი, სიცხეც მქონდა, ცოტა მახველებდა კიდეც, სუსტად ვგრძნობდი თავს...

**თქვენს რეპერტუარშია თითქმის ყველა კლასიკური წამყვანი პარტია, მაგრამ მაინც, რომელია თქვენი ვარსკვლავური კარიერის მთავარი პარტია, რომელმაც განსაკუთრებული წარმატება მოგიტანათ?**

ლონდონში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ჟიზელის, მანონისა და შეჰერეზადას პარტიებს. სწორედ მანონისა და შეჰერეზადას როლებისთვის მომცეს პრიზი ნომინაციაში „საუკეთესო მოცეკვავე“... მანონი ვინც იცეკვა, ყველა ამბობს, რომ ეს მაინც სხვა განცდებია, აქ მოძრაობით გრძნობის უდიდესი გულწრფელობა უნდა გამოხატო. საერთოდ, მაკმილანის სპექტაკლები არის ძალიან რთული, ემოციურად განსხვავებული, რადგან პლასტიკაში ის „დგამდა“ გრძნობას. ემოციურად და ფსიქოლოგიურად რთულია.

მეტს გეტყვით, მანონი The London Coliseum-ში რომ ვიცეკვე, ნახევარი საათი გასახდელში ვიჯექი გაუნძრევლად, ვიყავი აბსოლუტურად დაცლილი, დრო დამჭირდა იმისთვის, რომ სპექტაკლიდან გამოვსულიყავი.
საერთოდ, მიყვარს დრამატული სპექტაკლები, რომლებშიც გმირის სახე უნდა შექმნა, რადგან ხასიათისა და ემოციების გარეშე შეუძლებელია ცეკვა. მარტო ქორეოგრაფია არაფერს ნიშნავს... ვცდილობ, ძალიან ვცდილობ, რომ ჟიზელი იყოს უზომოდ ნაზი და მსუბუქი, განსაკუთრებით მეორე აქტის „ვილისების“ სცენაში, იმიტომ რომ ამ დროს ვარ სული, რომელიც უხილავად მოძრაობს. ეს ისეთი სპექტაკლია, რომ სცენაზე ჟიზელის მთელი ცხოვრება უნდა აჩვენო — სიკვდილამდე და სიკვდილის შემდეგ. რთულია! უნდა შეხვიდე უბრალო, სოფლელი გოგოს სამყაროში, რომელსაც გულით უყვარს, ძალიან რომანტიკულია და თავის სიყვარულს ეწირება. ინგლისში ვიცეკვე „რომეო და ჯულიეტა“ ნურიევის რედაქციით. გარდა იმისა, რომ ძალიან რთული სპექტაკლია ტექნიკურად, შენგან მოითხოვს არტისტიზმს, რომ შექმნა ჯულიეტას სენტიმენტალური სახე.

**2009 წელს Coco Chanel House-ის კრეატიულმა დირექტორმა Karl Lagerfeld -მა „მომაკვდავი გედის“ ექსკლუზიური „პაჩკა“ 2500 ბუმბულით სპეციალურად თქვენთვის შექმნა Chanel's Lemarié atelier-ში საკონცერტო ციკლისთვის „რუსული სეზონები“. რა შეცვალა Karl Lagerfeld -თან შეხვედრამ თქვენს საბალეტო კარიერაში?**
ლაგერფელდი ურთიერთობაში არის ძალიან გახსნილი, ძალიან თბილი, პირდაპირი... როდესაც კოსტიუმი შემიკერა და ტანზე მომარგო, მითხრა: ეს კოსტიუმი შენთვის შეიკერა, ამიტომაც ესკიზის ორიგინალი შენ გეკუთვნისო... მერე სამი თვის შემდეგ თავისი ხელმოწერით ჩარჩოში ჩასმული გამომიგზავნა. ეს „პაჩკა“ სპეციალური ტექნიკით არის შეკერილი, ბუმბულები ერთმანეთშია ჩასმული, ისეთი ნაზია, რომ ამ კოსტიუმით პა დე დეს ვერ იცეკვებ; წარმოიდგინეთ, მარტო ტიულია და ბუმბულები. კოსტიუმის ორიგინალი ეკუთვნის „შანელის“ სახლს, ადრე სახლში ვინახავდი, ახლა უკვე დავუბრუნე Chanel House-ს, მომავლში კი მუზეუმში იქნება დაცული. შევამჩნიე, რომ ამ კოსტიუმის მერე ლაგერფელდმა თავის კოლექციებში ძალიან ბევრი ბუმბული გამოიყენა, ინსპირაცია ალბათ ჩემი გედისგან მიიღო (იცინის)...

**კოკო შანელის ისტორიის მიხედვით დადგმულ ბალეტს „კოკო“ იური პოსოხოვის ქორეოგრაფიით როდის იცეკვებთ?**
ამ სპექტაკლის ლიბრეტო და მუსიკა უკვე არსებობს, მაგრამ პროექტი ჯერ კიდევ მზადების პროცესშია. როდესაც კოკო შანელზე წიგნი წავიკითხე, კიდევ უფრო დამაინტერესა მისმა ცხოვრებამ, არაჩვეულებრივი ქალი იყო თავისი ხედვით თუ შინაგანი სიძლიერით.

**რომელია თქვენი საყვარელი Perfume?**
Chanel Chance. დიდი ხანია ეს სუნამო მაქვს შეუცვლელად.

**როგორია თქვენი ჩაცმის სტილი?**
მიყვარს კლასიკური სტილი, ლამაზად ჩაცმა, ფეხსაცმლის ბრენდებიდან გამოვარჩევდი Salvatore Ferragamo-ს. თბილისში ყოფნისას ჩექმა „სამოსელი პირველში“ შევიკერე და ძალიან მომეწონა, ძალიან კმაყოფილი ვარ. ნაციონალური ხაზიდან ახლა მეგრული ულამაზესი კაბის შეკერვას ვაპირებ.

**გიყვართ სამკაულები?**
ძალიან, ბევრი მაქვს, მაგრამ ყოველდღიურად არ ვატარებ ხოლმე. მიყვარს Tiffany -ს კოლექცია Paloma Picasso.

**ყავა თუ ჩაი?**
ყავა, თურქულ ყავას ვსვამ ხოლმე.

**ძლიერი ქალი ხართ?**
ალბათ კი... ბევრი სირთულე მაქვს გადატანილი, რომელიც ან გაძლიერებს, ან გკლავს...








ილუსტრაცია ანუ სამარუთელი

EDITORIAL



Coat, pants, shoes - **MATÉRIEL** by **LIKA CHITAIA**

# I WANT YOUR LOVE

ყოველთვის, როდესაც დიზაინერის ტანსაცმელში გამოწყობილ მოდელს ვიღებ, ვცდილობ, ხაზი გავუსვა ადამიანის ბუნებრიობას და ფოტოსესიას მივცე რაიმე სახის შინაარსი, რაშიც სხვადასხვა ინსტალაცია, ან დეკორის ელემენტები მეხმარება. ამჯერად სამი ერთმანეთისგან განსხვავებული გოგონა დამეხმარა, ხალხისთვის მეჩვენებინა სიყვარულის მოლოდინში მყოფი ადამიანი, რომელიც ერთდროულად მელანქოლიური და მისტიკურია. ვფიქრობ, რომ თეთრ ფონზე აღბეჭდილი მუქი ფერის ვარდები, თეთრი კალები, ბრჭყვიალა დეტალები და მოელვარე ქსოვილები ხაზს უსვამს ჩანაფიქრს და იმ შეგრძნებებს, რომლებიც სიყვარულთან არის დაკავშირებული.

**ფოტო / სტილი** გიორგი ვაზოვსკი **ასისტენტი** კოტე ბოლქვაძე



Shirt, pants - **DALOOD**



Fur **ATELIER KIKALA**
Boots DALOOD











Knit, pants - **DALOOD**



Shirt GEORGE KEBURIA





Shirt GEORGE KEBURIA
Pants DALOOD

Top, pants - **MARIAM GVASALIA**
Shoes **MATÉRIEL by LIKA CHITAIA**



**MODELS** Mariam Budaghashvili / Geomodels Agency
Elene Malazonia, Nata Varazi





Knit Atelier Kikala

# მამაკაცები, მოდა და სიყვარული

## მოდის უდიდესი დედოფალი

მამაკაცი, რომელსაც შეუძლია იმოქმედოს, განწირულია სიყვარულისთვის — ბრძნულად აღნიშნა კოკო შანელმა. მისი ცხოვრების თითოეული მამაკაცი მის სულში კვალს ტოვებს. ყოველი ახალი რომანი — ახალი სინათლეა მის შემოქმედებაში, რადგან ხელოვნება და სიყვარული ყოველთვის ერთადაა.

**ტექსტი** მარინა მურსალოვა **ფოტო** პრეს მასალა







Коко Шанель

გაბრიელ (კოკო) შანელის პირველი საყვარელი ოფიცერი ეტიენ ბალსანი გახდა, ლამაზი, მდიდარი, ქარაფშუტა, თავგამოდებული მხედარი. ბალსანი მალე რუვანოში, მემკვიდრეობით მიღებული ფულით შეძენილ კოშკში გადადის საცხოვრებლად და კოკოც თან მიჰყავს. სწორედ აქ ვლინდება კოკოს პირველი კრეატიული მიდგომა ტანსაცმლისადმი. კოკო გადაწყვეტს, ეკონომია გააკეთოს ცხენოსანი ქალისთვის განკუთვნილ სამოსზე — „ამაზონსა“ და მაღალყელიან ჩექმებზე და ადგილობრივ მკერავს მამაკაცის ბრიჯებს უკვეთავს, ხოლო თავზე ვუალის მაგივრად ვიწრო ლენტს იკეთებს.
ეტიენი კოკოთი აღფრთოვანებულია, მაგრამ ოფიციალურ საყვარლად მის აღიარებას არ ჩქარობს. მაშინ ახალგაზრდა შანელი მის შემცვლელს პოულობს. არტურ კეიპელი, მეტსახელად ბოი, არანაკლებ მდიდარი ინგლისელია. არტური მხარს უჭერდა კოკოს სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ, მისთვის ფულსაც ხშირად სესხულობდა, ხოლო ყოფილმა საყვარელმა, ეტიენმა, მას თავისი ცარიელი ბინა დაუთმო, სადაც კოკომ ქუდების (შლაპების) მაღაზია გახსნა. კოკოს ქუდებს კოლოსალური წარმატება ხვდა წილად, რის შემდეგაც, მალე ატელიე "Chanel Models" გაიხსნა. გაბრიელის სიტყვებით, ეს იყო ყველაზე ბედნიერი პერიოდი მის ცხოვრებაში: იგი შეყვარებული იყო და თავადაც უყვარდათ, დაკავებული იყო საქმით, რომელსაც სიამოვნება და საკმაო შემოსავალი მოჰქონდა.

ეტიენ ბალსანი და კოკო შანელი



≪მამაკაცის ცხოვრებაში მაინც ერთადერთი ქალია, ყველა დანარჩენი – მისი ჩრდილებია≫

(შლაპები), ჩამოქნილ სხეულზე იდეალურად მომდგარი სადა კაბები, დაბალქუსლიანი ფეხსაცმელები მრგვალი ცხვირით — ეს ყველაფერი კლიენტების აღტაცებას იწვევდა. მათ მობეზრებული ჰქონდათ დიდი ბუმბულებიანი შლაპები, მაღალყელიანი ფეხსაცმელი, კორსეტები და მრავალფენიანი ქვედაბოლოები.

მალე კოკო კიდევ ერთ ატელიეს ხნის მოდურ საზღვაო კურორტზე, დოვილში. პირველი მოდის მიმდევარი, ბარონესა როტშილდი, რომელიც ცნობილ ფრანგ მკერავთან ნაჩხუბარი იყო, მის ჯინაზე კოკოს კაბებს იცვამს და აიძულებს მთელ პარიზულ ბოჰემას, ახალ მოდას აჰყვეს. კეიპელი და კოკო ხშირი სტუმრები არიან მაღალი საზოგადოების შეკრებებზე; ის სასურველი საქმროა, კოკო — ცნობილი მოდისტი. კოკოს იმედი აქვს, რომ იგი ხელს შესთავაზებს, თუმცა კეიპელი სხვა ახალგაზრდა ქალზე აკეთებს არჩევანს, რომელიც კოკოსგან განსხვავებით მდიდარი ოჯახიდანაა. ამ ამბის შემდეგ კოკო მთლიანად დამოუკიდებლობისკენ სწრაფვაზე კონცენტრირდება. 1914 წლის ზაფხულში მისი ახალი კოლექცია გამოდის. კოკო მსოფლიოს აჩვენებს, თუ როგორი მიმზიდველი შეიძლება იყოს ბუნებრივი ქალურობა.

მორიგი წარმატების შემდგომ, მალევე პირველი მსოფლიო ომი დაიწყო... ომის დროს დოვილში ცხოვრება არ ჩქეფდა, თუმცა მშვიდად მიედინებოდა. აქ, ძირითადად, ომს გამოქცეულები ჩამოდიოდნენ. ფუფუნება ცუდ ტონად იქცა. სწორი, კოჭამდე ქვედაბოლოები, უბრალო და ომისდროინდელი პირობებისთვის მოსახერხებელი კაბები კლიენტებმა მალევე დააფასეს. სწორედ ომის დროს, კოკომ მოდაში შემოიტანა მოკლედ შეჭრილი თმა და პლაჟის პიჟამო, რომელშიც არა მხოლოდ ბანაობა, არამედ საჰაერო თავდასხმის დროს თავშესაფარში გაქცევაც შეიძლებოდა.

1915 წელს კოკო კიდევ ერთ მაღაზიას ხსნის ბიარიცში, ესპანეთის საზღვართან. ეს უკვე ნამდვილი მოდის სახლია. მის დამკვეთებს შორის ახლა უკვე ესპანეთის სამეფო კარის წევრებიც არიან. კოკოს გაბედული იდეა ებადება: იგი საბითუმო საწყობებში ყიდულობს ჯერსის და ფლანელის ყველა მარაგს, რომელსაც ფერისა და უხეში სტრუქტურის გამო არ ყიდულობდნენ. და მალე გამოდის მისი მორიგი სენსაციური კოლექცია, რომელშიც ქალის განსაკუთრებული ელეგანტურობა და, ამასთან, სექსუალურობა იყო ხაზგასმული.

მალე არტურ კეიპელს ქორწინებაში იმედი უცრუვდება და კოკოს უბრუნდება, მაგრამ 1919 წელს იგი ავტოკატასტროფის შედეგად იღუპება. შანელის შემდგომ კოლექციაში შავი ფერი ჭარბობს... შავი ფერი აღიარეს ყველაზე მდიდრულ და ქალურ ფერად. ამბობდნენ კიდეც, რომ კოკომ მოდაში შავი ფერი სწორედ იმიტომ შემოიტანა, რომ ქალებს მთელი ცხოვრება, კოკოსთან ერთად, ეგლოვათ არტური.

1920 წელს კოკო გაიცნობს დიმიტრი რომანოვს, ლამაზ მამაკაცს და დიდ რუს თავადს. მათი კავშირი (კოკო 38-ისაა, დიმიტრი — 29-ის) მშფოთვარე იყო, თუმცა ხანმოკლე. თავადი მალე დაქორწინდა მდიდარ ამერიკელზე, თუმცა შანელის მოდის სახლში რუსი „მაღალი წრის მანეკენები“ მოიყვანა, რომლებიც მაღალი საზოგადოების საზეიმო საღამოებზე გამოდიოდნენ. ეს ხელს უწყობდა კლიენტურის გაფართოებას.

იმავე ზაფხულში კოკო თავისთან საცხოვრებლად პატიჟებს იგორ სტრავინსკის — რუს კომპოზიტორს, ისეთივე ქარიზმატულ ნოვატორს მუსიკაში, როგორც შანელი მოდაში, ოთხ შთამომავალთან და ფეხმძიმე მეუღლესთან — კატერინასთან ერთად. ბევრი მკვლევარი ვარაუდობს, რომ რუს კომპოზიტორს ხანმოკლე რომანი ჰქონდა ფრანგ მოდის დედოფალთან. კოკო ბუნდოვნად ლაპარაკობს მხოლოდ მეგობრობაზე. სტრავინსკი ირწმუნება: „შემეძლო მისი შეყვარება, მაგრამ ის, სავარაუდოდ, საუზმეზე მოახერხებდა ჩემს შეჭმას“. ასეა თუ ისე, ამ ურთიერთობამ თავისი ნაყოფი გამოიღო: სტრავინსკი საბოლოოდ ჩამოყალიბდა ინდივიდუალური სტილის მუსიკოსად, ხოლო კოკომ შექმნა ლეგენდარული Chanel N5.





არტურ კეიპელი და კოკო შანელი



კოკო შანელი და ჰერცოგი ვესტმინსტერსკი

შემდეგ იყო მკრთალი ურთიერთობა პოეტ რევერდისთან, რასაც მოჰყვა ხმაურიანი რომანი ვესტმინსტერის ჰერცოგ ხუან რიჩარდ არტურთან (მეტსახელად ბენდორი, დედოფალ ვიქტორიას ნათლული, ჩერჩილის ახლო მეგობარი).

ბენდორი ახალი გაყრილი იყო მეუღლესთან. ის კოკოს ანებივრებდა, ყვავილებითა და ბრილიანტებით ასაჩუქრებდა. „ბოლოს და ბოლოს შემხვდა ადამიანი, რომელსაც შემიძლია დავეყრდნო“, — ამბობდა სიხარულით კოკო. მის კოლექციაში არასოდეს ასე მკაფიოდ არ ჟღერდა ინგლისური მოტივები; მამაკაცის ქურთუკები, ნაქსოვი სვიტრები, რომლებიც აუცილებლად უძვირფასესი გაფორმებით უნდა გეტარებინა, პალტო და სპორტული თარგის კოსტიუმები — ისევ ის ელეგანტური, სუფთა ინგლისური თავშეკავებულობა, ფრანგული შარმით გაზავებული. ჰერცოგთან რომანი 14 წელს გაგრძელდა და შანელს უკვე სჯეროდა, რომ სანუკვარ ოცნებას მიაღწია... თუმცა ის უკვე 46 წლის იყო, ჰერცოგს კი მემკვიდრე სჭირდებოდა... 1930 წლის გაზაფხულზე ჰერცოგმა ნიშნობა გამოაცხადა და კოკოს სთხოვა, მისი არჩევანი დადებითად შეეფასებინა. კოკომ არჩევანი მოუწონა და დამშვიდობებისას ირონიულად უთხრა: „ქვეყნად ძალიან ბევრია ყველანაირი ჰერცოგინია, მაგრამ ერთადერთია კოკო შანელი“.

შემდეგ იყო დაუმთავრებელი კავშირები, ჩანაცვლებული გულმოდგინე მუშაობით, ისევ პიერ რევერდი, სამუელ გოლდვინი...

≪ყველაფერი ჩვენს ხელთაა, ამიტომაც ნურასდროს ჩაიქნევთ ხელი≫



§

ომის შემდეგ უცხოელები ვერ ცნობდნენ ფრანგ ქალებს – ისინი, კოსტიუმებში გამოწყობილნი, მოკლედ შეჭრილი თმით, ისეთი მომაჯადოებლები და მიმზიდველები იყვნენ, როგორც არასდროს.

§

მერილინ მონროს განცხადებამ, რომ საღამოს ის მხოლოდ „შანელ N5“-ის წვეთს „იცვამს“, სახელი გაუთქვა ამ პარფიუმს. აშშ-ის პირველ ლედის, ჟაკლინ კენედის შანელის კოსტიუმი ეცვა, როდესაც მისი პრეზიდენტი ქმარი მოკლეს. და ამან საბოლოოდ ჩაწერა კოკო შანელის სახელი ისტორიაში.

§

კოკო შანელი სასტუმრო ,,რიტცის“ ლუქსის ნომერში, სიმარტოვეში გარდაიცვალა 87 წლის ასაკში. მისი იმპერიის შემოსავლები წელიწადში 160 მილიონ დოლარს შეადგენდა, თუმცა მის გარდერობში ნახეს ძალიან დახვეწილი, სამი ხელი სამოსი.

მაგრამ იმ პერიოდის ყველაზე მთავარი მოვლენა ჰოლივუდში კოსტიუმებზე მუშაობა იყო. შანელმა მიიღო არა მხოლოდ იმ დროისთვის უდიდესი ჰონორარი, არამედ მისი პრესტიჟიც გაიზარდა; კოკომ, ასევე, დაიწყო სამკაულების შექმნა და ისტორიაში პირველად შეურია ძვირფასი და ხელოვნური ქვები.

კოკოს ახალი გატაცება პოლ ირიბარნეგარესია, მხატვარი და ავანტიურისტი. კოკო — „დემონი“ მას აჯადოებს, ხიბლავს და იმორჩილებს. მაგრამ 2 წლის შემდეგ პოლი უაზრო სიკვდილით იღუპება, ჩოგბურთის თამაშის დროს, შეჯახების გამო... ახალი განცდა კვლავ ახალი აღმაფრენაა.

მეორე მსოფლიო ომის წინ ფრანგული დროშის ცისფერ-თეთრ-წითელ ფერებში შესრულებულმა კოლექციამ ნამდვილი სენსაცია გამოიწვია.

1939 წელს შანელი უეცრად კეტავს ყველა საწარმოს. ამბობენ, რომ იგი თანამშრომლების გაფიცვებმა აღაშფოთა, რომლებიც ხელფასის მომატებას ითხოვდნენ.

როდესაც გერმანელებმა პარიზი დაიკავეს, კოკომ რომანი გააბა გერმანიის საელჩოს ატაშესთან ჰანს გიუნტერთან. კოკო 56-ის იყო, ჰანსი — 43-ის.

გერმანიის სამხედრო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის აგენტი ჰანს გიუნტერი სთხოვს კოკოს, ხელი შეუწყოს ინგლისთან სეპარატული ზავის დადებაში და ჩერჩილთან შეხვედრა მოუწყოს. იგი ამ საბაბით კიდევაც ხვდებოდა ვალტერ შელენბერგს, გერმანიის დაზვერვის უშიშროების სამსახურის შეფს.

ომის შემდეგ კოკო ფაშისტებთან თანამშრომლობისთვის გაასამართლეს, მაგრამ ჩერჩილმა იგი სასჯელისგან იხსნა. კოკომ შელენბერგი ციხიდან გამოსვლის შემდეგ თავისთან შეიკედლა და როდესაც იგი გარდაიცვალა, მისი დაკრძალვის ხარჯებიც დაფარა.

ომის შემდეგ შანელი შვეიცარიაში მიემგზავრება — იქ არის ფული და ფონ დინკლაგე, ისინი ერთად უკეთესად გადაურჩებიან სიკვდილს. 50-იანი წლების დასაწყისში ფრანგული მოდის ჰორიზონტზე ჩნდება ახალი კუტურიე კრისტიან დიორი, რომელმაც აღადგინა ყველაფერი, რაზეც შანელმა უარი თქვა: მოდაში კვლავ შემოვიდა კორსეტები და მძიმე ქვედაბოლოები, აგრეთვე, ტანზე მომდგარი ფორმები.

შანელი დარწმუნებული იყო, რომ ასეთი მოდა დიდხანს ვერ იარსებებდა. „მამაკაცი, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე არ ჰყოლია არცერთი ქალი, მიისწრაფვის ჩააცვას მათ ისე, თითქოს თვითონ იყოს ქალი“, — ასეთი კომენტარი გააკეთა შანელმა დიორის ჰიპერქალურ კოლექციაზე.

კოკო შანელი პარიზში მხოლოდ 70 წლის ასაკში დაბრუნდა. მან წარმოადგინა თავისი ახალი კოლექცია და... აბუჩად აიგდეს, ისევე როგორც მისი „ნაფტალინის“ სუნამოები. „სრული ფიასკო“, — წერდნენ გაზეთები. შეუპოვრობას მიჩვეული კოკო ფსონს დებდა რაციონალურ ამერიკელებზე. მან კოლექცია ამერიკაში წაიღო. ეს იყო ნამდვილი ტრიუმფი. მისი ცნობილი „პატარა შავი კაბა“ 50-იანი წლების მოდის სიმბოლო გახდა. ჟურნალი LIFE-ი წერდა: „გაბრიელ შანელი ქმნიდა არა მხოლოდ მოდას, არამედ რევოლუციას“.

მან დედისაგან მემკვიდრეობით მიიღო სიყვარულის და ერთგულების ძლიერი უნარი. მაგრამ ცხოვრების გარემოებები ისე აეწყო, რომ თავისი მთავარი ქალური პოტენციალი სხეულისა და ადამიანთა მოდგმის საუკეთესო ნახევრის სულის თავისუფლებისათვის ბრძოლაში დახარჯა; იგი ამტკიცებდა, რომ კაბა კი არ ალამაზებს ქალს, არამედ ქალი — კაბას.

« დრო არსებობს მხოლოდ სიყვარულისა და მუშაობისთვის. დანარჩენისთვის დრო არ რჩება »







> ჩემი ქმარი ამბობდა, რომ როდესაც ქსოვილს ვხედავ, ძაფების ხმა მესმის. ეს ნამდვილად ასეა, ისინი მიყვებიან ისტორიებს, მიმღერიან სიმღერებს.





# კონტრასტების თამაში

## აირის ბარელ აპფელი

ბევრი ყიდულობს მდიდრულ, ძვირფას ნივთებს და არასოდეს ატარებს მათ. ჩემთვის ეს ახირებაა. ერთმა ქალბატონმა თავისი ახალი შენაძენი მაჩვენა — ჯეფრი ბინის 15-ათასდოლარიანი არაჩვეულებრივი კაბა. მისი დანახვისას აღტაცება ვერ დავმალე: „წარმომიდგენია, რა სიამოვნებას განიჭებთ მისი ტარება!“ მან მიპასუხა: „რას ამბობთ! ეს ხომ ჩემი კოლექციის ნაწილია! თქვენ ხომ არ ატარებთ იმას, რაც მუზეუმშია გამოფენილი?!“ „რას იზამ. გამოდის, რომ მე არ მაქვს კოლექცია!“— ვუპასუხე მე.

**ინტერვიუ** ფიდან მამედოვი (NYLANE) **ფოტო** TRUNK ARCHIVE



საკუთარ თავს „დაბერებულ მოხუცად“ მოიხსენიებს

დიზაინერსა და კოლექციონერს აირის აპფელს 2015 წელს 94 წელი შეუსრულდა. მასზე, როგორც სტილის ხატზე, მთელი მსოფლიო ალაპარაკდა, როდესაც Rara Avis-ის გამოფენაზე (ლათინურიდან — „იშვიათი ჩიტი“) Metropolitan Museum of Art's Costume Institute-ში მსოფლიოს ყველაზე ცნობილი დიზაინერები შეიკრიბნენ. ეს გამოფენა, მისთვის იყო „რამპა“, რომელიც მკვეთრად ანათებდა მის ჯერ ნაკლებად ცნობილ სტილს: იქ აირისი ერთხელ და სამუდამოდ მონათლეს „მოდის იშვიათ ჩიტად“.

ეს არის ადამიანი ,,ექსპრესიული ფოიერვერკის“ სტილით. მისთვის დამახასიათებელია ფერებისა და ტონების არა მდარე, უხარისხო შერევა, არამედ ფერის, ფორმის, ფაქტურისა და ტანსაცმლის რელიეფის უზადო შეხამება. აქ საქმე ეხება არა იმდენად სტილს, რამდენადაც გემოვნებას, და კიდევ უფრო ზუსტად — მის ინტუიციურ გამოვლენას. ქუინსის მკვიდრი, რუსი ემიგრანტი ქალის ქალიშვილი, თავისი სახეების შექმნისას, აშკარად არ სარგებლობდა არანაირი განსაზღვრული სისტემით და ამიტომ, ისინი განუმეორებელია. გამონაკლისია მისი საფირმო „სავიზიტო ბარათები“: აირისი გვერდს ვერ უვლის ფართოჩარჩოიან აქცენტირებულ სათვალეებს და ზოგიერთ სხვა აქსესუარს.

„ხელოვნება — ეს არის თვითგამოხატვის უმაღლესი ხარისხი. „მე — ჩემი საკუთარი ტილო ვარ“. იყო ინდივიდუალური — დღევანდელ დღეს უჩვეულოა: ყველას უნდა იყოს ისეთი, როგორებიც სხვები არიან და მუდმივად ინტერესდებიან, თუ რა აცვიათ წითელ ხალიჩაზე. ადამიანებს აშინებთ გამოჩნდნენ ისეთები, როგორებიც არიან“.

აირისის თვითმყოფადობა და მოდის საზოგადოებაში ჩართვა სათავეს ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან, მისი კარიერის საწყისებიდან იღებს. WWD-ში ინტერიერის დიზაინერად მუშაობისას ახალგაზრდა ქალი ქსოვილების ძიებამ გაიტაცა. ეს „დაზვერვითი ოპერაციები“ ხარისხობრივად ახალ დონეზე გადავიდა, როდესაც 50-იან წლებში მან მეუღლესთან — კარლ აპფელთან ერთად ძველი ქსოვილების რესტავრაციის კომპანია Old World Weavers დააარსა. მისი ეს პირველი განაცხადი ინტერიერ-დიზაინის და მოდის სამყაროში მუდმივი დაუზარელი ძიების პროცესში გაიზარდა. კოლექციონერობა თანდათან იქცა მისი ცხოვრების მთავარ საქმედ, რომელიც აზარტულ თამაშს დაემსგავსა. აირისი იწყებს ნადირობას ვინტაჟურ ნივთებსა და მიგდებულ ანტიკვარიატზე.

ამ დაუღალავ ძიებას, მოსინჯვას და არასაჭიროსა და უმნიშვნელოს გაცხრილვას შეუძლებელია თავისი კვალი არ დაეტოვებინა მის სამოთახიან ბინაში მანჰეტენზე.

„ნამდვილი რომანტიკოსი ვარ. არასოდეს არაფერს ვყიდულობდი მარტო იმიტომ, რომ ფასეული იყო. ჩემი ქმარი ამბობდა, რომ როდესაც ქსოვილს ვხედავ, ძაფების ხმა მესმის“. ეს ნამდვილად ასეა, ისინი მიყვებიან ისტორიებს, მიმღერიან სიმღერებს ფიზიკური რეაქცია უნდა ვიგრძნო, როდესაც რაღაცას ვყიდულობ“.





მის ბინაში თუ მიმოიხედავ, რთული არ არის შეამჩნიო, რომ მე-18 საუკუნის ფრანგული სტილი ჭარბობს. სავარძლებსა და დივანზე კომპანია Old World Weavers-ის (მე-17 საუკუნე, სიცილია) ქსოვილია გადაკრული. ოქროსფერი და კრემისფერი ფერების სიჭარბე როგორღაც ჰარმონიაში მოდის ფერთა მდიდარ პალიტრასთან. მთლიანად დეკორი მშვიდობისმოყვარეობისა და კოსმოპოლიტიზმის უმაღლეს ხარისხამდეა ასული, გეოგრაფიულად ფართო ჩარჩოებს მოიცავს — ევროპის ყველაზე დასავლური წერტილიდან შორეულ ჩინეთამდე. ასევე, მე-18 საუკუნის იტალიური მოოქრული სარკისა და ბაროკოს კონსოლის სიმბიოზი მხოლოდ აქ ახერხებს ჩანდეს ასე ახალი და ხასხასა.

„ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ჯაზი — სტილური იმპროვიზაციაა. კომპოზიციურად ის იწყობა იმავე პრინციპებით, როგორც ინტერიერის დეკორი და ტანსაცმლის დიზაინი: რიტმი, მაღლის და დაბლის შერევა, ეთნიკური მოტივების და კლასიკური ელემენტების გადაჯაჭვა“.

გოგონას პორტრეტი წითელი ლენტებით თმაში, ველასკესის სულისკვეთებით — ერთ-ერთი პირველი ხელოვნების ქმნილებაა, რომელიც დეკორატორმა შეიძინა. მას ჯერ კიდევ 60 წლის წინათ წააწყდა ფლორენციის ერთ-ერთ ანტიკვარიატის მაღაზიაში. მაგრამ მისი ინტერესთა სფერო მხოლოდ ხელოვნებით არ შემოიფარგლება. ხშირად თავის ინტერვიუში იგი ლაპარაკობს ჯინსებზე ან მაღალყელიან ჩექმებზე. მისი სიტყვებით, ერთ-ერთი პირველი იყო ნიუ-იორკში, ვისაც ისინი ეცვა. გასაკვირი არ არის, რომ აირისის ბინაში სამი ოთახი უჭირავს გარდერობს — მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს, რომელიც სილამაზის ყველა ფორმას ეძღვნება. ამ უცნაური ბინის დერეფნის კედლებზე კიდია მე-18-19 საუკუნეების ნახატები ძაღლების გამოსახულებებით, აქვეა თაროები ინგლისურ სტილში, რომლებიც სავსეა წიგნებით მოდაზე და ხელოვნებაზე.

აირის აპფელის ფანტაზია ქმნის ექსპერიმენტულ ეკლექტიკას, ერთმანეთს უთავსებს შეუთავსებლებს და ამ დროს საკუთარ შინაგან ხმას და სტილის თანდაყოლილ გრძნობას ეყრდნობა.

„ერთხელ ისიც მითხრეს, რომ ვიღაცის ცხოვრება შევცვალე! მე კი გავიფიქრე: „რა გაუხარელი ცხოვრება ჰქონია იმ ადამიანს, რომელზეც ზემოქმედება შევძელი!“

იყო ინდივიდუალური – დღევანდელ დღეს უჩვეულოა: ყველას უნდა იყოს ისეთი, როგორებიც სხვები არიან და მუდმივად ინტერესდებიან, თუ რა აცვიათ წითელ ხალიჩაზე. ადამიანებს აშინებთ გამოჩნდნენ ისეთები, როგორებიც არიან“.





# მე-19 საუკუნის საქართველოს სალონური ცხოვრება

**ტექსტი, ფოტო** ირინა აბჟანდაძე

## ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონი

საფრანგეთის მიბაძვით მე–18 საუკუნის მეორე ნახევარში ლიტერატურული წრეები და სალონები გაჩნდა ჯერ გერმანიაში, შემდეგ ევროპის სხვა ქვეყნებში და რუსეთში.

მე–19 საუკუნის დამდეგს, როცა რუსეთის ცარიზმი დამკვიდრდა საქართველოში, ლიტერატურულმა წრეებმა და სალონებმა ჩვენთანაც იჩინა თავი. რუსეთი საქართველოს დაპყრობის დღიდანვე ცდილობდა ქართველი თავადაზნაურების გულის მოგებას — ქართული არისტოკრატიის ჩაბმა ევროპული ცხოვრების წესში ერთ–ერთი საშუალება იყო კოლონიური პოლიტიკის გასატარებლად.


ნინო ჭავჭავაძე


ეკატერინე ჭავჭავაძე

თბილისში უპირველესი სალონი ჰქონდა პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძეს. 1812 წელს ალექსანდრე ივანე ჯამბაკურ-ორბელიანის ასულ სალომეზე დაქორწინდა. სალომე ორბელიანი თავის ულამაზეს ქალიშვილებთან ერთად იყო ამ სალონის შთამაგონებელი და წარმმართველი. ყველა წარჩინებული ადამიანი, რომელიც პეტერბურგიდან ან სხვა ქალაქიდან ჩამოვიდოდა, მაშინვე ხდებოდა თავადის სადარბაზო ოთახის სტუმარი.

ალექსანდრე ჭავჭავაძის თანამედროვე აღწერს: „ეს სადარბაზო მორთული იყო ანტიკური შპალერით, რომელზედაც მითოლოგიიდან აღებული სცენები ეხატა. ამბობდნენ, რომ ეს შპალერი ეკატერინე მეორემ აჩუქა ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძის მამას, ერეკლე მეფის მიერ რუსეთის კარზე გაგზავნილ დესპანს.

სადარბაზოს და მის გვერდზე ოთახს ამშვენებდნენ უძვირფასესი, იმხანად თბილისში ერთადერთი, ფანჯრებში ჩასმული სარკიანი შუშები“.

ჭავჭავაძეების მისაღები ოთახი არასდროს არ იცლებოდა სტუმრებისგან. ყოველდღე მათთან გათენებიდანვე გროვდებოდნენ ნათესავები, მოგვიანებით კი, სამსახურის დამთავრებისთანავე – რუსი ჩინოვნიკები.

ძალიან ხშირად მაგიდას ოჯახის წევრების გარდა ოცამდე მოულოდნელად შემოსწრებული სტუმარი მოუსხდებოდა. თავადი ალექსანდრე შემოსულ სტუმარს არავითარ შემთხვევაში არ გაუშვებდა სადილის გარეშე. ასე მიდიოდა დღეები ზამთარში. ზაფხულობით ჭავჭავაძეები წინანდალში მიემგზავრებოდნენ.

ალექსანდრე ჭავჭავაძე თავად უძღვებოდა ამ ლხინებს, თამადობდა და, როგორც იონა მეუნარგია გვამცნობს: „საუცხოოდ უკრავდა ჩონგურზე“. მისი ქალიშვილები — ნინო და ეკატერინე მღეროდნენ. ნინო კარგად უკრავდა ფორტეპიანოზე. მუნასიბების საუკეთესო ოსტატი ალექსანდრე ჭავჭავაძე მოულოდნელად შემოსულ სტუმარს სახელდახელოდ შეთხზული ლექსით მიეგებებოდა.

მათ სახლში იმართებოდა სხვადასხვა სახის თამაშები. ერთ-ერთი ასეთი თამაში აღწერილი აქვს თეოდორ ტორნაუს:

„ერთ საღამოს ჭავჭავაძეების სახლში თავს ირთობდნენ რომელიღაც თამაშით, რომლის დროსაც მოთამაშენი სხედან წრეში და უნდა ადგნენ სკამიდან მაშინვე, როგორც კი გამოძახებული იქნება ნადირის ან ყვავილის ფერი, რომელიც მოთამაშეს წინასწარ აქვს არჩეული, უყურადღებობის შემთხვევაში ის უკან აძლევს თავის ფანტს. ამ წრეში ბრწყინავდნენ ყველა იმ ლამაზ ქალთა თვალები, რომლებიც მაშინ ცხოვრობდნენ თბილისში. თამაშში ჩარეულმა ერთ-ერთმა თავადმა ჩაშტერებით დაუწყო ყურება ნინო ალექსანდრეს ასულს. მოულოდნელად დაასახელეს მისი კუთვნილი ფერი. ის არ გამოხმაურებია. გაიმეორეს სიტყვა ხელმეორედ, ის სასწრაფოდ, დაბნეული წამოხტა თავისი სკამიდან და ერთიანად გაიშხლართა ოთახის შუაგულში. ყველამ გადაიხარხარა ნინო ალექსანდრეს ასულის გარდა“.

ჭავჭავაძეებთან იმართებოდა ახლადდასრულებული ლიტერატურული ნაწარმოებების საჯარო კითხვა. 1839 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი პოემა „ბედი ქართლისა“ სწორედ აქ წაიკითხა პირველად.

1846 წელს გარდაიცვალა ალექსანდრე ჭავჭავაძე, ერთ წელიწადში – მისი მეუღლე სალომე ორბელიანი. ამ დღიდან სალონს ნინო ჭავჭავაძე უძღვებოდა. სალონი კვლავ გამოცოცხლდა და სხვადასხვაგვარ გასართობებს ბანქოს თამაშიც მიემატა.

1857 წლის 28 ივლისს ნინო ჭავჭავაძე ქოლერით გარდაიცვალა და სალონმა მალევე შეწყვიტა არსებობა.


ალექსანდრე ჭავჭავაძე



# ნიკო დადიანის სალონი

სამეგრელოს მთავრების სამყოფელს ზუგდიდი და გორდი წარმოადგენდა. მემატიანე წერს: „მთავარი ზამთრობით ზუგდიდში ცხოვრობდა და ეს დაბა განთქმული იყო თავისი მშვენიერი ბაღით; გორდი კი იყო საზაფხულო რეზიდენცია, მდიდარი მთის წყაროებით და ნაქები საღი ჰაერით“.



სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი დავით დადიანი

რუსეთიდან დაბრუნებული სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი დავით დადიანი სამეგრელოში ჩადის და ამ დღიდან მშვენივრად მოწყობილ სასახლეში ევროპული ცხოვრების წესს ამკვიდრებს.

მოკლე ხანში დავითმა ძვირფასი ბიბლიოთეკა მოაწყო (უნიკალური ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნებისგან). თავადაც არაჩვეულებრივად განათლებული კაცი გახლდათ, როგორც დროს მოიხელთებდა, სხვადასხვა წიგნის გადაწერას და თარგმანს შეუდგებოდა. მისმა სასახლემ მალე მოიზიდა ზუგდიდსა და მის მახლობლად მყოფი ქართველი და რუსი სამხედრო პირები. მთავრის სასახლემ ნამდვილი სალონის სახე მიიღო.

1835 წლის 12 დეკემბერს ამ სალონში დავით დადიანმა თავისი დის — ნინო დადიანის დაბადების დღე გადაიხადა. ხუთი დღის შემდეგ თავისი ძმის, გრიგოლისადმი გაგზავნილ წერილში დავითი წერდა:

„12 დეკემბერს მეჯლისი გადავიხადე დღისა ნინოს დაბადებისასა ჩემს სახლში, დიდი ამბავი მქონდა, მრავალი შეყრილობა და საღამოს ტრანსპარანტები. ტრანსპარანტში იყო გამოხატული ვენზელი ნინოს გვირგვინით. მარცხნით ლექსი ჩემ მიერ შეთხზული და მარჯვნივ შპრინგელის მიერ შეთხზული რუსული“.

დავით დადიანის მდიდარი ბიბლიოთეკით სარგებლობდნენ როგორც მწერლები, ისე ლიტერატურით დაინტერესებული პირებიც. როცა დადიანის კუთვნილი წიგნების ერთი ნაწილი „ხელიდან ხელში“ გადასვლისას დაიფანტა, მთავრმა მათ აღმოსაჩენად ყოველგვარი ღონე იხმარა.

სიძის სალონს ზუგდიდში ხშირად სტუმრობდა ალექსანდრე ჭავჭავაძეც. განსაკუთრებით გამოირჩეოდა სააღდგომო და საახალწლო ზეიმები.

თბილისში ერთ–ერთი ჩამოსვლისას დავით დადიანი ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონში მოხვდა სტუმრად. მასპინძლის ქალიშვილის, ეკატერინეს მშვენიერებით მოხიბლულმა მთავარმა ამ დღიდან ახლო ურთიერთობა დაამყარა პოეტის ოჯახთან. ეს ურთიერთობა იმით დაიწყო, რომ 1839 წელს დავითმა ჯვარი დაიწერა ეკატერინე ჭავჭავაძეზე ქაშუეთის ეკლესიაში.

ნადიმებზე, დღესასწაულზე და ლხინზე ხშირად ისმოდა არაჩვეულებრივი ევროპული მუსიკა.

1853 წლის 30 აგვისტოს დავით დადიანი გარდაიცვალა და ამ ფაქტმა საკმაო ხნით შეაჩერა სალონის მუშაობა.

სალონის ცხოვრებაში სიახლე შემოჰქონდა ნინო ჭავჭავაძეს, რომელიც დავით დადიანის გარდაცვალების შემდეგ დიდი ხნით რჩებოდა თავის დასთან.

ნინო ჭავჭავაძის გარდაცვალებამ ეკატერინე დიდ მწუხარებაში ჩააგდო და სალონური შეხვედრებიც მიინავლა.



ზუგდიდი. დადიანების სასახლე

# წიგნების მიმოხილვა

ნანა კობაიძე




### ელის მანრო, „ძვირფასი სიცოცხლე“

**გამომცემლობა „დიოგენე“**
**თარგმნა გია ჭუმბურიძემ**

თანამედროვე კანადელი მწერლის, ელის მანროს სახელი განსაკუთრებით აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც ნობელის პრემია მიანიჭეს (2013 წელს). მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაწერები ლიტერატურულ წრეებში ყოველთვის იწვევდა ინტერესს, ეს ქალბატონი მსოფლიო ბესტსელერებით ვერ დაიკვეხნის. სავარაუდოდ, ამის პრეტენზია არც უნდა ჰქონდეს, რადგან უფრო კამერული ჟანრის მოყვარულთათვის განკუთვნილი ავტორია.
ელის მანრო მცირე პროზის ოსტატია, თუმცა ცხოვრებაში ერთხელ რომანის დაწერაც სცადა. საბედნიეროდ, მიხვდა, რომ ეს მისი ჟანრი არ იყო და შეცდომა თავადვე აღიარა. მანროს კალამს ათამდე მოთხრობების კრებული ეკუთვნის, რომელთა თემები ძირითადად, სიყვარული, ადამიანური ურთიერთობები, მათი ისტორიები, განცდები და მისწრაფებებია. 2012 წელს 82 წლის მანრომ თავისი მორიგი წიგნი — „ძვირფასი სიცოცხლე“ გამოსცა და მწერლობიდან წასვლის შესახებ დააანონსა. ერთი წლის შემდეგ მას ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მიანიჭეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პრემიას, ძირითადად, რომანის ჟანრში მომუშავე ავტორებს აძლევენ, ჟიურის გადაწყვეტილება ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, მით უფრო, რომ მანროს ერთ-ერთი კონკურენტი ჰარუკი მურაკამი გახლდათ. „თანამედროვე მოთხრობის ოსტატს“ — ასეთი იყო ჟიურის მოტივაცია გადაწყვეტილების მიღებისას და მართლაც, ავტორმა, რომლის შემოქმედებასაც ხშირად ჩეხოვის ნაწერებს ადარებენ, კრიტიკოსების თქმით, ეს ჟანრი სრულყოფილებამდე მიიყვანა.




### ჰარუკი მურაკამი, „ნორვეგიული ტყე“

**„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“**
**თარგმნა თამარ სუბელიანმა**

„ნორვეგიული ტყე“ თანამედროვე იაპონური ლიტერატურის კლასიკოსის პირველი ბესტსელერია, რომლის შემდეგაც მსოფლიო მურაკამის შემოქმედებით დაინტერესდა. წიგნი 1987 წელს დაიწერა და დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას. მასში 60-იანი წლების იაპონელი ახალგაზრდების ცხოვრება ასახული, თუმცა აღმოჩნდა, რომ ის თემები და პრობლემები, რომლებზეც ავტორი მოგვითხრობს, ყველას თანაბრად აღელვებს, გეოგრაფიული მდებარეობის, კლიმატური სარტყლისა და დროის მონაკვეთის მიუხედავად.
Norwegian Wood „ბითლზის“ ერთ-ერთი კომპოზიციის სახელწოდებაა, რომელიც ძალიან უყვარს რომანის ერთ-ერთ გმირს, ნაოკოს. „ნორვეგიული ტყე“ ტკივილითა და ემოციებით აღსავსე წიგნია, რომლის მთავარი გმირი, ვატანაბე თავისი სტუდენტობის ამბებს იხსენებს. მათი თხრობისას რომანის სიუჟეტური ქარგა სათამაშო ფაზლივით ეწყობა და მკითხველს ღრმა სულიერი ტკივილით დაღდასმული, გაორებული სიყვარულით თავგზაარეული ახალგაზრდის სევდიან ისტორიას სთავაზობს.






### ჰერმან ბროხი, „მთვარეულები“

**გამომცემლობა „დიოგენე“**
**თარგმნა მაია ბადრიძემ**

ავსტრიული ლიტერატურის კლასიკოსთაგან ქართველი მკითხველი კაფკასა და მუზილის სახელებს კარგად იცნობს. შედარებით ნაკლებად არის ცნობილი კიდევ ერთი დიდი ავსტრიელის, ჰერმან ბროხის (1886-1951 ) შემოქმედება, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანი ავტორია. ბროხის საუკეთესო ოპუსად „ვერგილიუსის სიკვდილს“ მიიჩნევენ, რომელიც 1945 წელს გამოიცა. „მთვარეულები“(1931-32) მისი პირველი რომანია, რომლითაც იგი გასული საუკუნის ლიტერატურულ ცხოვრებაში შემოვიდა. პირველივე ცდა წარმატებული აღმოჩნდა. კრიტიკოსებმა ამ ტექსტს მაღალი შეფასება მისცეს. ერთ-ერთმა გერმანულმა გამომცემლობამ ბროხის ტრილოგია თავისი მასშტაბით ჯოისის „ულისეს“ შეადარა და ეს სულაც არ იყო გაზვიადება.
XIX საუკუნის დასასრულისა და XX-ის დასაწყისის გერმანიის მაგალითზე ავტორმა არა მხოლოდ აღწერა და გააანალიზა ეპოქათა ცვლისა და მასთან დაკავშირებული ღირებულებათა მსხვრევის მტკივნეული პროცესი, არამედ ის ახალი რეალობაც განჭვრიტა, რომელიც ამ ფასეულობათა ცვლილების შემდეგ მსოფლიომ ფაშიზმის სახით მიიღო. რომანი მარტივად წასაკითხი ტექსტების რიცხვს არ მიეკუთვნება და მკითხველისგან საკმაო კონცენტრაციასაც მოითხოვს, თუმცა ნამდვილი ლიტერატურის მოყვარულებს წინ დიდი სიამოვნება ელით — ბროხის ქართულ ენაზე გაცნობის სიამოვნება, რაშიც მათ მაია ბადრიძის შესანიშნავი თარგმანი დაეხმარება.




### ANDY WARHOL. POLAROIDS 1958-1987

**გამომცემლობა Taschen**

ენდი უორჰოლის თაყვანისმცემლებს Taschen-მა მშვენიერი საჩუქარი მოუმზადა — გამოვიდა წიგნად აკინძული ფოტოები, რომელთაც მხატვარი ცხოვრების ბოლო 30 წლის განმავლობაში Polaroid-ის კამერით იღებდა. მასში 20 ათასამდე მომენტალური ფოტო შევიდა, სადაც იმ ეპოქის თითქმის ყველა ცნობილ ადამიანს იხილავთ — დაწყებული მომღერლებითა და მსახიობებით, მწერლების, სპორტსმენებისა და პოლიტიკოსების ჩათვლით. მიკ ჯაგერი და ივ სენ ლორანი, მუჰამედ ალი და ტრუმენ კაპოტი, დაიანა როსი და ალფრედ ჰიჩკოკი… სია გრძელია. უნიკალური კოლექცია გასული საუკუნის სელებრითების ვრცელ გალერეას ქმნის, სადაც ცნობილთა ისეთ ფოტოებს იხილავთ, რომლებიც მანამდე არავის უნახავს. „ფოტოგრაფია ვიზუალური დღიურია, რომელიც საშუალებას მაძლევს ვიცოდე, სად ვიყავი და როდის. აი, რატომ ვიღებ ფოტოებს“, — ამბობდა ენდი უორჰოლი.
პორტრეტების გარდა წიგნში უამრავი პეიზაჟია და, რა თქმა უნდა, „სელფები“, რომელთა კულტურა მხატვარმა ინსტაგრამის შექმნამდე კარგა ხნით ადრე შემოიტანა. „ინსტაგრამამდე იყო უორჰოლი“, — ამბობს ერთ-ერთი კრიტიკოსი მასზე, რაშიც შეგიძლიათ თავად დარწმუნდეთ.




### PIRELLI. THE CALENDAR. 50 YEARS AND MORE

**გამომცემლობა Taschen**

Pirelli-ს სახელგანთქმული კალენდარი 50 წლის გახდა. ამ თარიღის აღსანიშნავად Taschen-მა საიუბილეო გამოცემა გამოუშვა იმ ფოტოების სრული რეტროსპექტივით, რომლებიც კალენდრის არსებობის ისტორიაში გადაიღეს. წიგნში თავი მოიყარა თანამედროვეობის უდიდეს მოდის ფოტოგრაფთა ნამუშევრებმა, რომელთა შორის არიან რიჩარდ ავედონი, პატრიკ დემარშელე, ნიკ ნაითი, ენი ლეიბოვიცი, სარა მუნი, მარიო სორენტი და სხვები.
გარდა ამისა, მასში შევიდა კადრები 1963 წლის ნომრიდან, რომელიც თავის დროზე არ გამოიცა; ასევე, ის ფოტოები, რომლებიც რედაქტორებმა ზედმეტი „სითამამის“ გამო დაიწუნეს და ფართო ტირაჟირებისთვის მიზანშეუწონლად მიიჩნიეს.
თუმცა Pirelli-ს კალენდარი დიდი ტირაჟით არასოდეს გამოირჩეოდა. ის ყოველთვის მცირე რაოდენობით გამოდიოდა და განკუთვნილი იყო „ძლიერთათვის ამა ქვეყნისა“, რომელთაც სხეულის სილამაზის ფასი ესმით და ამ ფოტოშედევრებით ტკბობა შეუძლიათ. Pirelli-ს კალენდარში მოხვედრა ნებისმიერი მოდელისა თუ მსახიობისთვის დიდი პატივი იყო. სხვადასხვა დროს მათ შორის იყვნენ სოფი ლორენი, ნაომი ქემპბელი, კეიტ მოსი, ჟიზელ ბუნდჰენი, ალესანდრა ამბროსიო, ლეტიცია კასტა, მილა იოვოვიჩი, პენელოპა კრუსი და ბევრი სხვა. წიგნში, რომელიც 600 გვერდს მოიცავს, ერთად არის თავმოყრილი პლანეტის მთელი ეს სილამაზე.

# სხეულის ენა

**ფსიქოლოგი** მარინა გოქსაძე **ტექსტი** ნანა კობაიძე



სხეულის ენა, იგივე „ბოდი ლენგვიჯი“ კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი, იდუმალი და მნიშვნელოვანი ენაა. ნებისმიერი კომუნიკაციის დროს ინფორმაციის 55% პროცენტს სხეული სწორედ ამ ენაზე გვაწვდის. ჟესტიკულაცია, მიმიკა, დგომა, სიარული — ბევრ სხვა კომპონენტთან ერთად „ბოდი ლენგვიჯის“ შემადგენელია. რატომ არის მნიშვნელოვანი ამ ენის ფლობა? იმიტომ, რომ პირდაპირ კავშირშია ჩვენს არაცნობიერთან. სამი კვირის ჩანასახს უკვე აქვს სხეულებრივი შეგრძნებები, არაცნობიერ დონეზე იმახსოვრებს ყველაფერს და მოგვიანებით სხეულის ენით გამოხატავს. ამ პერიოდში მიღებული სტრესი შესაძლოა ზრდასრულ ასაკში უცნაური კომპლექსებისა და რეაქციების სახით გამოვლინდეს. სხეულის ენა საშუალებას გვაძლევს ჩვენთვის საინტერესო ადამიანების „შიგნითაც“ შევიხედოთ და უამრავი მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოვიძიოთ.

„ბოდი ლენგვიჯი“ სხეულის რეაქციაა ჩვენს შიგნით მიმდინარე პროცესებზე, რაც, პირველ რიგში, სახეზე აისახება. მიუხედავად იმისა, რომ სახე მომენტალურად რეაგირებს ყველა გამაღიზიანებელზე, მიმიკის გაკონტროლება შესაძლებელია. ირკვევა, რომ ადამიანი პირველად ემოციას წამნახევრის განმავლობაში ვერ ფარავს. შემდეგ პროცესებში გონება ერთვება. თუ ამ დროის მანძილზე მოსაუბრემ თქვენი გამომეტყველება ვერ შეამჩნია, შეგიძლიათ ესათუის ემოცია „არ შეიმჩნიოთ.“

„ბოდი ლენგვიჯის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი — ჟესტიკულაცია ორი სახისაა: აქტიური და პასიური. აქტიური ჟესტიკულაცია, რომელსაც საუბრის დროს მივმართავთ, სამ დონეზე მიმდინარეობს: ზედა, ქვედა და შუა დონეზე, იმის მიხედვით, სხეულის რა მონაკვეთში ამოძრავებს ხელებს ადამიანი.

ზედა დონეზე უმეტესად პოლიტიკოსები ჟესტიკულირებენ — ეს არის მხრებს ზემოთ აწეული ხელებით ურთიერთობა, რომელიც ძლიერ ემოციას მიანიშნებს და, ძირითადად, საჯარო გამოსვლებისას იყენებენ. საინტერესოა, რომ ამ დროს ადამიანი სხეულის ე.წ. დაუცველ ზონებს — იდაყვს, იღლიას, ხელისგულს „აშიშვლებს“, რაც არაცნობიერად აუდიტორიის მიმართ ნდობას გამოხატავს. პუბლიკასთან ურთიერთობის ასეთი ფორმა ყოველთვის ეფექტურია და დადებით საპასუხო რეაქციას იწვევს.

შუა დონეზე (მხრებიდან მუცლამდე) ჟესტიკულაცია ნეიტრალურია და ნებისმიერი სახის ზემოქმედებას გამორიცხავს. ქვედა დონეზე (მუცელს ქვემოთ) ურთიერთობა კი ერთმნიშვნელოვნად ნეგატიურად მიიჩნევა. არსებობს ერთი უნივერსალური ფორმულა: როგორც მიმიკის, ისე ჟესტიკულაციის შემთხვევაში, პოზიტივი ზემოთ არის მიმართული, ნეგატივი — ქვემოთ (გაიხსენეთ „სმაილის“ მაგალითი). ადამიანში, რომელიც ქვედა დონის ჟესტიკულაციით გამოირჩევა, მელანქოლიური ტემპერამენტი ჭარბობს. ასეთები საჯარო ფიგურებად, მით უმეტეს, პოლიტიკაში, არ გამოდგებიან. დღესდღეობით პოლიტიკოსებში გავრცელებულია ამერიკული ტიპის ჟესტიკულაცია, რომელიც, დასავლურისგან განსხვავებით, გაცილებით აქტიურია და აუდიტორიაზე ზემოქმედებას ისახავს მიზნად. აღსანიშნავია, რომ იმავე პოლიტიკოსებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ჟესტიკულაციის დროს ორივე ხელის გამოყენება, რაც მოსაუბრის რაციონალურ და ემოციურ მხარეთა წონასწორობაზე მეტყველებს და მის მიმართ ნდობას იწვევს. ზოგიერთი პროფესიის ადამიანისთვის ჟესტიკულაცია „უკუნაჩვენებია“. მაგალითად, ჟურნალისტებს, რომელთაც საინფორმაციო გამოშვება მიჰყავთ, ეკრძალებათ ხელების მოძრაობა. მათი ემოცია ძირითადად მიმიკით გადმოიცემა.

საინტერესოა, როგორ ხსნიან ფსიქოლოგები რამდენიმე ყველაზე გავრცელებულ ჟესტს:

შეკრული მუშტი ძლიერ ემოციას აღნიშნავს — ეს შეიძლება იყოს აგრესია ან შიში. ძალიან საინტერესოა დოინჯი, განსაკუთრებით, თუ ამ დროს თითები წინ არის მიმართული, რაც ტერიტორიის გაზრდას და აგრესიას ნიშნავს. იმავეზე მეტყველებს დოინჯი მუშტებით. უკან მიმართული დოინჯი ერთგვარი საყრდენი პოზაა, შესაძლოა, დაღლაზე მიანიშნებდეს და აგრესიასთან კავშირში არ არის.

საჩვენებელი თითით ჟესტიკულაციისას, რომელიც პედაგოგების „სენია“, მნიშვნელოვანი ყოფილა თითის მიმართულება: ზემოთ მიმართული გაფრთხილებას ნიშნავს. უფრო მწვავეა





**რეალურად ეს ასი სხვადასხვა გასაღებია ჩვენსავე სხეულთან საკონტაქტოდ, რომელიც საშუალებას გვაძლევს ბევრი საინტერესო რამ შევიტყოთ საკუთარი თავისა და სხვების შესახებ**

კონკრეტული ადამიანისკენ მიმართული თითი, რაც პირდაპირ საფრთხეზე მიუთითებს და იარაღის დამიზნებასთან ასოცირდება. გასათვალისწინებელია ერთი მომენტი: ფსიქოლოგებმა კარგად იციან, რომ მხოლოდ ერთი ჟესტით ან მიმიკით „დიაგნოზის“ დასმა არასწორია. კონკრეტული დასკვნის გამოსატანად სხეულის ენის 3 ნიშანი მაინც უნდა თანხვდებოდეს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია პასიური ჟესტიკულაცია, რომელიც მოსმენის პროცესს ახასიათებს და შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ, რამდენად მოვახერხეთ ადამიანის დაინტერესება. მაგალითად, თავთან მიტანილი ხელი ყოველთვის დაკავშირებულია აზროვნების პროცესთან და მოსაუბრის მიმართ ყურადღებას გამოხატავს. ხელი ტუჩებთან — სასიამოვნოზე მიანიშნებს, ყურთან — მსმენელმა რაღაც ვერ გაიგო ან ეჭვი ეპარება. ცხვირთან მიტანილი ხელი უსიამოვნო შეგრძნებაზე მეტყველებს. ქალი, რომელიც თმაზე ისვამს ხელს, საწინააღმდეგო სქესს გაუცნობიერებლად სექსუალურ მესიჯს უგზავნის. გულზე გადაჯვარედინებული ხელები დახურულ პოზად ითვლება და თავდაცვის ინსტინქტზე მიუთითებს. დახურულად მიიჩნევენ ერთმანეთზე გადადებულ ფეხებსაც, მაგრამ ფსიქოლოგები ასე ცალსახად არ ფიქრობენ. ნამდვილი დახურული პოზა ორმაგად გადაჯვარედინებული ფეხებია — მუხლებთან და წვივებში. უბრალოდ ფეხის ფეხზე გადადება კომფორტსა და სიმყარეზე მიუთითებს, თუმცა მნიშვნელოვანია მდებარეობა: მოსაუბრის მხარეს გადადებული ფეხი ნიშნავს, რომ მსმენელისთვის რაღაც საინტერესო ხდება და ჩართულია პროცესში, საწინააღმდეგო მიმართულებით კი ინტერესის არქონაზე მეტყველებს.

სხეულის ენას კარგად „გასცემს“ დგომისა და სიარულის მანერები. ძალიან ახლოს, მიჯრით განლაგებული ფეხები ადამიანის დაუცველობასა და შინაგან დაძაბულობას მიუთითებს. განსაკუთრებით უსიამოვნოა, როდესაც ასე მამაკაცი დგას — ეს მის უსუსურობასა და საკუთარ თავში დაურწმუნებლობას უსვამს ხაზს (არ იგულისხმება იძულებით გამოწვეული ვითარება, მაგალითად, ლიფტში, როდესაც ადგილი ცოტაა). აკრძალულია ასე დგომა საჯარო გამოსვლებისა და პრეზენტაციის დროს, თუმცა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ადამიანის სქესი: მამაკაცური და ქალური პოზები ერთმანეთისგან ძალზე განსხვავდება. ე.წ. „სექიურითის“ პოზაში დგომისას განზე გადგმული ფეხები კაცის თავდაჯერებულობაზე მეტყველებს. ქალი კი ასეთ მდგომარეობაში არასასიამოვნო სანახავია. კაცისთვის მიუღებელია შეტყუპებული ფეხებით ჯდომა, რაც ასევე მის შეზღუდულობას მიუთითებს, ქალისთვის კი ეს პოზა ბუნებრივია (თუმცა, ძალზე შეტყუპებული ფეხები და დაძაბული მუხლები მის შინაგან მღელვარებას აღნიშნავს).

დგომისა და სიარულის მანერაში კარგად ჩანს პიროვნების ცხოვრებისეული პოზიცია: ადამიანი, რომელიც სიარულის დროს მაღლა წევს ტერფს, მხიარული, სიცოცხლისუნარიანი და აქტიურია. მიწასთან ახლოს, ხოხვით სიარული კი პასიური, დეპრესიული ნატურისთვისაა დამახასითებელი, რომლის მთავარი პოზიცია გადარჩენაა.

მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ, როგორ იცვლება სხეულის ენა დინამიკაში. თუ ადამიანი თანდათან იხსნება, ეს ნიშნავს, რომ თქვენ შორის კონტაქტი შედგა, დახურული პოზები კი ჩაშლილ კომუნიკაციაზე მეტყველებს. აღსანიშნავია, რომ დინამიკაში ადამიანი თავის გაკონტროლებას ვერ ახერხებს. ურთიერთობიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ მის ქმედებაში არაცნობიერი ერთვება და სხეული ბუნებრივ ენაზე იწყებს საუბარს. ასეთ დროს ამ ენის მცოდნე ადამიანისთვის ძალზე იოლია „მოწინააღმდეგის“ განიარაღება. შემთხვევითი არ არის, რომ ფსიქოთერაპიაში სხეულზე ორიენტირებული თერაპიის ასი სხვადასხვა მიდგომა არსებობს. რეალურად ეს ასი სხვადასხვა გასაღებია ჩვენსავე სხეულთან საკონტაქტოდ, რომელიც საშუალებას გვაძლევს ბევრი საინტერესო რამ შევიტყოთ საკუთარი თავისა და სხვების შესახებ. სხეულს ხომ ყველაფერი ახსოვს.



# PROJECT ART BEAT



ლევან ბერულავა, ნათია ბუკია, ლაკო ბუკია, ლილი ბასფელდი, ნიკ პატერსონი





სალომე ხელაშვილი



უტა ბექაია



ნინო ჩუბინიშვილი



ნათია ბუკია



თბილისის მოდის კვირეულის ფარგლებში

Project Art Beat-ის ერთი წლის იუბილე დავით მესხის გამოფენით აღინიშნა.

საინტერესო ექსპოზიციას სასიამოვნო მუსიკის ფონზე არტ არეამ უმასპინძლა.








# N-DUO-CONCEPT



ჯემა უილიამსი, ნიკ პატერსონი, ლილი ბასფელდი, ნინო წილოსანი, ნატუკა ქარქაშაძე, რაიან კუპმანსი, ფარუკ ჩერკოფი





ჯემა უილიამსი, ნინო წილოსანი, ნატუკა ქარქაშაძე



ნატალი კანტელი, ადამ კაც სინდინგი



მოეზ აშურ, ლიკა კვარაცხელია, ნინო წილოსანი



მარია მიხაილოვა, იანა დავიდოვა



ნატუკა ქარქაშაძე , თაკო ჩხეიძე

ქართულმა ონლაინ მაღაზია N-Duo-Concept-მა თბილისის მოდის კვირეულის ფარგლებში მიღება მოაწყო. საიტის დამფუძნებლებმა – ნატუკა ქარქაშაძემ და ნინო წილოსანმა თავისივე ბრენდის, N-Duo-ს ახალი კოლექციაც გააცნეს სტუმრებს.

# NARGIS Georgia DINNER

საქართველოში **სოკარის** წარმომადგენლობის მხარდაჭერით NARGIS საქართველოს დახურული ვახშამი უცხოური პრესის წარმომადგენლებისთვის ფუნიკულიორის რესტორანში, ულამაზეს გარემოში გაიმართა.

საღამო განსაკუთრებული და დასამახსოვრებელი აღმოჩნდა მოწვეული სტუმრებისთვის. მათ ერთდროულად ისიამოვნეს უგემრიელესი ქართული სამზარეულოს კერძებით და თბილისის თვალისმომჭრელი ხედით.


NARGIS საქართველოს და NARGIS აზერბაიჯანის გუნდი


მოეზ აშურ, ნათია ჯგუბურია


ჯემა უილიამსი, კრისტი ველიაჯი


ნინო ელიავა, დარია შაპოვალოვა


თაკო ჩხეიძე, ესმირა მამადოვა, სტას კარავაევი, ნატა საფაროვა


სტას კარავევი, რომა სინაისკი


ირმა შარიქაძე


ნინა ხატისკაცი, გიორგი ჩოგოვაძე, ანა ნინუა








რაიან კუპმანს, მოეზ აშურ, რეჯის კოლინ ბერტეილერ, ნატალი კანტელი


ანანო დოლაბერიძე, სტას კარავაევი


თაკო ჩხეიძე, ლიკა კვარაცხელია, ანანო დოლაბერიძე, ნატა საფაროვა, სტას კარავაევი



ადამ კაც სინდინგი


მაკა კვიციანი, ჯაბა სიხარულიძე


ჯემა უილიამსი, ნიკ პატერსონი, კრისტი ველიაჯი

# NEW NORDIC FASHION EXHIBITION





ნატა საფაროვა, სტას კარავაევ,
ესმირა მამადოვა, ფარუკ ჩეკოფი



ირმა შარიქაძე



თაკო ჩხეიძე, მარიამ რაქვიაშვილი



ესბენ ემბორგი





ჯაბა სიხარულიძე,
სალომე ბენაშვილი

MOMA-ში ესტონეთის, შვედეთის, დანიისა და ნორვეგიის საელჩოებთან ერთად თბილისის მოდის კვირეულმა წარმოადგინა მოდის ილუსტრატორების ესკიზები ჩრდილოეთის ქვეყნებიდან. უნიკალური ესკიზები გაიყიდა პირველი ნაბიჯისა (NGO შექმნილია განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების მხარდასაჭერად) და მიუსაფარ ძაღლთა თავშესაფრის დასახმარებლად.



ლეიფ ერიქსონი, მადს ბერგი,
შვედეთის ელჩი საქართველოში მატინა ქუიქი



მარია მიხაილოვა, ანანო დოლაბერიძე, რაიან კუპმანსი,
როზა სინაისკი, ნათია ჯგუბურია, ადრიანო ცისანი





დავით ბაქრაძე



ანდრეას ჰაიდინგსფელდერი



ესტონეთის ელჩი საქართველოში პრიტ ტურკი, ან ვაისენი



# TFW AFTER PARTY





ჯემა უილიამსი, ლენკა ციციშვილი, ნათია ბუკია



ნიკ პატერსონი



იანა ავდეევა



ლენკა ციციშვილი, გიორგი შაღაშვილი



თიკა ფაცაცია, ანა კოშაძე




თბილისის მოდის კვირეულის დახურვის საღამოს Pierrot Le Fou-მ უმასპინძლა. საღამოს მუსიკალურად აფორმებდა ერთ-ერთი მოწვეული სტუმარი, ნიკ პატერსონი.



Büro 24/7




buro247.az

# ჰოროსკოპი

2016 წლის ასტროლოგიური დახასიათება

**მოამზადა** ასტროლოგმა რამაზ გიგაურმა

**აღმოსავლური კალენდრის მიხედვით 2016 წელი ცეცხლოვანი (წითელი) მაიმუნის წელი იქნება. ის 2016 წლის 8 თებერვალს დაიწყება და 2017 წლის 27 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება. მაიმუნის წლისთვის დამახასიათებელია მოვლენების დინამიკური განვითარება. წარმატების მიღწევისთვის აუცილებელი იქნება შეუპოვრობის, კომუნიკაბელურობის, მოხერხებულობისა და დიპლომატიურობის გამოჩენა. არ არის გამორიცხული მოვლენების მოულოდნელი შემოტრიალებაც, თუმცა კრიზისული სიტუაციებისგან თავის დაღწევა შესაძლებელი იქნება წინდახედულობითა და სიფრთხილით. როგორი იქნება 2016 წელი ზოდიაქოს ნიშნებისთვის:**

## ვერძი

იანვრიდან მარტის პირველ დეკადამდე ენერგიული იქნებით, იოლად შეძლებთ დაწყებული პროექტების წარმატებით გაგრძელებასა თუ დასრულებას. ფინანსურ სფეროში მოიმატებს წარმატების მიღწევის ალბათობა. აპრილიდან ივნისამდე პერიოდი თქვენგან თავდაუზოგავ შრომას მოითხოვს, რათა მიღწეული წარმატებები შეინარჩუნოთ. ამ პერიოდში მოერიდეთ რისკზე წასვლას, მათ შორის, ფულის წინდაუხედავად დაბანდებას. ივლისის მეორე ნახევრიდან სექტემბრის ბოლომდე მოდუნებას და დაძაბული რეჟიმისაგან გათავისუფლებას შეძლებთ. ეს კარგი პერიოდია საინტერესო ადამიანების გასაცნობად და პირადი ცხოვრების მოსაწესრიგებლად. ამ დროს მოიმატებს ქორწინების ან სამსახურებრივი ცვლილების ალბათობა. ოქტომბრიდან წლის ბოლომდე გაუფრთხილდით საკუთარ ჯანმრთელობას. იზრუნეთ საკუთარი თავის გაჯანსაღებასა და იმუნიტეტის გაძლიერებაზე.

## კურო

წლის პირველი კვარტალი ნაკლებად სასიკეთო აღმოჩნდება. მეტი ყურადღება მიაქციეთ სამსახურებრივ საკითხებს. მოერიდეთ რისკზე წასვლას. ნუ აჰყვებით პროვოკაციებს, შეეცადეთ, გადაწყვეტილებები საქმიანი ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ მიიღოთ. საჭიროების შემთხვევაში მოძებნეთ დამატებითი შემოსავლების წყარო. მეორე კვარტალში მოგიწევთ სიზარმაცის გადალახვა და საკუთარ თავზე დამატებითი პასუხისმგებლობის აღება, რაც გზას გაგიხსნით წარმატებისკენ. ეს განსაკუთრებით სწავლასთან, უცხოეთთან და სამსახურთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება. ზაფხულის მეორე ნახევარი და სექტემბერი მნიშვნელოვანი იქნება კარიერული ცვლილებებისთვის, თუმცა შედეგების მიღება დამოკიდებული იქნება პარტნიორებზეც, ამიტომ უპირატესობა პარტნიორულ საქმიანობას მიანიჭეთ. მეოთხე კვარტალი შედარებით მშვიდი იქნება. შეძლებთ უძრავ ქონებასთან, ფინანსებსა და პირად ცხოვრებასთან დაკავშიებით სასიკეთო ცვლილებების განხორციელებას.

## ტყუპები

2016 წლის დასაწყისი ნაკლებად პოზიტიური იქნება გრძელვადიანი პროექტების დასაწყებად, ამიტომ აქცენტი სწრაფად დასრულებად საქმეებზე გააკეთეთ. სასიკეთო იქნება სწავლის დაწყება ან კვალიფიკაციის ამაღლება. აპრილიდან ივნისამდე მოიმატებს წარმატების ალბათობა. ეს საგრძნობი გახდება როგორც პირად, ისე საქმიან ცხოვრებაში. იგრძნობთ პარტნიორების მხარდაჭერას, მოსალოდნელია შეძლოთ სპონსორების მოძიებაც. ხელსაყრელი იქნება შეთანხმებების მიღწევა. ზაფხულის ბოლო და შემოდგომის დასაწყისი დასვენებისთვის და ფიზიკური ძალების აღდგენისთვის გამოიყენეთ. ამ პერიოდში შეეცადეთ მომავლისადმი პოზიტიურად განეწყოთ. ოქტომბრიდან დეკემბრამდე პერიოდი წარმატებული აღმოჩნდება. ფორტუნა გაგიღიმებთ და შეძლებთ თქვენთვის სასიკეთო ცვლილებების განხორციელებას. ამ დროს, ასევე, გაგიადვილდებათ საქმიანი ურთიერთობების დამყარება და მოსალოდნელია სახელმწიფო სტრუქტურებისგან ან გავლენიანი ადამიანებისგან გარკვეული მხარდაჭერაც კი მიიღოთ.

## კირჩხიბი

2016 წლის დასაწყისში მთავარი მიზნების პრიორიტეტების მიხედვით დალაგება იქნება. მთავარია, ამ პერიოდში ზუსტად იცოდეთ, თუ რა გსურთ. შეეცადეთ მიზნებისთვის კონკრეტული გეგმების შემუშავებაც შეძლოთ. გაზაფხულის მეორე ნახევარი და ზაფხული უფრო მშვიდი იქნება. სასიკეთო იქნება სწავლასთან, სპორტსა და ინფორმაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება. ზაფხულის ბოლოსა და შემოდგომის დასაწყისში მოიმატებს თქვენი ამბიციურობა, გაგიჩნდებათ კარიერული წინსვლის სურვილი და სწორი სტრატეგიის შემუშავების შემთხვევაში შეძლებთ წარმატების მიღწევას. შეეცადეთ ძველ ნაცნობებსა და პარტნიორებს დაეყრდნოთ. ნოემბერ–დეკემბერი განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლის პერიოდი იქნება, მოსალოდნელია, ეს იყოს საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის შეცვლა. მოიმატებს მოგზაურობის, სასიყვარულო ურთიერთობების ან ქორწინების ალბათობა.

## ლომი

იანვრიდან მარტის ჩათვლით მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და შარმი, რაც დაგეხმარებათ იოლადააწყოთ როგორც საქმიანი, ისე სასიყვარულო კავშირები. იოლად შეძლებთ რამდენიმე საქმის ერთდროულად წარმართვას და გამარჯვების მიღწევას. აპრილიდან ივნისის ბოლომდე გაგრძელდება დადებითი პერიოდი, თუმცა ნაკლები ინტენსივობით. რთულ სიტუაციებში დახმარებისთვის ოჯახის წევრებსა და მეგობრებს მიმართეთ. წარმატებას მიაღწევთ ხელოვნებასთან, უცხოეთთან და უცხოელებთან მიმართებაში. ზაფხულის ბოლოს და შემოდგომის დასაწყისში დაიკლებს თქვენი ენერგიულობა, ამიტომ დაისვენეთ. ეს კარგი დროა გადადებული საქმეების დასრულებისთვის. შემოდგომის მეორე ნახევარსა და ზამთარში მოერიდეთ ოპონენტებთან დაპირისპირებებს. დაძაბულ სიტუაციებში ფონს ტაქტისა და დიპლომატიის დახმარებით გადით.

## ქალწული

2015 წელს დაწყებულმა პროექტებმა მოსალოდნელი სასიკეთო შედეგები სწორედ 2016 წლის დასაწყისში უნდა მოგიტანოთ. თუმცა, ასევე, მოგიწევთ ძველი პროექტების გაგრძელება და პრობლემატური ურთიერთობების დარეგულირება. გაზაფხულის მეორე ნახევარსა და ზაფხულის დასაწყისში მოერიდეთ სასიყვარულო პარტნიორის კრიტიკას და ურთიერთობებში ეგოიზმის გამოვლენას, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა პირად ცხოვრებაში პრობლემები შეგექმნათ. თუმცა ეს სასიკეთო იქნება საქმიანი ცხოვრებისთვის, სამსახურში და ბიზნესში ცვლილებების განხორციელებისთვის. ზაფხულის ბოლოს და შემოდგომით ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ, მაგრამ მოერიდეთ ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთებას. კონცენტრაცია მთავარზე გააკეთეთ. მეოთხე კვარტალი შედარებით მშვიდი იქნება. სამსახურში შეძლებთ პოზიტიური ცვლილებების განხორციელებას, ხოლო პირად ცხოვრებაში — ჰარმონიის შექმნას.

## სასწორი

თქვენთვის 2016 წლის დასაწყისი მომავლის დაგეგმარების, მიზნების დასახვის და სურვილების მატერიალიზაციის პერიოდი იქნება. იანვრიდანვე გაბედულად დაიწყეთ ინიციატივების გამოვლენა და აქტიური მოქმედებები. აპრილის დასაწყისიდან ივნისის ბოლომდე სასიკეთო იქნება პირად ცხოვრებასთან, სასიყვარულო ურთიერთობებთან, ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება. ასევე, ეფექტურად შეძლებთ იურიდიული და სადავო საკითხების გადაჭრას. ზაფხულის მეორე ნახევარში და სექტემბერში მოერიდეთ ეგოცენტრიზმის გამოვლენას და გარშემომყოფების მიმართ მეტი სითბო გამოავლინეთ. ეს საშუალებას მოგცემთ დაასტაბილუროთ პრობლემატური ურთიერთობები. ამავე პერიოდში გააქტიურდება სამსახურთან და უცხოეთთან დაკავშირებული საკითხები. წლის ბოლოს გაუფრთხილდით ჯანმრთელობას და სასიცოცხლო ენერგიას. მოერიდეთ რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთებას, მთელი ენერგია და ძალა ერთი მიმართულებით მიმართეთ.

## მორიელი

თქვენთვის 2016 წელი შემზღუდველი გარემოებებისთვის თავის დაღწევის პერიოდი იქნება. წლის დასაწყისი აპრილის შუამდე დინამიკური და მრავალფეროვანი იქნება. იგრძნობთ ენერგიის მოზღვავებას, რაც კარდინალური გადაწყვეტილებების მიღებაში დაგეხმარებათ. გაზაფხულის ბოლო და ზაფხულის პირველი ნახევარი პოზიტიური იქნება, რაც გამოიხატება ფინანსური შემოსავლების მატებაში. ამ პერიოდში შეძლებთ საკუთარი შესაძლებლობების ეფექტურად გამოვლენას. ზაფხულის ბოლო და შემოდგომის დასაწყისი ჯობს დასვენებისთვის, წარსულის ანალიზისთვისა და დაშვებული შეცდომების გამოსწორებისთვის გამოიყენოთ. ამ პერიოდში იოლად მოექცევით ყურადღების ცენტრში, განსაკუთრებით მიიზიდავთ საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს. მეოთხე კვარტალი შედარებით ჰარმონიული იქნება. წარმატება დამოკიდებული იქნება თქვენს სწორ რეაქციებსა და კარგად დაგეგმილ მოქმედებებზე. ყველა გადადებული საკითხი ამ პერიოდში გადაწყვიტეთ, საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის გავლენიან ადამიანებს მიმართეთ.

## მშვილდოსანი

2016 წლის პირველი კვარტალი არასტაბილური იქნება, თუმცა თუ შეძლებთ საკუთარი ძალისა და რესურსების ორგანიზებას და კრიზისების მოგვარებისთვის მათ ეფექტურ გამოყენებას, მაშინ შედეგი უფრო დადებითი იქნება, ვიდრე უარყოფითი. აპრილის დასაწყისიდან ივნისის შუა რიცხვებამდე გაცილებით სასიკეთო პერიოდი იქნება. ამ დროს უფრო ენერგიული და ამბიციური გახდებით. სასიკეთოდ წარიმართება საქმიანი შეხვედრები და მოლაპარაკებები. მაღალი იქნება სამსახურებრივი დაწინაურებისა და კარიერული წინსვლის ალბათობა. ზაფხული და სექტემბრის დასაწყისი დასვენებისა და ჯანმრთელობის გამყარებისთვის გამოიყენეთ. ვარჯიში, დიეტის დაცვა და ცხოვრების ჯანსაღი წესი — აი, თქვენი ზაფხულის პროგრამა. სექტემბრის მეორე ნახევრიდან წლის ბოლომდე ცხოვრება უფრო დინამიკური გახდება. შეეცადეთ როგორც საქმიან, ისე პირად ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებები ენერგიულად განახორციელოთ.

## თხის რქა

პირველი კვარტალი სასიკეთო იქნება კარიერული ზრდისათვის. თუმცა დაგჭირდებათ ორგანიზებული შრომა, რათა წარმატების მიღწევა შეძლოთ. ამ პერიოდში ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ, რაც კრიტიკული სიტუაციების მართვასა და მათგან თავის დაღწევაში დაგეხმარებათ. გაზაფხულის მეორე ნახევარში და ზაფხულის დასაწყისში გაძლიერდებიან თქვენი ფარული მტრები, ამიტომ მოერიდეთ დაძაბულ სიტუაციებს, იმ ადგილებს, სადაც ჭორებისა და ინტრიგების ალბათობა მაღალია. როგორც საქმიანი, ისე სასიყვარულო პრობლემები მშვიდად, რადიკალიზმის გარეშე გადაწყვიტეთ. ივნისის ბოლოდან ოქტომბრის შუამდე მოგიწევთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება როგორც საქმიან, ისე პირად ცხოვრებაში. გაგიჩნდებათ იმის შესაძლებლობა, რომ წერტილი დაუსვათ იმ ურთიერთობებსა თუ პროექტებს, რომლებშიც ეჭვი გეპარებათ. წლის ბოლოს შეძლებთ კრიზისული სიტუაციების და გართულებული ურთიერთობების დარეგულირებას და დასტაბილურებას.

## მერწყული

წარმატებების მიღწევის შანსი 2016 წლის დასაწყისშივე გაგიჩნდებათ. თუმცა ეს, ძირითადად, წარსულში დაწყებული პროექტებიდან მიღებული სასიკეთო შედეგები იქნება. პირველ კვარტალში მოიმატებს თქვენი კრეატიულობა, კომუნიკაბელურობა და თავდაჯერებულობა, განახორციელებთ ბევრ საჭირო ცვლილებას, ეს კი მეორე კვარტალში საშუალებას მოგცემთ მოაგვაროთ დიდი ხნის მანძილზე დაგროვილი პრობლემები, ამასთანავე, წამოიწყოთ ახალი, ამბიციური პროექტები. ზაფხულის მეორე ნახევარსა და შემოდგომის დასაწყისში უფრო სასიკეთო იქნება პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება. მოიმატებს ქორწინების, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის, რემონტის ალბათობა. მოსალოდნელია ამ პერიოდში ვალების გასტუმრებაც შეძლოთ. წლის ბოლო კვარტალში უნდა მოახერხოთ განვითარება, ასევე, არაფრისმომტანი ურთიერთობებისგან და მომაბეზრებელი ვალდებულებებისგან გათავისუფლება.

## თევზები

იანვრიდან მარტის შუა რიცხვებამდე მოგიწევთ თქვენთვისვე არა მხოლოდ წარსულის ანალიზი, დასკვნების გამოტანა და ძველი შეცდომების გამოსწორება, არამედ ახალი მიზნების შერჩევაც და გეგმების დასახვაც. მაქსიმალურად მოერიდეთ ილუზიურ გარემოებებს და ეცადეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები პრაქტიკულ ჭრილში დაინახოთ. მეორე დეკადა შედარებით მეტ წარმატებას მოგიტანთ, რასაც მარტის ბოლოს იგრძნობთ. ეს განსაკუთრებით სამსახურთან და კარიერულ წინსვლასთან მიმართებაში იქნება მოსალოდნელი. ზაფხულში მიღებული გამოცდილების და გაბედული მოქმედებების ხარჯზე მოახერხებთ მნიშვნელოვან შეთანხმებებს მიაღწიოთ. ახალი კავშირები და მიღწეული შეთანხმებები თქვენთვის კეთილდღეობის მომტანი გახდება. შემოდგომა და ზამთარი დადებითი პერიოდი იქნება ცხოვრებაში ინოვაციური პროექტების წამოწყებ და რეფორმების გატარებისთვის. რისკი გამართლებული იქნება. წლის დასასრულს თავს ბედნიერად და თავდაჯერებულად იგრძნობთ.

# PRIMA BALLERINA

Ballet



An unforgettable Odette/Odile in "The Swan Lake", the best Giselle in "Giselle", Chelita in "Don Quixote", Queen Aurora in "The Sleeping Beauty", Juliet in Prokofiev's "Romeo and Juliet", Virginia in Martin Ward's "The Canterville Ghost", the gipsy girl in "The Snow Queen", and almost all the title roles on the big stages of London's theatres – this is an incomplete list of the roles Elene Glurdjidze has performed.

The girl from "Mr B's" native land has been standing on tiptoes since childhood. She moved from Tbilisi to the Mariinsky Theatre in Saint Petersburg, and then to the English National Ballet (ENB) in London. Elene Glurdjidze was ENB's prima ballerina, or Senior Principal Dancer, for 13 years and 23 seasons. Besides this, she became Karl Lagerfeld's muse, the character of Edgar Degas' painting in BBC's movie The Impressionists, Giselle in the video clip of "It's Only Pain", Katie Melua's melancholic song from her album Piece by Piece.

**You have performed the pas de deux part of Derek Deane's "Swan Lake" in the London Coliseum. This ballet is probably symbolic of your career, as your first and last performances at the ENB was Tchaikovsky's "Swan Lake".**

The Odette/Odile part was also the very first role I have ever performed, and it turned out to be my first and final role at the ENB too. After the show at the London Coliseum, the spectators stood on their feet, and threw flowers from the hall... The stage was filled with flowers, it was incredible, I was in tears!

**You were the ENB's Prima Ballerina for 13 years, and you left the company at the end of the 23rd season. What are you going to do next?**

What will be next? I can say that this is a transitional period in my career. I am an independent artist now, I have my own projects, ideas, and plans that I want to make happen. I did not have time for that at the ENB, because the troupe was touring a lot...

**You dance with Gaynor Minden pointe shoes that are sewed for you and bear the inscription "Made expressly for Elena Glurdjidze". Do you have a pointes collection?**

– Gaynor Minden pointes are sewed in America. They are very soft, and they contain rubber, which is why they do not make any noise. What is more, mine are tailor-made. I will definitely keep the pointes with which I have danced "Marguerite and Armand". Apart from a collection of pointe shoes, I have a costume collection – I have the costumes of "Swan Lake", "Giselle", "La Bayadère", "Nutcracker", "Sleeping Beauty", "Les Sylphides", "Eugene Onegin"...

**What usually happens backstage before a show? What is the other part of your scenic life, the one that the spectators cannot see?**

In general, when I have had important premieres in my ballet career, I have always experienced some difficulties: I was either sick, or my leg hurt, or my back was aching... It is always like this! I remember that at the premiere of "Marguerite and Armand", I had gotten a cold, I had fever, I was coughing, and feeling weak... But fortunately, everything went well.

**You have almost all the classic title parts in your repertoire, but still, which is your favorite part from your career, or the one that was the most successful?**

Giselle, Manon, and Scheherazade's parts were particularly appreciated in London. It is precisely for Manon and Scheherazade's parts that I was awarded "Best Female Dancer" prizes... After performing Manon's part at the London Coliseum, I sat in the dressing room for about half an hour. I was absolutely emptied. It took me some time to get out of the spectacle and from my role.

In general, I like dramatic ballets, those in which you need to play with your face, because it is a shame to dance without personality or character. Choreography alone means nothing.

**In 2009, Karl Lagerfeld, the artistic director of the Coco Chanel House created an exclusive costume of 2500 feathers expressly for your role in "The Dying Swan" at the concert cycles of Chanel Lemarié's atelier's "Russian Seasons". What did your encounter with Karl Lagerfeld change in your ballet career?**

Karl Lagerfeld is very open and friendly, he has a very warm and interesting personality... When he made my costume and saw that it fitted me perfectly, he was very satisfied. He turned to me and said: "This costume has been created for you, so the original sketch also belongs to you." Three months later, he sent it to me, put in a frame and bearing his signature. This costume has been prepared with a special technique – the feathers are carefully put into one another and it is so delicate that one can never dance a *pas de deux* in it. Just imagine: it is made exclusively from tulle and feathers. The original costume belongs to the House of Chanel – I used to keep it at home but then I gave it back. It will be exhibited in a museum in the future. I have realized that after making this costume, Lagerfeld started using a lot of feathers in his collections; his inspiration must have come from my swan (laughs)...

**When will you be performing for "Coco", the ballet about Coco Chanel's history choreographed by Yuri Possokhov?**

The libretto and music of this spectacle already exist, but the project is still in the making. When I read the book about Coco Chanel, I got even more interested in her life; she was a wonderful woman with great vision and inner strength.

**Which is your favorite fragrance?**

Chanel Chance. I have been using this fragrance exclusively for a very long time.

**In what style do you dress?**

I am all about classic, and I like to be well dressed. I like Salvatore Ferragamo shoes. While in Tbilisi, I made "Samoseli Pirveli" make boots for me, and I am very satisfied with them. I am now planning to order them a very beautiful Mingrelian dress.

**Do you like jewels?**

I have a lot of them, but I do not have them on me all every day. I love Tiffany's collection Paloma Picasso.





# “MOLIÈRE OF THE EAST’S” HOUSE IN TBILISI

Akhundov House

ARCHIL BEJANISHVILI



In Ortachala, one of Tbilisi’s oldest districts, only 200 meters away from the Meidan Square and the renowned sulfur baths, stands a lovely three-story brick house. It is difficult to guess that it dates back to the 19th century after the reconstruction and renovation works that have been carried out about three years ago. Long ago, it was inhabited for four decades by the great Azeri writer, public figure, and founder of national dramaturgy Mirza Fatali Akhundov (Akhundzade). The house is now named after him, and since May 2013, it acts as a culture house, containing the contemporary gallery “Akhundov House”, the Museum of Azerbaijani Culture, the literary café “Monsieur Jordan”, a library, and a wine cellar.

## CONTEMPORARY ART GALLERY “AKHUNDOV HOUSE”

The art gallery is located in the building’s basement, and has two halls, for a total of 120 m2. Since its existence, the gallery has held 15 collective and personal exhibitions, including the following: a personal exhibition of Merab Abramishvili; an exhibition named “The Two Servants of Two Muses”, which was combining the works of Italian screenwriter, poet and painter Tonino Guerra, and film director and painter Rustam Khamdamov; an exhibition presenting the works of Georgian and Russian painters from the second half of the 19th century and the beginning of the 20th century, in which one could admire paintings from such masters as Ilya Repin, Lado Gudiashvili, Boris Kustodiev, Elene Akhvlediani, Kiril Zdanevich, Avtandil Varazi, and others; the exhibition “Rewoven”, presenting Azerbaijani carpets made in Georgia; an exhibition of sculptor Gia Japaridze and painter Shalva Matuashvili; the collective applied arts exhibition “Seven Inspired Women”, which presented the works of Nino Tadiashvili, Lile Pilpani, Tika Japaridze, Salome Dadunashvili, and others. An exhibition of contemporary Azerbaijani and Georgian artists is planned in the near future.

## MUSEUM OF AZERBAIJANI CULTURE

The entirety of the building’s second floor is dedicated to the Museum of Azerbaijani Culture, which has been functioning since 1982. The exhibition space consists of six halls. They present (very concisely, of course) the history of Azerbaijani culture – from the rock paintings dating back to the Mesolithic period at the Gobustan National Reserve, to the most recent artistic achievements. Visitors will get to see samples of national garments, finely sewed bags and adornments, as well as various musical instruments. There is also Mirza Fatali’s memorial study, in which one will find some of his personal belongings: his desk, bookshelf, clock, and lamp. A special hall of the museum is dedicated to the friendship between Azerbaijan and Georgia; it presents works of Azerbaijani and Georgian sculptors, and pictures of Tbilisi’s Heydar Aliyev Square, of Tbilisi’s school and library named after Mirza Fatali Akhundov, as well as of Baku’s Tbilisi Avenue and “Friendship Museum”. The museum also presents the history and biographies of celebrated Azerbaijani individuals, such as Mirza Fatali Akhundov, Mirza Shafi Vazeh (1974-1852), and Fatali Khan Khoyski, who was assassinated in 1920. The three of them are buried next to each other in Tbilisi, in the pantheon adjacent to the botanical garden.
Collective and individual excursions can be held at the museum. Visitors can also benefit from an audio guide – recordings in Georgian, Azerbaijani, Russian, English, and French are available.

## LITERARY CAFÉ “MONSIEUR JORDAN”

This small literary café of approximately 30 seats was named after one of the most famous characters from Akhundov’s plays, “Monsieur Jordan”. Its mainly oriental style has some kind of “French touch”, which can also be felt in the background music (vintage and contemporary French chansons) and in the innumerable beverages available at the snow-white bar – from famous wines from Bordeaux, Bourgogne, and Alsace, to several varieties of champagne and cognac, which is not that usual for café-restaurants in Tbilisi. The “French touch” is also present in the menu, in which you will find cream soups, foie gras, crêpes with mushrooms or chicken, sautés à la lyonnaise, cherry pie, and other selected French dishes and pastry. Tbilisi’s intelligentsia, working circles, artists and the city’s visitors are regular guests of the café. From time to time, literary evenings or meetings with interesting individuals are organized. The café also has one permanent honorary host: Mirza Fatali’s wax statue is standing in the café’s corner. The statue was made by famous Azerbaijani artist Chingiz Babayev, who used to live and work in London. He made it with the same method that is used at Madame Tussauds Wax Museum.

## WINE CELLAR

Since 2013, the Georgian Wine Amateurs Club “Ortachala” has been operating in the building’s basement, next to the art gallery, with a wine cellar and a degustation hall. It has a collection of up to 500 white, red, and rosé wines of the highest quality (mainly from small producing companies), as well as rare collectible bottles. Everybody can taste these wines. One visit for two with a degustation of three different wines, a plate of dry sausage and cheese, nuts, bread, and a bottle of water, costs 60 Georgian laris.

## LIBRARY

Akhundov House’s library holds up to 2500 books. Most of them are antique and rare editions in French, English, Azerbaijani, Georgian, and other languages. The library has already become quite popular among residents of the Kharpukhi and Ortachala districts – even in this era of “booklessness”, dozens of students and elders regularly read at the library. Book lovers are probably attracted by the non-traditional situation of the library and its characteristic charm. The library also includes a small electronic library hall equipped with the latest technology, so that users have access to remote information resources.

In only two years, Akhundov House has become one of Tbilisi’s most original and attractive cultural institutions. It harmoniously combines Tbilisi’s unique magnetism, European charm, and oriental refinement. We wish much success, development, and many interesting events to this wonderful culture house.





MEDI PRIVÉ

კლინიკა მედი პრივე



**გვიამბეთ "მედი პრივეს" შესახებ – რამდენი ხანია რაც კლინიკა არსებობს და რა სიახლეს სთავაზობს მომხმარებელს?**

კლინიკა "მედი პრივეს" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ლიკა მალაზონია: "მედი პრივე" მრავალპროფილური კლინიკაა, რომელიც უკვე 2 წელია არსებობს; ესთეტიკურ სერვისზე მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ განსაკუთრებული სიახლე შეგვეთავაზებინა მომხმარებელთათვის: უცხოელ ინვესტორთან თანამშრომლობით შევიძინეთ ჭარბთმიანობის სამკურნალო აპარატი (ლაზერული ეპილაცია) – Lumenis INFINITY, რომელიც ამ ეტაპზე ერთადერთია ამიერკავკასიასა და რუსეთში.

INFINITY გახლავთ ამერიკული ბრენდის – Lumenis უახლესი ტექნოლოგიით შექმნილი მოდელი. Lumenis -მა , პირველმა მსოფლიოში, ჯერ კიდევ 1966 წელს შექმნა სამედიცინო ლაზერი. Lumenis INFINITY ძალიან პოპულარულია ამერიკასა და ევროპაში. Lumenis INFINITY ფლობს FDA, ISO, CE -ის უსაფრთხოების დამადასტურებელ სერთიფიკატებს.

**რით არის გამორჩეული Lumenis INFINITY-ი ?**

ეს პირველი აპარატია, რომელშიც გაერთიანდა ოქროს სტანდარტის ორი ტალღა, ამასთან დიოდის სახეობა LighSheer, რომელსაც აპარატი გვაწვდის, ცნობილია თმის მოცილების ყველაზე სტაბილური შედეგით. მკურნალობა სრულიად უმტკივნეულოა. სწორედ ამ თავისებურებების გამო უწოდეს აპარატს INFINITY- უსასრულო შესაძლებლობების მქონე!

**რას გვეტყვით Lumenis INFINITY-ით მკურნალობის შედეგებზე და რამდენი პროცედურის ჩატარებას გვირჩევენ სპეციალისტები?**

მიიჩნევა, რომ აუცილებელია 3 პროცე-დურის ჩატარება 1 თვის შუალედით, ხოლო შემდეგ- დაკვირვების მიხედვით; საშუალოდ, პაციენტების უმეტესობას ესაჭიროება 6-8 პროცედურა.

**რას გვეტყვით "მედი პრივეს" სპეციალისტებზე რომლებიც მუშაობენ Lumenis INFINITY-ის აპარტზე?**

ვთვლით, რომ აღნიშნულ პროცედურას აუცილებლად უნდა ატარებდეს პროფესიონალი ექიმი; კომპანია "ლუმენისის" განათლების მენეჯერმა ენ უალდმა სპეციალური სწავლება ჩაუტარა ჩვენს ექიმებს და "ლუმენისის" სერთიფიკატი გადასცა. გარდა ამისა, ჩვენი კლინიკის კონ-სულტანტი გახლავთ ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალური ექსპერტი-დერმატოლოგი სოსო კობახიძე, რომელიც მეთვალყურეობას უწევს კლინიკის ლაზეროთერაპევტების საქმიანობას.

**გარდა ლაზერული ეპილაციისა რა სერვისებს სთავაზობთ მომხმარებლებს?**

კლინიკა "მედი პრივე" გამორჩეულია წამყვანი სპეციალისტებით ყველა დარგში, ჩვენი კონსულტანტები არიან ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტები სხვადასხვა დარგში: ნეფროლოგი ირმა ჭოხონელიძე დერმატოლოგი სოსო კობახიძე, ზაზა ვარდიაშვილი-ფსიქოთერაპევტი, ნანა ტატიშვილი – ბავშთა ნევროლოგი, კოტე მაისაია – გასტროენტეროლოგი, დავით ფარღალავა – ანგიოლოგი, ირაკლი კოხრეიძე – მამოლოგი, ულტრაბგერის სპეციალისტები : ანდრო ძნელაძე, გიორგი მამუკაშვილი, ლორა ბაღათურია, მაია სულაძე და სხვები.

**როგორც ვიცით კლინიკა "მედი პრივეს" სამუშაო საათები არასტანდარტულია...**

კლინიკა "მედი პრივე" ერთადერთი ამბულატორიაა თბილისში, რომელიც კვირაში 7 დღე მუშაობს დილის 09:00-დან 24:00 მდე, რაც საკმაოდ ხელსაყრელია პაციენტებისთვის.

---

**მომხმარებელთა საყურადღებოდ! ამ ეტაპზე კლინიკა "მედი პრივეს" არ აქვს ფილიალები და მისი ერთადერთი ცენტრი მდებარეობს თბილისში, იაკობ ნიკოლაძის ქუჩა N6-ში.**

Lumenis
Energy to Healthcare

LightSheer INFINITY



იაკობ ნიკოლაძის N6 | ტელ.: 0322 90 30 90, 570 30 90 90 | www.facebook.com/mediprive.clinic

MEDI PRIVÉ

კლინიკა მედი პრივე



ლაზერული აპარატი

LightSheer INFINITY

ამიერკავკასიაში ერთადერთი

იაკობ ნიკოლაძის N6
ტელ.: 0322 90 30 90, 570 30 90 90
www.facebook.com/mediprive.clinic


OMEGA
Ladymatic
NICOLE KIDMAN'S CHOICE
Ω
OMEGA
AVAILABLE AT
бутик ROYAL COLLECTION, ул. Ниязи, 5В,  тел.: 492 76 56
Официальный дистрибьютор Italdizain Group